ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
XXI
MOAMBE

INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

აკადემიის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი
გამოცემა

თბილისი 2015 TBILISI

„მოამგე“
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №21, 2015 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.*

სარედაქციო კოლეგია
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბესაძე რამაზი - (პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ...) **აბრალავა ანზორი, ასათიანი როზეტა** - (საქ. ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი), **ალუხანოვი ესბერგენ** - (ყაზახეთის ალ ბარაბას უნივერსიტეტის პროფესორი), **ალირზაევ ალი** – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), **ბაბუნაშვილი გიორგი** - (აშშ), **ბაბუხადია ანზორი** - (გაზეთ „თანადგომა”-ს რედაქტორ-გამომცემელი), **ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი** - (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის დეპარტამენტის უფროსი), **ბერიძე თეიმურაზი** - (ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ეკონ. და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი), **ბორზდოვა ტატიანა** – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, (ბელორუსია), **გვალია ნარგიზი, გოგოხია რევაზი** - (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი”-ს მთ. რედაქტორი), **გველესიანი მერაბი, გეჩბაია ბადრი** - (შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **დანელია თამაზი** - (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი), **დათაშვილი ვახტანგი** - (ჟურნალი ეკონომიკა XXI საუკუნე” მთ. რედაქტორი), **დანილჩენკო ალექსეი** – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (ბელორუსია), **ელიავა ლია, ვაშაკიძე არჩილი, ზალენიენი ინგა - (ვილნიუსის მიკოლას რომენის უნივერსიტეტის პრორექტორი), იზორია მარინა, იმედაძე თამაზი** - (საქ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), **კუნჭულია თამაზი** - (საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), **კილასონია გივი, კურტანიძე დავითი** - (აშშ), **კუჭუხიძე რომანი, კვალიაშვილი ვაჟა** - (საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), **კვაშილავა ალექსანდრე, კობაიძე თამაზი, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლობჟანიძე გივი** - (საავიაციო უნივერსიტეტის” სამართალმცოდნეობის კათედრის გამგე), **ლეკაშვილი ეკა** - (თსუ, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), **მალაშხია გიორგი, მესხია იაკობი (იაშა)** - (თსუ, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის გამგე), **მამედოვი ფიზული** - (აზერბაიჯანი, ქ. გიანჯის ეკონომიკის ინსტიტუტის კათედრის გამგე), **მექვაბიშვილი ელგუჯა** - (თსუ, ეკონომიკის პრინციპების კათედრის გამგე), **მელნიკ ტატიანა** – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (უკრაინა), **ნადირაშვილი გაიოზი** - („თბილისის” სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი), **ნარმანია დავითი** - (ქ. თბილისის მერი), **ნადარაია ნუგზარი** - (საქართველოს „ფაზისი”-ს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), **პაიჭაძე ნუგზარი, რუხაია ხიმური** - (ი. ვეკუას სახ. მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების უფროსი), **როკეტლიშვილი მიხეილი** - (აშშ), **სილაგაძე ავთანდილი** - (საქ. ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), **სერქიაიან ჰაიკ** – ერევნის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, **უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი** - (ჟურნალი „ახალი ეონომისტი”-ს მთავარი რედაქტორი), **ქეშელაშვილი ომარი** - საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ჟრნალი „აგრარული ეკონომიკა და ტექნოლოგიები”-ს მთ. რედაქტორი), **ყუფუნია გურამი, ყორღანაშვილი ლარისა, ჩიქავა ლეო** - (საქ. ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), **ჩიხლაძე ნიკო** - (ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ძნელაძე სოსო, ჭითანავა ნოდარი** - (საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; საქ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი), **ჭუმბურიძე მამია, ჭილაძე გიორგი, ხადური ნოდარი** - (საქართველოს ფინანსთა მინისტრი), **ხარაბაძე ელენე, ჯავახიშვილი რევაზი, ჯოლია გურამი.**

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №21, 2015

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doktor of Ekonomic Sciense, President of Georgian Academy of Business Science, Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABESADZE RAMAZ - (Director of Paata gugushvili Ekonomic institute), **ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA**, **BABUNASVILI GIORGI** - (USA), **ALUKHANOV ESBERGEN (kazakhstan)**, **BABUXADIA ANZORI**, **BAKASVILI NIKOLOZ, BARATASVILI EVGENI**, **BERIZE TEIMURAZ** - (Dean of Economics and Buziness Faculty of Tbilisi state University), **GVALIA NARGIZI, GOGOXIA REVAZI** - (Editor-in-Chief of magazine “Economy and business”.), **GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI** - (BaTumi of state University Sh. RusTaveli), **DANELIA TAMAZI**, **DATASHVILI VAXTANGI** - (Editor-in-Chief of magazine “Economic XXI”), **ELIAVA LIA, VASHAKIDZE ARCILI, ZALENIENE INGA (Vice-doctor for Research and International Relations Mykolas Romeris University, Lithuania) IZORIA MARINA, IMEDADZE TAMAZI** - (Vice-Prezident of Georgian Academy of Business Science), **KUNCHULIA TAMAZI** - (Member of Georgian Academy of Agriculture), **KILASONIA GIVI, KURTANIDZE DAVITI** - (USA), **KUCHUXIDZE ROMANI, KVALIASHVILI VAJA** - (Member of Georgian Academy of Agriculture), **KVASHILAVA ALEKSANDRE, KOBAIDZE TAMAZI, LABARTYAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI**, **LEKASHVILI EKA** , **MALASHKHIA GIORGI, MESKHIA IAKOBI (IASHA)** - **MAMEDOV FIZULI** - (Azerbaijan,), **MEQVABISHVILI ELGUJA** ,**NADIRASHVILI GAIOZI**, **NARMANIA DAVIT** - (Mayer of Tbilisi), **NADARAIA NUGZARI** - (Prezident of the Academy of Fazisi Sciences), **PAICHADZE NUGZARI, RUXAIA XIMURI** - (i. vekuas sax. maTematikis institutis ganyofilebis ufrosi), **ROKETLISHVILI MIKHEILI** - (USA), **SILAGADZE AVTANDILI** - (Member of Georgian national Academy of Science), **SARGSYAN HAYK** - Dean, Professor, Department of economics of Yerevan State University, **UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI** - (Editor-in-Chief of magazine `The New Economist”), **KESHELASHVILI OMARI** - (member of Georgian Academy of Agriculture), **KUFUNIA GURAMI, KORGANASHVILI LARISA, CHIQAVA LEO -** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science; President of the Georgian Academy of Economics Sciences), **CHIXLADZE NIKO** - (State University of KuTaisi), **DZNELADZE SOSO, CHITANAVA NODARI** - (member of Georgian Academy of Agriculture; vice-president of Georgian Academy of business Science), **CHUMBURIDZE MAMIA, CHILADZE GEORGE, XADURI NODARI** - (Minister of Finance of Georgia), **XARABADZE ELENE, JAVAKHISHVILI REVAZI, JOLIA GURAMI, МЕЛЬНИК ТАТЬЯНА НИКОЛАЕВНА** - Профессор, доктор экономических наук, заведующий кафедрой международной экономики Киевского национального торгово-экономического университета, **ДАНИЛЬЧЕНКО АЛЕКСЕЙ ВАСИЛЬЕВИЧ** - Доктор экономических наук, профессор, заведующий кафедрой международных экономических отношений факультета международных отношений Белорусского государственного университета, **АЛИРЗАЕВ АЛИ** - Доктор экономических наук, профессор, заведующий кафедрой экономики и управления социальной сферой Азербайджанского государственного экономического института, **БОРЗДОВА ТАТЬЯНА** - Доктор экономических наук, профессор, заведующий кафедрой управления недвижимостью Государственного института управления и социальных технологий Белорусского государственного университета.

შინაარსი

1. **ირაკლი მიქაძე** 4
შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემა და XIX-XX საუკუნეების აშშ-ს ეკონომიკა

2. **პავლე ჩაგელიშვილი** 8
მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკვები ბაზის განვითარების ახალი მიმართულების შესახებ

3. **ეკა ლეკაშვილი** 11
შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემა და XIX-XX საუკუნეების აშშ-ს ეკონომიკა

4. **ჯიმშერ სირაძე** 17
სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობის განვითარების ეტაპები

5. **ლარისა დოლიკაშვილი** 20
"სტუმარმასპინძლობის" ცნებითი ტერმინები და განსაზღვრებები

6. **ნიკო ჩიხლაძე** 22
შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემა და XIX-XX საუკუნეების აშშ-ს ეკონომიკა

7. **მაია გელანტია** 28
„პოსტკონფლიქტური ვითარება დნესტრისპირეთში და აფხაზეთში - შედარებითი ანალიზი".

8. **ვაჟა ჩოჩია** 32
დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიის გაერთიანების პირველ წლებში

9. **გურამ მარხულია** 32
ანარქიზმის ფილოსოფია და ანარქიზმი სომხურად

ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია 20 წლისაა! 45

გამოცემები, ახალი წიგნები

აღიარებული მეცნიერის კიდევ ერთი შედევრი 47



შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემა და XIX-XX საუკუნეების აშშ-ს ეკონომიკა

ირაკლი მიქაძე
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აშშ-ს ეკონომიკა არის თავისუფალი, დინამიური საბაზრო სისტემა, რომლის მამოძრავებელი ძალაა მწარმოებლები, მომხმარებლები, ინვესტორები და რიგითი მოქალაქეები - ამომრჩევლები. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსების უდიდესი ნაწილი კერძო მფლობელობაშია, ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში.

აშშ-ს ეკონომიკა, რომელიც სულ რაღაც 250 წლისაა, წარმატებული აღმოჩნდა. აშშ-ს მოსახლეობა, სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 5%, XXI საუკუნის დასაწყისისათვის აწარმოებდა მსოფლიო პროდუქციის 25%-ს. აშშ-ს ეკონომიკა 2-ჯერ უსწრებს ასევე წარმატებული ქვეყნის – იაპონიის ეკონომიკას, ხოლო მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში.

საბაზრო ეკონომიკაში ხელისუფლების როლი უნდა იყოს მცირე, მაგრამ მისი ჩარევა აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის თანა-ბარი გამოყენების, უსამართლო ქმედებების არიდების, ინფლაციის შეზღუდვისა და ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ დიდი ინვესტიციები განახორციელა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში: მელიორაციული სისტემების, გზების მშენებლობაში, ეხმარებოდა და წარმართავდა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. ამავე დროს, ხელისუფლება ზრუნავდა იმ სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელებაზე, რომლებსაც კერძო სექტორი ან შეუძლებლად მიიჩნევდა, ან არ ჰქონდა დაფინანსების სურვილი.

აშშ-ს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ჯორჯ ვაშინგტონის მთავრობის ხაზინის მდივნის, ალექსანდრე ჰამილტონის დროიდან დაწყებული მუდმივად არსებობს წინააღმდეგობა, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ხელისუფლებამ ეკონომიკაში. ეკონომიკაში ჩარევის ინტენსივობა სხვადასხვაა და იცვლება დროში. მთავრობის ჩარევით მოხდა ინდუსტრიების გარკვეული მიმართულებების სტიმულიზაცია, ბიზნესის დარეგულირება, დამცველი ტარიფების შემოღება იმპორტისაგან თავის დაცვის მიზნით, როდესაც საფრთხე შეექმნა მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებას და ა.შ.

ჰამილტონის პოლიტიკური მოწინააღმდეგე, თომას ჯეფერსონი თავის ფილოსოფიას აგებდა რიგითი ადამიანის დაცვაზე მდიდარი ფენის პოლიტიკური და ეკონომიკური ტირანიისაგან. იგი განსაკუთრებით უჭერდა მხარს მცირე ფერმერებს. 1801 წელს ჯეფერსონი აირჩიეს პრეზიდენტად, მან დაიწყო უფრო დეცენტრალიზებული, აგრარული დემოკრატიის პოლიტიკის გატარება.

1829 წელს აშშ-ს პრეზიდენტი გახდა ენდრიუ ჯექსონი, რომელიც გამოვიდა ფედერალური ბანკის წინააღმდეგ. 1816 წელს ჩამოყალიბებულმა ფედერალურმა ბანკმა არსებობა შეწყვიტა 1833 წელს. მის ნაცვლად, წარმატებით ფუნქციონირებდნენ ცალკეული შტატების ბანკები.

1860 წელს აშშ-ს პრეზიდენტი გახდა აბრაჰამ ლინკოლნი. ამ დროს ქალაქებში ცხოვრობდა მოსახლეობის 16%, ხოლო წარმოება იძლეოდა ქვეყნის შემოსავლის 1/3. ამ პერიოდს განეკუთვნება რესპუბლიკური პარტიის შექმნა, რომლის პრიორიტეტი იყო ინდუსტრიალიზაცია. 1861 წელს მიიღეს პროტექციონისტური ტარიფები, 1862 წელს დაფუძნდა წყნარი ოკეანის პირველი რკინიგზის საზოგადოება, 1863-1864 წლებში შემუშავდა ეროვნული ბანკის წესდება. 1861-1865 წლების სამოქალაქო ომში გაიმარჯვა აშშ-ს ჩრდილოეთმა, ხოლო რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნებში მოიპოვა უპირატესობა. დამარცხდნენ სამხრეთის პლანტატორები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მონათმფლობელობას.

აშშ-ს ეკონომიკა კარლ მარქსის განმარტებით კაპიტალისტური ეკონომიკაა, რომელიც ნიშნავს, კაპიტალისტების მცირე ჯგუფების მიერ ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილზე კონტროლს. ამ განმარტების საწინააღმდეგოდ, ამერიკელ ეკონომისტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ კაპიტალიზმი გულისხმობს „თავისუფალ მეწარმეობას", სისტემას, რომელიც სასარგებლოა მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის. „თავისუფალი მეწარმეობის" იდეის მთავარი პრობლემაა, თუ როგორ ხდება მისი განხორციელება.

ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეული ეკონომიკური სისტემის ტიპი წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგს, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს ამ ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან და რომელიც დროის განმავლობასი გადაიზრდება ეროვნულ კულტურაში.

ეკონომიკური სისტემა, პირველ რიგში, წარმოებისა და განაწილების მეშვეობით განსაზღვრავს და შემდეგ, აკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებებს საქონელზე და მომსახურებაზე. ეკონომიკური სისტემა მექანიზმია, რომელიც აკავშირებს ბუნებრივ და შრომით რესურსებს, ტექნოლოგიებსა და საქმისმაძიებელ და მართვისუნარის მქონე ნიჭიერ ადამიანებს.

ეკონომიკური სისტემის პირველი შემადგენელი ნაწილია ბუნებრივი რესურსები, მეორე – თავისუფალი მუშახელი, მესამე – მუშახელის სიბეჯითე და კვალიფიკაცია. ჭარბი რესურსებისა და კვალიფიციური მუშახელის არსებობა წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის მხოლოდ ერთ სტრუქტურულ ნაწილს. მთავარია ბუნებრივი რესურსების მიმართვა მაქსიმალურ შედეგზე იმ სფეროებში, სადაც მათი გამოყენება რაციონალური და პროდუქტიულია.

ბუნებრივი რესურსების დიდი მოცულობები ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილი ინვესტიციებისათვის, მათი აკუმულირება ხდება პროექტებში. დაბანდებულ სახსრებთან შედარებით ეს საქმიანობა იძლევა მაღალი შემოსავლების მიღების საშუალებას, რომელსაც აკონტროლებს სამომხმარებლო მოთხოვნა. ინვესტიციების აკუმულაციის მიზნით იქმნება საინვესტიციო ფონდები. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ბიზნესის მართვა, კარგი მენეჯმენტი, რომელიც ეყრდნობა სისტემურ ანალიზს და ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს საქმიანი ოპერაციების წარმართვაში.

აშშ-ს მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი არჩევანი, თუ სად იმუშაონ და რა შექმნან, ვინ აირჩიონ ქვეყნის

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელმძღვანელებად. ეკონომიკურ სისტემაში, ფასების მეშვეობით მომხმარებლები, მწარმოებლები და მთავრობა ყოველდღე ღებულობენ გადაწყვეტილებებს. ამ სამი ჯგუფის დინამიური კავშირი აპირობებს ეკონომიკის ფუნქციონირებას. მომხმარებელი ეძებს საუკეთესო პროდუქტს იმ ფულის სანაცვლოდ, რასაც ხარჯავს, ხოლო მწარმოებელი – საუკეთესო ფასსა და მოგებას იმაში, რასაც ყიდის.

ხელისუფლება უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ახალისებს კონკურენციას და წარმართავს მომსახურების ისეთ სფეროებს, რომლებიც უკეთ ხორციელდება საზოგადოებრივი, ვიდრე კერძო ინსტიტუტების მიერ.

აშშ-ს მთავრობა სულ მცირე 4 გზით ახდენს გავლენას ეკონომიკაზე:

1) უშუალო მომსახურებით, რომლის სფეროს წარმოადგენს ფოსტა და სამხედრო სტრუქტურები. ამის საპირისპიროდ გზების უმრავლესობის გაყვანა და მოვლა ეკისრება თვითოეული შტატს. სახალხო განათლების ხარჯები ძირითადად ეკისრება, შტატის, საგრაფოს ან მუნიციპალურ მმართველობას; პოლიცია და სახანძრო – ადგილობრივი მთავრობების გამგებლობაში შედის;

2) რეგულაციითა და კონტროლით - ხელისუფლება არეგულირებს კერძო წარმოებას და ახორციელებს კონტროლს, რათა დაიცვას მოსახლეობის ინტერესები ბიზნესის თვალსაზრისით. სამთავრობო რეგულირება აუცილებელია ისეთ სფეროებში, სადაც კერძო ბიზნესს ეძლევა მონოპოლია. ასეთებია – სატელეფონო და ადგილობრივი სამსახურები, აგრეთვე, რკინიგზა. ხელისუფლება კომპანიებს აძლევს ზომიერი მოგების საშუალებას, მაგრამ ზღუდავს „ზემოგების" მიღებისაგან. საკონტროლო ღონისძიებები გამოიყენება მოსახლეობის დასაცავად, მაგალითად, კვების, პროდუქტებისა და მედიკამენტების წარმოების დროს და აყალიბებს წესებს, რათა უზრუნველყოს თანაბარი კონკურენცია;

1970-1980 წლებში ქვეყანაში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა მთავრობის მხრიდან ეკონიმიკის რეგულირების საკითხის მიმართ. ერთნი მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მხრიდან რეგულიაციას, მეორენი თვლიდნენ, რომ ამგვარი ჩარევა ეწინააღმდეგება თავისუფალ მეწარმეობას, ზრდის ბიზნესის ხარჯებს და ხელს უწყობს ინფლაციას. ამგვარმა მოსაზრებებმა გადააწყვეტინეს პრესიდენტ ჯიმი კარტერს შეემცირება კონტროლი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინდუსტრიების მიმართ. ამავდროულად, ფედერალურ სამსახურს მიეცა რჩევა, მეტი მოქნილობა გამოეჩინათ ნორმატული აქტების ამოქმედებისას.

1980-ან წლებში პრესიდენტ რონალდ რეიგანის საკანონმდებლო საქმიანობამ, კიდევ უფრო დაასუსტა რეგულაცია ხელისუფლების მხრიდან. მაგალითად, სამომხმარებლო პროდუქტების უსაფრთხოების კომისიამ მიიღო პროგრამა, რომელიც კომპანიებს აძლევდა უფლებას შეექმნათ საკუთარი მიზნობრივი პროექტები. ამ ღონისძიებამ საჰაერო ტრანსპორტზე, დასაწყისში ხელი შეუწყო კონკურენციის ზრდას და გამოიწვია მგზავრობის ფასის დაწევა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, ავიაკომპანიების რაოდენობა შემცირდა მათი გაერთიანების შედეგად, რის გამოც, მოსალოდნელი სასარგებლო ეფექტი შემცირდა, ან გახდა უმნიშვნელო.

მეორეს მხრივ, ტელეკომუნიკაციების უფლებების გაზრდის შედეგად შეიქმნა კონკურენცია სატელეფონო მომსახურების ინდუსტრიაში. ბოლო წლებში ფედერალური სამსახურები განსაკუთრებით აქცევენ ყურადღებას ისეთ სფეროებს, როგორიცაა - ფინანსური სექტორის მართვა და გარემოს დაცვა. ეს სფეროები სულ უფრო აქტუალური ხდება;

3). სტაბილიზაციითა და ზრდით. აღმასრულებელი ხელისუფლება, კონგრესი და ფედერალური სარეზერვო სისტემა ცდილობენ დაარეგულირონ საპირისპირო მოვლენები – ეკონომიკური ბუმი და ინფლაცია, ეკონომიკური აჩქარება და დეპრესია. შედეგი მიიღწევა გადასახადების ოდენობის ცვლილებით, ფულის ემისიითა და კრედიტების გამოყენებით. ასევე, ხელისუფლებას აქვს საშუალება დაარეგულიროს საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყოფილი ხარჯები. ხელისუფლების მიზანია, დაბალანსებული ფედერალური ბიუჯეტის შექმნა;

4) უშუალო დახმარებით. მთავრობა უშუალო დახმარებებს უწევს ბიზნესმენებს, მაგალითად, ტარიფების მეშვეობით გარკვეული ტიპის ადგილობრივი საწარმო, უცხოურთან შედარებით ნაწილობრივ თავისუფლდება კონკურენციისაგან. იმისათვის, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ნაწარმის რეალიზაცია, საქონლის იმპორტი ზოგჯერ იზღუდება ან იბეგრება. მთავრობა ეხმარება ფერმერებს სუბსიდირებით მათი მოსავლის რეალიზაციის პროცესში. გარდა ამისა, ხელისუფლება ეხმარება ფულადი სახსრებითა და სოციალური დაზღვევის პროგრამებით ფიზიკურ პირებსა და მათ ოჯახებს, დაბალი შემოსავლის მქონე მრავალშვილიან ოჯახებს, მოხუცებს, ხეიბრებს, უმუშევრებს, პენსიონერებსა და აბორიგენებს.

აშშ-ს მთელი ეკონომიკა შედგება საქონლის წარმოებისა და მომსახურებისაგან. მის 2/3-ს მოიხმარს ცალკეული პიროვნებები, დანარჩენი 1/3 შეისყიდება მთავრობისა და ბიზნესმენების მიერ. ამგვარი შეფარდების გამო, აშშ-ს მოქალაქეებს ახასიათებენ, როგორც „სამომხმარებლო ეკონომიკის" მქონე ერს. მომხმარებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკაზე. იგი არჩევს საუკეთესო ხარისხის, დაბალი ფასისა და ეკოლოგიურად სუფთა საქონელს.

მიუხედავად წარმატებებისა ეკონომიკაში და ფედერალური და ადგილობრივი მთავრობების მცდელობებისა, აშშ-ს, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, აწუხებს სიღარიბის პრობლემა. შრომის დეპარტამენტმა განსაზღვრა შემოსავლის ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია 4 კაცისაგან შემდგარი ოჯახის ბაზისური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს ოდენობა გარკვეულწილად მერყეობს ინფლაციის, ცხოვრების ხარჯებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 1990 წელს 4 კაცისაგან შემდგარი ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალი 13360 დოლარზე ნაკლები იყო, მიეკუთვნებოდა ღარიბთა კლასს. ამ დროისათვის ღარიბები შეადგენდნენ აშშ-ს მოსახლეობის 12,8%. მაგრამ ღარიბების შემოსავლები ფაქტიურად გაცილებით მაღალი იყო, რადგან გარდა ბაზისური შემოსავლისა, ეს ადამიანები ღებულობდნენ დანამატებს: კვების ტალონებს, უფასო სამედიცინო მომსახურებას, ვაუჩერებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი სარგებლობს საზოგადოებრივი თავშესაფრებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ინფლიაციის გამო, ღარიბების შემოსავლები განიცდის კლებას.

დიდი განსხვავებაა, ასევე, ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს შორის. ქალაქებში უფრო განვითარებულია ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული შემოსავლები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ახალი აღმოჩენების ხანა, რომელსაც ეწოდა „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია". 1859 წელს დასავლეთ პენსილვანიაში აღმოაჩინეს ნავთობი, 1868 წელს –

საბეჭდი მანქანა (გ.ლ.შოლი), 1875 წელს გამოიყენეს რკინიგზის პირველი ვაგონ-მაცივარი (გ.ვ. სუიფტი), 1876 წელს გამოიგონეს ტელეფონი (ა.გ. ბელი), 1877 წელს – ფონოგრამა (თომას ედისონი), 1879 წელს – „ბენზინის ეტლი:" (ჯ. სელდენი), 1882 წელს ამუშავდა ელექტროსადგური (თ. ედისონი), 1903 წელს ჰაერში აიჭრა თვითმფრინავი (ძმები რაიტები). 1850 წლიდან ტბა სუპერიორის რეგიონში დაიწყო რკინის მადნის მოპოვება, რამაც განაპირობა დიდი ტბების გასწვრივ რკინისა და ფოლადის მწარმოებელი ქარხნების განვითარება. შემდეგ აღმოაჩინეს სპილენძის, ვერცხლისა და ტყვიის საბადოები. 1893 წელს მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა „დენამო", რომელიც მალე დაინერგა ჰიდროელექტროსადგურებზე.

ფრედერიკ ტეილორი იყო მეცნიერული მენეჯმენტის პიონერი, იგი ცდილობდა ანალიზის საფუძველზე მოეძებნა სამუშაოს შესრულების ეფექტური გზები.

ჰენრი ფორდმა 1913 წელს შექმნა ავტომანქანების პირველი ასაწყობი ხაზი, სადაც თვითოეული მუშა ვალდებული იყო შეესრულებია ერთი მარტივი მოქმედება.

აშშ-ში ჩამოყალიბდა „ბიზნესის საქმოსანის" სახე, რომლებმაც შექმნეს უზარმაზარი ფინანსური იმპერია. მათ შორის იყვნენ: ჯეი გოულდი, ჯ.პ. მორგანი, ენდრიუ კარნეგი, ჯონ დ. როკფელერი, ჰენრი ფორდი.

აშშ-ს ინდუსტრიული ბიუროკრატია უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სახელმწიფო ბიუროკრატია. 1890 წელს მხოლოდ 12 რკინიგზას ემსახურებოდა 100 ათასი კაცი, ხოლო სახელმწიფო აპარატში მსახურობდა 20 ათასი კაცი. აშშ-ს ზოგიერთი სამთავრობო ლიდერი ეწინააღმდეგებოდა ფედერალური ხელისუფლების ჩარევას კერძო სექტორში. ამგვარი დამოკიდებულების შეცვლა დაიწყო მე-XIX-ე საუკუნის ბოლოს, როდესაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა, ფერმერებმა და მუშათა მოძრაობამ მოთხოვა მთავრობას აეღოთ საშუამავლო ფუნქციები. ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბდა საშუალო კლასი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა როგორც ბიზნესის ელიტას, ისე მცირე ბიზნესს. საშუალო კლასი აქტიურად უჭერდა მხარს იმ მთავრობას, რომელიც აღიარებდა წარმოების სფეროში კონკურენციასა და თავისუფალ მეწარმეობას.

1887 წელს მიღებულ იქნა კანონი რკინიგზების შესახებ, ხოლო 1890 წელს კანონი, რომელიც ზღუდავდა მსხვილი ფირმების მიერ ერთი სახის წარმოების კონტროლს (შერმანის ანტიტრასტული აქტი). ეს კანონები სრულად ამოქმედდა 1900-1920 წლებში, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსები. ამ პერიოდში შეიქმნა ცნობილი „მარეგულირებელი სააგენტოები", კერძოდ, შტატებს შორის ვაჭრობის კომისია, საკვებისა და ფარმაცევტული ადმინისტრაცია და ფედერალური სავაჭრო კომისია.

1929-1940 წლების ეკონომიკის დიდი დეპრესიის პერიოდში, ე.წ. „ახალი შეთანხმება" წარმოადგენდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის მხრიდან კრიტიკული მდგომარეობის შემსუბუქების მცდელობას. „ახალი შეთანხმების" საკანონმდებლო აქტების თანახმად, ფედრალური ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა შეეხო საბანკო სფეროს, სოფლის მეურნეობას, სოციალურ დაცვასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას – მშრომელთა პრობლემებს. დაწესდა მინიმალური სტანდარტები ხელფასის, სამუშაო საათების, დახმარებისა და უსაფრთხოების სფეროებში. შეიქმნა მშრომელთა კავშირები შემდეგ ინდუსტრიებში: მეტალურგიაში, საავტომობილო, რეზინისა და კაუჩუკის მრეწველობაში.

აშშ-ს წინაშე წარმოიშვა პრობლემები: წარმოებისა და ფინანსური რესურსების ქსელის შექმნა დიდი მასშტაბის ინდუსტრიების, ბანკების, საფონდო ბირჟების, სადაზღვევო კომპანიებისა და საკრედიტო კავშირების ჩათვლით. შემდეგ შეიქმნა სოფლის მეურნეობის თანამედროვე სისტემა და კარგად ორგანიზებული მშრომელთა გაერთიანებები.

მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ს მთავრობა აგრძელებდა აქტიური ჩარევის პოლიტიკას ეკონომიკაში. შეიქმნა სამხედრო წარმოების საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევდა თავდაცვითი წარმოების პრიორიტეტების უზრუნველყოფას. თავდაცვის წარმოებაზე გადავიდა მრავალი საწარმო, რომლებმაც მიიღეს უამრავი სამხედრო მიმართულების დაკვეთები. ავტოქარხნები აწარმოებდნენ ტანკებსა და თვითმფრინავებს. ინფლიაციის შეზღუდვის მიზნით, ახლადშექმნილმა „ფასების მართვის ოფისმა" დაანესა კონტროლი ზოგიერთი შენობის იჯარაზე და მიიღო სამომხმარებლო საქონლის რაციონალური ოპერირებისა და ფასების ზრდის შეზღუდვის ღონისძიებები.

XX საუკუნის ბოლოსათვის წარმოიშვა ახალი ტერმინი „პრივატიზაცია", რომლის საშუალებით ხელისუფლების მიერ განხორციელდა კერძო სექტორისათვის ზოგიერთი ფუნქციის გადაცემა. 1991 წლიდან დაწყებული დიდი ქალაქების მუნიციპალიტეტები ქირაობდნენ კერძო კომპანიებს, რათა მათ განეხორციელებიათ ის საქმიანობა, რომელიც ევალებოდათ მუნიციპალიტეტებს. მაგალითად, ქუჩების განათება, ნაგვის გატანა და ა.შ. ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდა ნაკლოვანებები, მაგალითად, ზოგმა კერძო კონტრაქტორმა ძალიან დაბალ საფასურად შესთავაზა მომსახურება, რათა მიეღო კონტრაქტი, ხოლო შემდეგ მნიშვნელოვნად გაზარდა ფასები.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი შედგება ერთი წლის განმავლობაში ნაწარმოებ საქონლისა და მომსახურებისაგან. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ს ეკონომიკამ დიდი პროგრესი განიცადა. მთლიანი ეროვნული შემოსავალი 1940 წლის 200 მილიარდიდან გაიზარდა: 1950 წელს – 300 მილიარდამდე, ხოლო 1960 წელს 500 მილიარდამდე. ომისშემდგომი „ბავშვების ბუმის" გამო, გაზარდა მომხმარებელთა რაოდენობა. უმჯობესდებოდა სულ უფრო მეტი ამერიკელის ეკონომიკური მდგომარეობა და უახლოვდებოდა საშუალო კლასს.

ეკონომიკის ზრდის უამრავი საშუალება გაჩნდა: ტანკებისა და ბომბდამშენების ინდუსტრია ჩანაცვლებულ იქნა ავტომშენებლობის, სამოქალაქო ავიაციისა და ელექტრონიკის ინდუსტრიებით. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული პირვბისათვის ხელმისაწვდომი სესხების გაცემით, შეიქმნა პირობები ბინათმშენებლობისათვის.

ცივი ომის ესკალაციამ გამოიწვია თავდაცვის ხარჯების ზრდა. ფირმები ერთიანდებოდა, რის გამოც, იქმნებოდა უზარმაზარი დივერსიფიცირებული კონგლომერატები. მაგალითად, „ინტერნეიშნლ ტელეფონ ენდ ტელეგრაფმა" შეისყიდა „შერატონ ჰოტელსი", „კონტინენტალ შეივინი", „არტფორდ ჰაინ ინშურანსი" და „ავის რენტ.ე.კარი". იცვლებოდა მუშა ძალის განაწილება: 1950-ანი წლებში მომსახურეობის სფეროში მომუშავეთა რიცხვი ჯერ გაუთანაბრდა და შემდეგ გაუსწრო წარმოებაში დაკავებულთა რიცხვს. შედარებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაში. შრომის ნაყოფიერების ზრდამ გამოიწვია პროდუქტების ჭარბწარმოება. მცირე ფერმერებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას, რის გამოც, ბევრმა მათგანმა შეწყვიტა არსებობა.

საკუთარი სახლებისა და ავტომანქანების შეძენის მსურველთა რაოდენობის გაზრდამ, გამოიწვია მიგრაციული პროცესების გააქტიურება. მოსახლეობა დაიძრა დიდი ქალაქების ცენტრებიდან პრიფერიებისაკენ. ფედერალური მთავრობის სპონსორული დახმარებით გაყვანილმა ავტომაგისტრალებმა ხელი შეუწყო დიდი ქალაქების პერიფერიებთან დაკავშირებას. ნაკლებად დასახლებულ პუნქტებში გაიზარდა და გამრავლდა სავაჭრო ცენტრები და წარმოებები.

1960 წელს ჯონ ფ. კენედიმ შეიმუშავა ე.წ. „ახალი ზღუდეების" პროგრამა, რომლის საფუძველზე შეიქმნა „მშვიდობის კორპუსი", რომლის მოხალისე წარმომადგენლებს აშშ დღესაც აგზავნის შორეულ, განვითარებად ქვეყნებში. ლინდონ ბ. ჯონსონმა გამოაცხადა სოციალური პროგრამა „ომი სიღარიბეს", რომლის საშუალებით ღარიბთა და ხანდაზმულებისათვის განხორციელდა სამედიცინო დახმარების პროგრამა.

1973-1974 წლების არაბეთის ნავთობის ემბარგომ გაზარდა ფასები და შექმნა საწვავის დეფიციტი აშშ-ში. ემბარგოს შეწყვეტის შემდეგაც ფასები მაღალი დარჩა, რაც ზრდიდა ინფლაციასა და უმუშევრობას. 1980 წელს პრეზიდენტმა როლანდ რეიგანმა გამოაქვეყნა, ზღვრული გადასახადების შემცირების პროგრამა, რომელმაც უბიძგა მოსახლეობას ემუშავა უფრო ნაყოფიერად, გაზარდა დანაზოგები და მოიზიდა ინვესტიციები, ამ ღონისძიებებმა განაპირობა პროდუქტიულობის ზრდა და ეკონომიკის სტიმულირება.

რეიგანის ადმინისტრაციამ შეამცირა მთელი რიგი გადასახადები და ამავდროულად, წარმოადგინა სოციალური პროგრამების შეკვეცის პროგრამა. 1982 წელს აშშ-ში დაიწყო ღრმა ეკონომიკური რეცესია, რის შედეგად გასულ წელთან შედარებით, 50%-ით გაიზარდა ბიზნესის, განსაკუთრებით, ფერმერების გაკოტრება, რადგან დაეცა ფასები მარცვლეულზე და გაიზარდა საკრედიტო პროცენტი, ხ.ლო 1986-1988 წლებში მათ გაჭირვებას გვალვაც დაემატა. ფედერალური დეფიციტი იზრდებოდა და 1986 წელს მიაღწია 221 მილიარდს.

ნავთობის ფასების დაცემასთან და ფედერალური სარეზერვო ბანკის მკაცრ ფულად და საკრედიტო პოლიტიკასთან ერთად, ქვეყანამ გადალახა დაწყებული ინფლაცია. 1983 წლიდან ეკონომიკამ დაიწყო გაჯანსაღება და აშშ შევიდა სტაბილური ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივ პერიოდში. 1983 წლიდან 1987 წლამდე ფულის ინფლაცია 5%-ს არ აღემატებოდა წელიწადში. 1987 წელს ფედერალური დეფიციტი შემცირდა 150 მილიარდამდე.

1991 წელს აშშ-ს ეკონომიკის ზრდა შენელდა და რეცესიაში გადავიდა, ხოლო 1992 წელს კვლავ დაიწყო ზრდა. 1990 წლისათვის აშშ-ს ეკონომიკამ მთლიანი ეროვნული პროდუქციის მაჩვენებლით 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

ამ წარმატებას ხელი შეუწყო ეკონომიკურმა თავისუფლებამ, ახალი მიწების ათვისებამ, ბიზნესის ახალი დარგების განვითარებამ, ბუნებრივი რესურსების ათვისებამ, ახალი ტექნოლოგიებისა და პროცესების დანერგვამ. აშშ-ს ეკონომიკას XIX-XX საუკუნეებში ჰქონდა აღმასვლისა და კრიზისის პერიოდები, რაც დამახასიათებელია შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემისათვის, მაგრამ მთლიანობაში იყო წარმატებული.

შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემის ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც გაივლის იმ ეტაპებს, რომელიც დამახასიათებელი იყო აშშ-ს ეკონომიკისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის განსხვავება დიდია, რაც გამოიხატება ტერიტორიის სიდიდეში, ბუნებრივი რესურსების სიუხვეში, მოსახლეობის რაოდენობაში და ა.შ., გარკვეულწილად, მაინც საინტერესოა აშშ-ს მიერ განვლილი გზის, შეცდომებისა და წარმატებების ანალიზი, რომელიც დამახასიათებელია შერეული ეკონომიკის საბაზრო სისტემისათვის.

Annotation

many countries of mixed economy market system,including Georgia,will pass through the stages that were characteristic for the economy of the USA. Despite the fact that the difference between our countries is big, which is reflected in the size of the territory,natural resource abundance, population and so on, to some extent it is still interesting to analyse last mistakes and successes made by the USA in the past, which is characterized for the mixed economy market system.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Areeda, Phillip and Louis Kaplow # Antitrust Analisis: Problems, Text, Cases, 4th ed., Little, Brown, 1988.
2. Cyert, Richard M. and David M. Mowery, eds. # Technology and Employment: Innovation and Growth in the U.S. Economy, National Academy Press, 1987.
3. Derthick, Martha and Paul J. Quirk # The Politics of Deregulation, Brookings of Institution, 1985.
4. Donahue, John D. # The Privatization Decision: Public Ends, Private Means, Basic Books, 1989.
5. Ebeling, Walter # The fruited Plain: The Story of American Agriculture, University of California Press, 1979.
6. Gill, William J. # Trade Wars Against America: A History of the U.S. Trade and Monetary Policy, Greenwood, 1990.
7. Spulber, Nicholas # Managing the American E conomy, from Roosevelt to Reagan,Indiana University Press, 1989.
8. Weidenbaum, Murray # Rendezvous with Reality: The American Economy After Reagan, Basic Books, 1988.



ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პავლე ჩაგელიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური პროგრესისა და წარმოების მასშტაბების ზრდა, სულ უფრო მეტი რაოდენობის მატერიალურ რესურსებს მოითხოვს, უკანასკნელ 2-0—30 წლის მანძილზე კაცობრიობამ იმაზე მეტი რაოდენობის ნედლეული გამო-ყენა, რაც მთელი მისი არსებობის მანძილზე. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის 15% კვების პროდუქტების რაოდენობრივ ნაკლებობას განიცდის, ხოლო მოსახლეობის 60 % იკვებება არა სრულფასოვანი საკვებით. ცნობილია, რომ კვების პროდუქტების მსოფლიო წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება, ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ცილები და ამინომჟავეები, რომელთა დეფიციტი მსოფლიოში 20 მილიონ ტონას შეადგენს წელიწადში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცილის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე. მიუხედავად კვების პროდუქტების დეფიციტისა, ჯერ კიდევ საკმაოდ არა რაციონალურად ვიყენებთ ძვირფას სასოფლო—სამეურნეო ნედლეულს.. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი (40—50%) ნარჩენების სახით სანაგვეებზე იყრება. მსოფლიოს მეცნირების აზრით კვებისპროდუქტებითმოსახლეობისუზრუნველყოფა შესაძლებელია კვების პროდუქტების არა ტრადიციული ნედლეულის (ნარჩენების) გამოყენებით. კვების პროდუქტების წარმოებისათვის ნარჩენების გამოყენება საკმაოდ მაღალრეტაბელურია იმის გამო, რომ მათ დამზადებაზე და ტრანსპორტირებაზე უკვე გაწეულია კაპიტალური დანახარჯები, მათი ძირითადი, მაპროფილებელი პროდუქციის დამზადების პროცესში, რომლის ოდენობა 60—70%—ს. შეადგენს. ხშირ შემთხვევაში ნარჩენებისაგან დამზადებული პროდუქტების კვებითი ღირებულება, არ ჩამოუვარდება პირველადი ნედლეულისაგან დამზადებუ მსოფლიოს ეკონომისტების გაანგარიშებით კვების პროდუქტების 20-25% შეიძლება მივიღოთ ნარჩენებისა და მეორადი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. საქართველოში კვების მეორადი ნედლულის მილიონ ტონაზე მეტი წარმოიქმნება კვების, ვაჭრობის, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, მაკულატურის სახით, რომელთაგანაც შესაძლებელიამაღალი კონცენტრაციის ცხოველთა საკვები ცილების მიღება. მეცხოველეობის ინტენსიური განვითარებისათვის მოზარდი ცხოველებისა და ფრინველების დაჩქარებული ზრდისა და წონაში მატებისათვის აუცილებელია 40—% -ის ცილის შემცველი საკვების გამოყენება, იმ დროს როდესაც ტრადიციულ საკვებში ცილების შემადგენლობა არ აღემატება 10—15 %¬—ს.

ასეთივე მდგომარეობაა ადამიანის კვებაში. სტატისტიკური მონაცემებით ცილის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე დღე ღამეში 1990 წლისათვის განვითარებულ კაპიტალისტუერ ქვეყნებში შეადგენდა 92 გრამს, დანარჩენ ქვეყნებში 54.6 გრამს, მათ შორის ცხოველური ცილების 17-20 გრამს, ნაცვლად 59 გრამისა. ყველაზე ოპტიმისტური გაანგარიშებით, ამჟამად მსოფლიოში საკვები ცილის დეფიციტი შეადგენს 20 მლნ ტონას. სასოფლო—სამეურნეო კულტურების ფართობების ზრდა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, საკმარისი არ არის ცილის დეფიციტის დასაფარავად. ამიტომ მეცნიერებამ გამონახა ცილის დეფიციტის დაფარვის ერთ—ერთი რეალური გზა — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან ცხოველთა საკვები ცილების მიღების მიკრობიოლოგიური მეთოდით. ამრიგად წარმოიშვა ცილოვანი პროდუქტების მრეწველობის ახალი დარგი. — მიკრობიოლოგიური მრეწველობა მეორადი ნედლეულისაგან მიკროორგანიზმებს, შეუძლათ 24 საათში დააგროონ დიდი რაოდენობის (30-50%-ს) შემცველობის ცილები. ცილების მიღების მიკრობიოლოგოური მეთოდი, მცენარეული და ცხოველური ცილებისა დაამინომჟავეების მიღების ერთ—ერთი პერსპექტიული და მაღალრენტაბელური მეთოდია, მისი უპირატესობაა ბიომასის მიღების მცირე დრო (2-2.,5 დღე) და მაღალი ეფექტიანობა.. ამ მეთოდის გამოყენებით საკვები ცილები მიიღება 500 — ჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე ყველაზე მაღალმოსავლიანი სასოფლო— სამეურნეო კულტურებისაგან და 1000 - ¬5000 –ჯერ, უფრო სწრაფი, ვიდრე ყველაზე პროდუქტიული ცხოველებისაგან,. ამასთან მისი მიღება ნაკლებად შრომატევადია, მიკროორგანიზმები გადაამუშავებენ კვების ნარჩენებს აპარატებში, ექვემდებარებიან პროცესების ავტომატიზაციას, დამოკიდებული არაა გარემო პირებებზე, მისი ორგანიზაცია შესაძლებელია დედამიწის ნებისმიერ ტერიტორიაზე. მიკროორგანიზმების საკვებად გამოიყენება კვებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ნარჩენები და მეორადი ნედლეული, რომელიც დღეს სანაგვეებზე იყრება და წამლავს ატმოსფეროს. ამჟამად ამინომჟავეების წარმოების მოცულობამ მსოფლიოში 400 ათას ტონას გადააჭარბა. მათი მწარმოებილი ქვეყნებია: იაპონია, საფრანგეთი და აშშ. საბჭოთა კავშირში 1967 წელს შეიქმნა მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო. 1978 წელს ამ დარგმა მეცხოველეობას მისცა 15 – ჯერ მეტი საკვები საფუარი ვიდრე 1966 წელს. მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა ამ მიზნით უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები. კერძოდა ამერიკაში ცილებს ღებულობენ ჭარხლის, ლერწმის, თამბაქოსა და ქაღალდის მრეწველობის ნახერხისა და ცელულოზის შემცველ სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან ლუიზინისა და ტეხასის უნივერსიტეტებში სამრეწველო ფირმებთან ერთად შემუშავებული იქნა ცილის სამრეწველო დანადგარის პროექტი 60 ათასი ტონა წელიწადში წარმადობით ფინეთში აშენებულია საფუარის ქარხანა, რომელიც ცელულოზის ნარჩენებისაგან 9—10 ათას ტონა ცილას ამზადებენ წელიწადში. მათი სპეციალისტების დახმარებით ასეთი ქარხანა აშენდა შვეიცარიაში, სადაც ცილებს ამზადებენ ბრინჯისა და სახამებლის ნარჩენებისაგან. საქართველოში ცხოველთა საკვები ცილების წლიური მოთხოვნილება წელიწადში 60 ათას ტონას აღემატება. ფაქტიურად უკანასკნელ წლებში (2000—2004 წწ) ნახერხისა და მუყაოს ნარჩენებისაგან გიდროლიზის გზით იწარმოებოდა ცხოველთა საკვებათ, მხოლოდ 5,.0 ათასი ტონამდე ცილოვანი საკვები, ახმეტისა და ზუგდიდის ქარხნებში.მიუხედავად მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დაბალი განვითარებისა მის პროდუქტიულობის ამაღლებაზე არავინ ზრუნავდა საქმე ის არის, რომ ამ დარგის განვითარებისათვის

ტრადიციულად გამოიყენება დაბალი კალორიულობისა და ცილის შემცველობის საკვები, მეცხოველეობაში ნედლი და ხმელი ბალახი— (თივა დ ჩალა), მეფრინველეობაში კი ხორბალი და ბალახი, ყველა ამ სახის საკვებში ცილის შემცველობა არ აღემატება 8-10 %-ს, იმ დროს როდესაც ფრინველისა და მოზარდი ცხოველების ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია 30-40 %— ცილის შემცველობის საკვები. ცილა ცოცხალი ორგანიზმის ზრდისა და განვითარების აუცილებელი პირობაა, ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა ამ დარგის ინტენსიური განვითარება, პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ მისი ხარისხიანი საკვები ბაზის უზრუნველყოფაზე. მეცნიერებამ ამ საკითხში სერიოზული განაცხადი გააკეთა, მან მოგვცა ცელულოზისა და რთული შაქრებისაგან ცილის მიღების გზები. ხის დამუშავებით მიღებული ნახერხის ჰიდროლიზით ახდენენ არა ორგანული მჟავეებისმარილისა და გოგირდის მჟავეების საშუალებით, რაც საკმაოდ ძვირი და რთულია. ამიტომ დამუშავებული იქნა კვების მრეწველობის ნარჩენებისაგან მიკრობიოლოგიური მეთოდით ცილის მიღება. 1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტის მეცნიერ მუშაკთა ინიციატივით ექსპერიმენტული ნაწილის ხელმძღვანელი აწ. განსვენებული პროფ. გ. მიქელაძისა და ეკონომიკური ნაწილის ხელმძღვანელი პ.ჩაგელიშვილის ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით 1981 წელს შეიქმნა დარგობრივი სამეცნიერო- კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც დაევალა არა ტრადიციული მატერიალური რესურსების ექსპერიმენტული და ეკონომიკური კვლევა. ათ მათ შორის ექსპერიმენტული ნაწილის კვლევა დაევალა უნივერსიტეტის პროფესორს გივი მიქელაძეს, ხოლო ეკონომიკური ნაწილის დამევალა მე. ეკონომიკური კვლევის საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა მათი მოსალოდნელი რაოდენობა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებისა და ნარჩენების სახეობების მიხედვით

კვების მეორადი ნედლეულის რაოდენობა საქართველოში ათ. ტონ.) დარგების დასახელება ფაქტიურ 1 990 წ მოსალოდნელი 2012 წ

1.სულ კვების მრეწველობაში	490	670
2.ხორცისა და რძის სამინისტროში	240	279
3.ამზადებისა და ვაჭრობის სამინისტროში	200	220
4.სოფლის მეურნეობის სამინისტროში	414	500
5.სულ საქართველოში	1344	1669

საქართველოს სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტები ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ (1980— 1988 წწ) მეორადი მატერიალური რესურსების ეკონომიკურ და ექსპერიმენტულ საკითხებში, მოსკოვის მიკრიბიოლოგიის კვლევით ინსტიტუტთან ერთად.: თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის 12- მდე ბიოლოგი და ქიმიკოსი 8 წლის განმავლობაში ნაყოფიერად შრომობდა: დამუშავებული იქნა მეორადი რესურსებისაგან ცილოვანი საკვების დამზადების ტექნოლოგია და მისი გამოცდა, ჩატარდა ამ რესურსების რაოდენობის პასპორტიზაცია, დარგებისა და რაიონების მიხედვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ—ს დარგობრივი ლაბორატორიის პროფესორების (აწ განსვენებულ) გივი მიქელაძისა და და ამ სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპერიმენტული და ეკონომიკური კვლევა და კვლევის შედეგების საწარმოო გამოცდა. 1984 წლის სექტემბერში ახმეტის მიკრობიოლოგიურ ქარხანაში თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკების მიერ დამზადებული, იქნა მათ მიერ დამუშავებული ტექნოლოგიით ყურძნის ეაჭაჭისაგან 10 ტონა მაღალი ცილის შემცველი 3(35-40 %) ბიომასა მიღებული პროდუქცია (ბიომასა) გამოყენებული იქნა ბროილერის გამოსაკვებათ, 3 დღიანი წიწილების გამოკვება წარმოებდა 67 დღის განმავლობაში, რამაც საუკეთესო შედეგები მოგვცა. ცილოვანი ბიომასისაგან გამოკვებული იქნა ბროლერის სამი ჯგუფი, თითოეული ჯგუფი შედგებიდა 300 3 დღიანი ბროილერისაგან. გამოცდის შედეგის დასადგენათ შეიქმნა სპეციალური სადეგუსტაციო კომისია, ,რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ტექნოლოგები, სანიტარული სასახურის მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სპეციალისტები, საქართველის საკვების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსი, და სხვა

წამყვანი სპეციალისტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკები და ახმეტის მიკრობიოლოგ. ქარხნის სპეციალისტები და თსუ—ს დარგობრივი ლაბორატორიის სპეციალისტები . (აქტი , 1 1984 წ 24 სექტემბერი). 1985 წელს (1985 70/18) საქართველოს ღვინის მრეწველობის კომიტეტი აკეთებს განცხადებას, რომ მას შეუძლია დაწყებული 1986 წლიდან ყოველწლიურად მიაწოდოს კახეთის ზონიდან ქარხნებიდან 40 ათასი ტ. ღვინის წარმოების ნარჩენენები. მათშორის:

1. ახმეტის ღვინის ქარხნიდან 5000 ტ.ონა
2. წინანდალის საწ/გაერთ. 7000 "
3. გურჯანის "—" 10000 "
4. ქინძმარაულის "—" 7000 "
5. სიღნაღის ღვ/კომ. 5000 "
6. წითელი— წყარო ღ/ქ 5000"
7. ბაისუბნის ღ/ქ 1000

(ცნობას ხელს აწერს მეღვინეობის კახეთის ზონის მაშინდელი მმართველი თ. .ლოლაძე)

1984 წლის 10 სექტემბერს ასევე ჩატარდა ცილოვანი ბიომასით ქათმების გამოზრდა, კოდას ჯორჯიაშვილის სახელობის მეფრინველეობისფაბრიკაში, სადაც ამავე მეთოდით გამოზრდილი იქნა ქათმების სამი ჯგუფი. სამივე ჯგუფში შენარჩუნებული იქნა გამოსაზრდელი წიწილების რაოდენობის 84 - 86%. მათი დაკვლის შედეგათ დადგინდა: პირველი ჯგუფის ერთი ქათმების საშუალო წონა 1793.,89; მეორე ჯგუფის— 1796.,87 და მესამე ჯგუფის-1666.67 გრამი. საშუალო დღეღამური ნამატი შეადგენდა- 26,19, 26,23 და 24,.29 გრამს, რაც ათჯერ მეტია ვიდრე ჩვეულებრივი ტრადიციული საკვების გამოყენების" შემთხვევაში.(კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის წერილი თსუ—ს ლაბორატორიის უფროსს გ. მიქელაძეს 10.09.841 01—11/639)ჩემს მიერ უნივერსიტეტის დარგობრივ ლაბორატორიაში ჩატარებული ტექნიკურ —ეკონომიკური კვლევის შედეგები წარდგენილი იქნა საქართველოს საგეგმო კომიტეტში. რის შესახებ 1984 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე ქალბატონი ჩოფიკაშვილი აცნობებს თსუ—ს პრორექტორს ბატ. ნ. ამაღლობელს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გაცნობებთ, რომ: საგეგმო კომიტეტმა განიხილა თქვენს მიერ წამოდგენილი მასალები "კვების ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის გამოყენების შესახებ, პავ-

ლე ჩაგელიშვილის მიერ შემუშავებული ცილოვან საკვების საწარმოთა ობიექტების მართვის სტრუქტურის სრულყოფის საკითხი, რომელიც გათვალისწინებული იქნება

საქართველოს მიკრობიოლოგიურა მრეწველობის განვითარებისა და გაადგილების გეგმის შედგენის დროს, კერძოდ კი გიდროლიზისა და საფუარის ქარხნების აბაშაში და გურჯანში, საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის, მცხეთაში და ახმეტის ბიოქიმიური ქარხნის რეკონსტრუქციის დროს. 1985 წლის აპრილში საქართველოში ჩატარებული იქნა წარმოების ინტენსიფიკაციის კონკურსი, (გაზეთი " ''ზარია ვოსტოკა" 93 (18148) 23 აპრილი 1985 წ.), სადაც თსუ დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკებს მიენიჭათ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მესამე ხარისხის პრემია და ფულადი ჯილდო," ყურძნის ჭაჭის მიკრობიოლოგიური მეთოდით ცილით გამდიდრების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის. ხოლო 1989 წლის 15 მაისს სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა 4 მათგანზე - გივი მიქელაძეს, პავლე ჩაგელიშვილს, ლიანა ბაღაშვილს, ლიანა ანდღულაძეს მიეცათ გამოგონების საავტორო მოწმობა 1507787. საბჭოთა კავშირის მაშინდელმა მიკრობიოლოგიის სამინისტრომ 1985 წელს მცხეთიდან გასასვლელ ხიდთან., დაიწყო მიკრობიოლოგიური ქარხნის მშენებლობა, ჩაეყარა სარძიკველი და ამოყვანილი იქნა ბეტონის კოლონები, (რომელიც დღესაც ცენტრალური ავტომაგისტრალიდან კარგათ ჩანს), რისთვისაც 1985 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მას გამოუყო 1 მლნ 850 ათასი მანეთი, ხოლო 1987 წლისათვის 2 მლნ 850 ათასი, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო მშენებლობა შეჩერებული იქნა.

ჩვენის აზრით, სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება, განსაკუთრებით მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების და მის ბაზაზე ადამიანისათვის აუცილებელი ცილებით, ამინომჟავეებით უზრუნველყოფისათვის, დღეისათვის ყველაზე რეალური და მაღალრენტაბელური ღონისძიებაა, კვების მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენების გზით ღებულობენ კონცენტრირებულ ცილოვან ბიომასას, საღებავებს, ფერმენტებს, ამინომჟავეები და სხვა ადამიანისათვის აუცილებელ პროდუქტებსა და პრეპარატებს. საყოველთაოდ ცნობილია,. რომ ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა 20 სახის ამინომჟავას რომელთაგანაც, თერთმეტი სახის ამინომჟავას ორგანიზმი თითონ გამოიმუშავებს საკეთარი რესურსებით, ხოლო დანარჩენი 9 ამინონჟავა უნდა მიიღოს გარედან. ამიტომ თითოეული ქვეყანა თითონ უნდა აწარმოებდეს საჭირო რაოდენობის ამინომჟავეებს ან უნდა ყიდულობდეა მას სხვა ქვეყნიდან. იტალიაში, განსაკუთრებით ეფექტიანად იყენებენ ყურძნის ნარჩენებს ჭაჭასა და ღვინის ლექს,. მისგან ამზადებენ ღვინის ქვის მჟავას, ცილებსა და ამინომჟავეებს, საღებავებსა და პექტინს, ფერმენტებსა დ სხვა ადამიანისათვის მეტად საჭირო პროდუქტებს. ამიტომ აქ ყურძნის ნარჩენებს თვით ყურძენზე არა ნაკლები ღირებულება აქვს. დაუჯერებელია მაგრამ ფაქტია, რომ გქვეყანას ქონდეს მილიონობით ტონა მეორადი, თუმცა პირველად ნედლეულზე არანაკლებ ეფექტიანი რესურსი, რომელიც სრულიად საკმარისია საქართველოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ინტენსიური განვითარებისათვის', ძნელად დასაჯერებელიაი ქონდეს ტექნოლოგია და შენს თვალწინ იგი კანალიზაციის ქსე ლში ნიაღვრად ჩაედინებოდეს ან სანაგვეზე იყრებოდეს. მეორადი რაოდენობის ცილის შემცველი პროდუქტების დამზადებისათვის საჭიროა 2 მიკრობიოლოგიური ქარხნის აშენება. რომელთაგან თითოეული მათგანის ღირებულება ჩვენი გაანგარიშებით შეადგენს 2 მლნ აშშ დოლლარს. მეორადი ნედლეულისაგან საქართველოში ყოველწლიურად შესაძლებელია მივიღოთ 1500 ათასი ტონა ცილოვანი ბიომასა (30-35% ცილის შემადგენლობით) რაც ორჯერ აღემატება საქართველოს მეცხოველეობის იტენსიური განვითარების მოთხოვნებს.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ლაბორატორიის 1984-1988 წლების წლიური ანგარიშები

2) Газета Востока" 23 Апреля 1985 г- Победители конкурсов по интенсификации производства #93, 18148.

3) Авторское свидетелство #150778" Способ получения кормово-белковой добавки " Заявлитель _-Тбилисски Гос. Университет 10 А преля 1987 г.

ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ

სტატიაში წარმოდგენილია სოფლის მეურნებაში და მრეწველობაში ყოველწლიურად მიღებული საქართველოს მეორადი ნედლეული, მათი სახეობისა და რაოდენობის მიხედვით, რაც შეადგენს 2 მილიონამდე ტონას, რომლთაგანაც ახალი ტექნოლოგიით შესაძლებელია 30%—დე- მიკრობიოლოგიური ცილით გამდიდრებული საკვების მიღება, წელიწადში 1-1,5 მლნ. ტონის რაოდენობით, რაც 1,5- ჯერ აღემატება საქართველოს მეფრი.ნველეობის და მეცხოველეობის დღევანდელ მოთხოვნილებას. აღნიშნული ტექნოლოგია დამუშავებლია, თსუ-ს დარგობრივი ლაბირატორიის მიერ, გამოცდილია და მოწონებულია საქართველოს შესაბამის ორგანოების მიერ, ჯერ კიდევ 25 წლის წინათ.

SUMMERY

In Georgia every year from recycling industrial and farming products are made 1,8 – 1,9 million tons of secondary plural raw materials. With the modern technology from this secondary plural raw materials can be made 800-900 thousands of tons food that contains 30-35% protein and can be used for feeding animals and birds. And this amount of food is quite enough for intensive development of farming industry. In this article is given the technical and economical substantiation of this project.

ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხები ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ

ეკა ლეკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პრობლემის აქტუალურობა: ,,ვიშეგრადის ჯგუფი" შესაძლებელია განვსაზღვროთ, როგორც საშინაო და საგარეო საკითხებში რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმი ცენტრალური ევროპის ოთხ ქვეყანას უნგრეთს, ჩეხეთსა, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის. თანამშრომლობის ეს მექანიზმი შექმნილ იყო კომუნიზმის მემკვიდრეობის დასაძლევად და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისათვის საჭირო რეფორმების მხარდასაჭერად.

ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსად, ევროინტეგრაციის პროცესები პრიორიტეტულია აღმოსავლეთ ევროპის მოსაზღვრე რეგიონის ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიაანთი საზოგადოებების ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებით გაგრძელებას, ევროკავშირის სტანდარტებთან კორვენგენციას და ევროკავშირში გაწევრიანებას ესწრაფიან. ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, თანამშრომლობის ახალი ფორმა შესთავაზა - აღმოსავლეთ პარტნიორობის სახით, რომლის მიზანსაც პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც მიიღწევა მონაწილე ქვეყნებისთვის სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში დახმარებით. ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის მზაობის მიღწევის დიდი გამოცდილება და მისი ცალკეული ასპექტის გათვალისწინება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს. სწორედ ამით არის განპირობებული საკვლევი თემის ინტერესი.

კვლევის მიზანია ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხების შესწავლა ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ. კერძოდ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, საჯარო ფინანსების კონტროლის, საქონლის, მომსახურების, ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების, ფასების ლიბერალიზაციის, სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო დახმარებისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს, შრომითი კანონდებლობის, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სფეროების პრიორიტეტული განვითარების და ა.შ.

მდგომარეობის ანალიზი: 1989 წლის მოვლენების შემდგომ, ტოტალიტარული რეჟიმის ნგრევის შემდეგ, ვიშეგრადის ქვეყნებმა ინტეგრაციის პროცესების დასაჩქარებლად აირჩიეს რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმი, იმის გათვალისწინებით, რომ ოთხივე ქვეყანას მეტნაკლებად მსგავსი სასტარტო პირობები გააჩნდა. ვიშეგრადის თანამშრომლობა განსხვავდება დანარჩენი ევროპისგან, რადგან მას საკუთარი იდენტობა და დინამიზმი გააჩნია და განსაკუთრებული ღირებულებით მკვიდრდება საერთაშორისო სივრცეში. ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა განაცხადეს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი, რადგან ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მათ საშუალებას აძლევს უკეთ დაიცვან საკუთარი ეროვნული ინტერესები და რეგიონული ასპექტების გათვალისწინებით უსაფრთხოების საკითხებზე განაცხადი გააკეთონ. ევროპულ თანამეგობრობას მნიშვნელოვანი ინტერესი გაუჩნდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ, სხვადასხვა ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისითაც.

ოფიციალურად ვიშეგრადის ჯგუფი შეიქმნა 1991 წლის 15 თებერვალს „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის" ხელმოწერით. დეკლარაციით განისაზღვრა ვიშეგრადის ჯგუფის ძირითადი მიზნები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და თავისუფლების სრულად აღდგენა; ტოტალიტარული სისტემის ყველა არსებული სოციალური, ეკონომიკური და მენტალური ასპექტის აღმოფხვრა; საპარლამენტო დემოკრატიის და სახელმწიფო სამართლის მშენებლობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემა; თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შექმნა; სრული ჩართულობა ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, ასევე, უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო სისტემაში.

ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით, საერთო სტრატეგიების შემუშავების მიზნით, თანამშროლობის ფორმად შერჩეულ იქნა რეგულარული ყოველწლიური შეხვედრები პრემიერ-მინისტრებისა და მინისტრების დონეზე. ამ მიზნით ოთხივე ქვეყნის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შეიქმნა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი რეგიონული მასშტაბის პროექტების დაფინანსებაა. ფაქტობრივად, ვიშეგრადის თანამშრომლობა არ არის ინსტიტუციონალიზებული გაერთიანება. ის ემყარება მისი წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე. სამიტებს შორის საპრეზიდენტო პოზიცია აქვს ამ ოთხი ქვეყნიდან ერთ-ერთს, რომელიც პასუხისმგებელია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

ვიშეგრადის ქვეყნებისთვის ევროკავშირის მხრიდან პოზიტიური და გრძელვადიანი მხარდაჭერის საბაზისო ინსტრუმენტი იყო ე.წ. ასოცირების ხელშეკრულებების მომზადება და რატიფიცირება. ასოცირების ხელშეკრულებები ვიშეგრადის ქვეყნებთან 1991 წელს გაფორმდა. ამ ხელშეკრულებებს ევროპის ხელშეკრულებებსაც უწოდებენ. ხელშეკრულებებით განისაზღვრა ინტეგრაციის დონე, რომელიც უფრო ნაკლები იყო ვიდრე წევრობა, მაგრამ უფრო მეტი ვიდრე თავისუფალი სავაჭრო შეთანხ-

მება. ისინი ამავდროულად ქმნიდნენ წინაღობას სრული წევრობისაკენ მიმავალ გზაზე. ევროპის ხელშეკრულებებმა შექმნა საფუძველი ევროკავშირისა და კანდიდატი ქვეყნებისათვის მოეხდინათ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაახლოება. თანამშრომლობის სფერო მოიცავდა პოლიტიკურ თანამშრომლობას, ხელსაყრელ სავაჭრო ურთიერთობებს, ეკონომიკურ საქმიანობასა და კულტურულ თანამშრომლობას. ევროპის ხელშეკრულებები წარმოადგენდა წევრობის მსურველი ქვეყნისთვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შანსს და ორმხრივად იქნა ხელმოწერილი. ეს ხელშეკრულებები თითოეული კანდიდატი ქვეყნის საჭიროებებზე იყო მორგებული, თუმცა, ამავდროულად მოიცავდა საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კომერციულ ამოცანებს და ქმნიდა რეფორმების განხორციელების ჩარჩოს. ევროპის ხელშეკრულებების ფარგლებში ხელმოწერილ სავაჭრო ხელშეკრულებებს უნდა ჩამოეყალიბებინათ თავისუფალი სავაჭრო ზონა ევროკავშირსა და თითოეულ სახელმწიფოს შორის .

ევროპის ხელშეკრულების ხელმოწერების კომპლექსურ სტრატეგიას საფუძველი ჩაეყარა ევროპის საბჭოს კოპენჰაგენის შეხვედრაზე (1993 წლის დეკემბერი). კოპენჰაგენის სამიტმა ნათელი სიგნალი მისცა ამ ქვეყნებს, რომ ისინი მომავალში ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ, თუკი დააკმაყოფილებდნენ გარკვეულ პირობებს. გაფართოების პირობები თითოეული ქვეყნისათვის მოიცავდა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების პატივისცემის, კანონის უზენაესობის პრინციპებს, ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ეს ქვეყნები გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმები" დაამტკიცა ევროპის საბჭომ და ასოცირებული ქვეყნისაგან მოითხოვს:

- სტაბილურ ინსტიტუციებს, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და უმცირესობების პატივისცემისა და დაცვის წინაპირობას;
- მოქმედ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც შეძლებს გაუმკლავდეს კონკურენციის წნეხს და ევროკავშირს შიგნით საბაზრო ძალების მუშაობას;
- წევრობის მოვალეობების შესრულების უნარს, განსაკუთრებით პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ამოცანების შესრულების უნარს.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები ევროკავშირის მართვის საერთო მაჩვენებლებიდან გამომდინარეობს. ვიშეგრადის ქვეყნების სოციალისტური წარსულის გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ მოითხოვა მათი ეკონომიკის გარდაქმნა და ევროკავშირის სისტემასთან ჰარმონიზაცია, ევროკავშირის ერთიან ბაზარში ინტეგრაციამდე.

ევროკომისია პასუხისმგებელი იყო გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნების პროგრესის მონიტორინგზე გაწევრიანების მთელი პერიოდის განმავლობაში და იგი სისტემატურად აწვდიდა დასკვნებს საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი ქვეყნის გაწევრიანების საწყისი მდგომარეობა განსხვავებული იყო, ევროკომისიამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა თანმიმდევრულ განაცხადს, რომელიც გამაგრებული იყო ბაზარზე ორიენტირებული რეფორმებითა და ეკონომიკური პოლიტიკის ფართო სპექტრით. ვიშეგრადის ჯგუფის ყველა კანდიდატმა ქვეყანამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კომუნისტური სავაჭრო ბლოკის დაშლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა კანდიდატმა ქვეყანამ მიაღწია ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს, კვლავ არსებობდა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რისკები. მაგალითად, კომისიამ ჩათვალა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი წარმოადგენდნენ ფუნქციონალურ საბაზრო ეკონომიკებს. მათ სჭირდებოდათ უფრო მეტი პროგრესის მიღწევა ფინანსური ბაზრების განვითარებაში. სლოვაკეთში განხორციელდა კანონმდებლობის დაახლოვების პროცესი, მაგრამ გადაჭარბებული სამთავრობო ჩარევები და ტრანსპარანტულობის ნაკლებობა არ იყო თავსებადი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასთან. უფრო მეტიც, მაკროეკონომიკური სტაბილურობა გაუარესდა. კომისიამ ჩათვალა, რომ უნგრეთს, პოლონეთს და ჩეხეთის რეპუბლიკას უნდა გაეგრძელებინათ შესაძლებლობების გაძლიერება, რათა გამკლავებოდნენ კონკურენციის წნეხს. სლოვაკეთის უნარი გაეძლო ევროკავშირს შიგნით კონკურენციის წნეხისა და საბაზრო ძალებისათვის შუალედური პერიოდში დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა, აუცილებელი იყო მთავრობის მიერ სასწრაფო ნაბიჯების გადადგმა სრულად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად.

უნგრეთი დაბალანსებულად განაგრძობდა დაახლოების პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შიგა საბაზრო კანონმდებლობის ჩარჩოს ჩამოყალიბების დასრულებას. მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთმა დააკმაყოფილა გაწევრიანების პარტნიორობის ხელშეკრულების მოკლევადიანი პრიორიტეტები ეკონომიკური რეფორმების სფეროში, ხელი შეუწყო ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, ფინანსური კონტროლის ინტიტუტების, სასამართლო და საშინაო საქმეების სფეროების გაძლიერებას, არასაკმარისი აღმოჩნდა ყურადღება, მიმართული რეგიონალური განვითარების სტრუქტურების გაძლიერებისაკენ და საავტორო უფლებების კანონმდებლობის შემუშავებისკენ, საშინაო ბაზრის პრიორიტეტებისა და სახელმწიფო დახმარების კანონმდებლობის გაძლიერებისაკენ.

პოლონეთში სატრანსპორტო კანონმდებლობასთან და მის ამოქმედებასთან დაკავშირებით პოზიტიური ძვრები შეინიშნებოდა, თუმცა საშინაო ბაზრის კანონმდებლობასთან დაკავშირებული პროგრესი დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო სტანდარტებისა და სერტიფიცირების სფეროებში ინსტიტუციურ სტრუქტურებთან დაკავშირებული ახალი მიდგომების მიღების გაჭიანურებით. დაახლოების ერთიან პროცესში პოლონეთის ძირითადი ჩამორჩენა ეკოლოგიურ სფეროს ეხებოდა. არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობას, გარემოს დაცვას, ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების პრიორიტეტებს.

შედარებით შენელებული იყო სლოვაკეთის დაახლოების ტემპი, რადგან სტრუქტურების რეფორმები

და მათი გაძლიერება სათანადოდ არ მინდინარეობდა. გარკვეულ სექტორებში, სადაც აუცილებელი იყო კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმა. შეფერხებები შესამჩნევი იყო (მაგალითად, საშინაო ბაზარი, გარემოს დაცვა). მიუხედავად იმისა, რომ ტარდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, კვლავ არსებობდა მრავალი პოლიტიკური პრობლემა, რომლებიც მოგვარებას საჭიროებდნენ. ინტელექტუალური და ინდუსტრიული კანონმდებლობის მიღების გარდა, საშინაო ბაზრის, ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და გარემოს სფეროების მოკლევადიან პრიორიტეტებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ჩეხეთის რესპუბლიკამ მცირე პროგრესი განიცადა დაახლოების საერთო პროცესში. საშინაო ბაზრის კუთხით, შესამჩნევი პროგრესი იქნა მიღწეული სტანდარტებისა და სერტიფიცირების სფეროებში, თუმცა, უფრო ნაკლები - საბანკო და სააქციო ბაზრის მეთვალყურეობის სფეროებში, საშინაო ბაზრის სხვა ძირითად სფეროებში, როგორებიცაა ინტელექტუალური და ინდუსტრიული ქონება, საჯარო შესყიდვები, მონაცემთა დაცვა, დაზღვევა და სახელმწიფო დახმარების კონტროლი და ა.შ.

გაწევრიანების პროცესის ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა გაწევრიანების წინა პერიოდის სტრატეგიის მხარდაჭერა, რომლის ამოცანაც იყო ყველა კანდიდატი ქვეყნისათვის ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისთვის ხელშეწყობა გაწევრიანებამდე. ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებიდან მოლაპარაკებები დაიწყო ყველა ქვეყანასთან სლოვაკეთის გარდა. კომისიამ გამოყო 100 მილიონი ევროს ბიუჯეტი აღნიშნული პროცესისათვის. 1998-1999 წლებისათვის პროგრამები ფოკუსირებული იყო ინვესტიციების მხარდაჭერაზე, ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციასა და კორუფციასთან ბრძოლაზე.

გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკებები სამ ეტაპად მიმდინარეობდა:

1. შემოწმება – ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შედარება;
2. მოლაპარაკების პროცესი – კანონმდებლობისა და დასახული გარდამავალი პერიოდის ამოცანების დეტალური შედარება იმ სფეროებში, რომელიც საჭირო იყო ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოსათვის;
3. რატიფიკაციის პროცესი – გაწევრიანების შეთანხმების რატიფიკაცია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნებისა და ევროპარლამენტის მიერ.

მოლაპარაკებები ახალ ქვეყნებთან კანონმდებლობის 31 თავს მოიცავდა და რთული და კომპლექსური იყო. მოლაპარაკების ძირითადი პრინციპი იყო არ მომხდარიყო პერმანენტული გადახვევა ევროკავშირის წესებიდან, რაც დაშვებული იყო კანდიდატი ქვეყნებისათვის, ვინაიდან ისინი აწყდებოდნენ ტექნიკურ და პრაქტიკულ სირთულეებს გარდამავალ პერიოდში; გარდამავალი პერიოდი 6-დან 12 წლამდე გრძელდებოდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არ იქნა ჩართული ე.წ. "ლუქსემბურგის ქვეყნებში" სლოვაკეთი გახლდათ. სლოვაკეთის მთავარი ამოცანა იყო შესულიყო ევროკავშირში ვიშეგრადის ჯგუფის პარტნიორებთან ერთად და ეს მრავალი მიზეზით იყო განპირობებული. პოლიტიკური ინტერესების გარდა, ეს ძირითადად გამომდინარეობდა სურვილით გამოყენებულიყო ჩეხეთისა და სლოვაკეთის საბაჟო კავშირის უპირატესობა მანამ, სანამ მოხდებოდა ევროკავშირის ჰარმონიზებულ რეჟიმში ინტეგრაცია. პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ საპარლამენტო არჩევნების გამო სლოვაკეთმა შეძლო შუალედური პერიოდის პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

2003 წლის ანგარიშებში კომისია სისტემატიურად ამახვილებდა ყურადღებას პრობლემურ საკითხებზე. ანგარიშის დოკუმენტი საბოლოო იყო და ქვეყნის გაწევრიანების შესახებ საერთო მომზადების დონეს განსაზღვავდა. ამ ანგარიშის მიხედვით, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებს შემდეგი სფეროებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება: ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს არ ჰქონდათ დასრულებელი ევროკავშირის საჯარო შესყიდვების წესებთან ჰარმონიზაცია. რაც შეეხება საქონლის, მომსახურების, ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, აქ ჰარმონიზაცია შეუფერხებლად მიმდინარეობდა. რაც შეეხება ფინანსურ სერვისებს, პოლონეთი საჭიროებდა საფინანსო სექტორთან დაკავშირებულ საბოლოო ცვლილებებს. ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი ამას დაზღვევის სექტორში საჭიროებდნენ. ჩეხეთის რესპუბლიკას, პოლონეთსა და სლოვაკეთს უნდა უზრუნველყოთ ყველა სახელმწიფო დახმარების მიზნობრივი ათვისება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ძირითადად არსებობდა, ყველა კანდიდატი ქვეყანის პრიორიტეტს წარმოადგენდა მზაობა სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სფეროებში, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენდნენ მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრებაზე.

პოლონეთს და სლოვაკეთს უნდა დაეჩქარებინათ დღგ-თან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მოწესრიგება, საბაჟო გადასახადის გაუქმება. აუცილებელი იყო მეტი ძალისხმევა ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთსა და პოლონეთში შიდა საჯარო ფინანსური კონტროლის ოპტიმიზაციის საკითხში, ხოლო უნგრეთის, პოლონეთის და სლოვაკეთის გაწევრიანებისათვის საჭირო იყო ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა. ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირთან დაკავშირებით, პოლონეთს უნდა გადაედგა დასკვნითი ნაბიჯები ქვეყნის ცენტრალური ბანკის სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად. სოციალურმა და დასაქმების პოლიტიკამ გაწევრიანების წინა პერიოდის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ჩეხეთის რესპუბლიკას, უნგრეთსა და პოლონეთს უნდა დაეჩქარებინათ ჯანმრთელობისა და უვნებლობის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. პოლონეთში უნდა გადამუშავებულიყო შრომის კანონი. ბუნების დაცვა ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთსა და პოლონეთში კვლავ არასათანადო იყო, ისევე როგორც სამრეწველო ნარჩენების და დაბინძურების საკითხები, ხოლო რისკების მენეჯმენტი უნგრეთში, პოლონეთსა და სლოვაკეთში.

ყველა კანდიდატ ქვეყანაში არსებობდა განხორციელებული პროგრამების ხარისხთან დაკავშირე-

ბული პრობლემები. პროგრამების დაწყება უკავშირდებოდა სამართლებრივი ჩარჩოს, მათ შორის ევროკავშირის წესებს სახელმწიფო შესყიდვაზე, სახელმწიფო დახმარებასა და გარემოს დაცვაზე, ასევე, ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის გაუმჯობესებას. ჩეხეთის რესპუბლიკამ ძირითადად შეინარჩუნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა. თუმცა, საჯარო ფინანსების მდგომარეობა გაუარესდა. ჩეხეთის რესპუბლიკა განაგრძობდა რეფორმის გზას, თუმცა ცალკეული შეფერხებებით. უნგრეთის საერთო მაკროეკონომიკური წონასწორობა გაუარესდა, განსაკუთრებით მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურის, საგადასახდელო ბალანსისა და გაცვლითი და საპროცენტო განაკვეთების სტაბილურობასთან დაკავშირებით. 2002 წელს საბიუჯეტო დეფიციტი აღმოფხვრილ იქნა 2003 წელს ამბიციური ფისკალური პოლიტიკით, თუმცა, მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას მატებდა არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების ნაკრებს. ეკონომიკური რეფორმის გზა ღირსეულად მიმდინარეობდა დარჩენილი სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციის, ადმინისტრაციული ფასების თანდათანობითი ლიბერალიზაციით და პროგრესული საპენსიო რეფორმის დასრულებით. პოლონეთმა შეინარჩუნა სტაბილური მაკროეკონომიკური მდგომარეობა, რაშიც განმსაზღვრელი როლი საგარეო მოთხოვნამ შეასრულა. სლოვაკეთის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა მაინც არსებობდა უთანაბრობა განვითარებაში. სლოვაკეთში რეფორმის განხორციელების პროგრესმა საჯარო საფინანსო სფეროს განვითარებას ძლიერი სტიმული მისცა.

გაწევრიანების ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ათენში, 2003 წლის 16 აპრილს. ვიშეგრადის ქვეყნები ევროკავშირს 2004 წლის 1 მაისს შეუერთდნენ. 2004 წლის გაფართოების ტალღა პირველად შეეხო ევროპის ხელახალი გაერთიანების საკითხს. რეუნიფიკაცია მიზნად ისახავდა კონსტიტუციურ ჩარჩოში თავი მოეყარა ევროპაში მცხოვრები ხალხებისათვის, რომელიც მათ სტიმულს მისცემდა მშვიდობისა და სტაბილურობის გარემოში ერთობლივი მუშაობისათვის. გაფართოების მეხუთე ეტაპი ისტორიული და უპრეცედენტო იყო ევროკავშირის ისტორიაში, მან შექმნა შესაძლებლობები კონტინენტზე მშვიდობიანი ინტეგრაციის შემდგომი პროცესების მხარდაჭერისათვის.

ევროკავშირში ვიშეგრადის ქვეყნების გაწევრიანებას შემდეგი სახის სარგებელი მოაქვს ქვეყნებისთვის:

- შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ევროკავშირის ბაზარზე;
- გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო და დაბალი რისკი. ევროკავშირის წევრობა ვიშეგრადის ქვეყნებს უფრო მიმზიდველს ხდის, ეკონომიკური პერსპექტივის და საინვერსტიციო რისკის თვალსაზრისით;
- ვიშეგრადის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ევროკავშირის შრომის ბაზრის გახსნა;
- შეუზღუდავი შრომითი მობილურობა დადებით გავლენას მოახდენს ვიშეგრადის ქვეყნების შრომის ბაზრებზე, რაკი ხელს შეუწყობს შრომით მიგრაციას და შეამცირებს უმუშევრობას;
- ხელმისაწვდომობა ტრანსფერებზე ევროკავშირის სტრუქტურული და დაახლოების ფონდებიდან და სხვა.

ევროკავშირში გაწევრიანებიდან იწყება თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ახალი გამოწვევები. შუალედური და ხანგძლივი პერიოდის ეკონომიკური გადასახედიდან, ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება მოულოდნელობებით აღსავსე გამოდგა: ევროკავშირის ღია ბაზარმა ამ ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობები მისცა და ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან 90-იან წლებთან შედარებით გასამმაგდა. ამასთან, ამ ქვეყნებისათვის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ევროკავშირში შესვლამდე მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდა, რისთვისაც მათ უნდა ესარგებლათ სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული ევროკავშირის დახმარების ფონდით. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს ეკონომიკურად განვითარებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოლიდარობას ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების მიმართ. ეს კი ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს უფრო მეტ რესურსებსა და გარდაქმნის ხანგრძლივ პერიოდს.

ფინანსური დახმარება გაწევრიანებამდე დაიწყო. ჯერ კიდევ 1999 წლის მარტში ბერლინში, ევროპის საბჭომ გამოყო 75 მილიარდი ევრო გაფართოების წინა და გაფართოების პერიოდისათვის, რომელიც 2000-2006 წლების ფინანსურ პერსპექტივებს მოიცავდა. გაწევრიანების წინა სტრატეგიისათვის წელიწადში 3.72 მილიარდი ევრო გამოიყო. 2002 წლის კოპენჰაგენის ევროპის საბჭომ მიიღო 40.9 მილიარდი ევროს დახმარების პორტფელი 10 კანდიდატი ქვეყნისათვის, რომელიც 2004-2006 წლების პერიოდს მოიცავდა. ხარჯების ვალდებულებები კანდიდატი ქვეყნების სასარგებლოდ შეადგენდა 37.5 მილიარდ ევროს, რომელიც პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკისათვის (9.8 მილიარდი ევრო) და საშინაო პოლიტიკისათვის გამოიყო (4.2 მილიარდი ევრო).

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ვიშეგრადის ყველა ქვეყნისათვის ევროს შემოღება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია (ევროზონის წევრია მხოლოდ სლოვაკეთი). ვიშეგრადის ქვეყნებს ევროს შემოღება შესაძლებლობას მისცემს სრულად მიიღონ სარგებელი ერთიანი ბაზრიდან. ევროზონაში მონაწილეობა პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს ზრდასა და სტაბილურობაზე ხანგრძლივ პერსპექტივაში. ევროს შემოღება გავლენას ახდენს ეკონომიკური მაჩვენებელზე მთელი რიგი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური არხებით. იგიხელს უწყობს სტაბილურობაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ჩარჩოს მიღებას, ლიკვიდური ბაზრების ხელმისაწვდომობას, მზარდუფრო მეტ ვაჭრობასა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციას, ტრანზაქციების დაბალ ხარჯებსა და გაზრდილ კონკურენციას. შესაბამისად ევროზონის წევრობაზე საჯარო დებატები უნდა ეყრდნობოდეს უფრო ფართო ასპექტებს და არა მხოლოდ ნომინალური დაახლოების სტატიკურ ხედვას. გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ევროს შემოღების გეგმებზე და საზოგადოებრივი აზრი

პოზიტიურია უნგრეთსა და პოლონეთში.

ახალმა წევრმა ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს სტრუქტურული რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით. გაწევრიანების პერიოდში მათ გარდაქმნეს ეროვნული ეკონომიკა ცენტრალიზებული გეგმიური მოდელიდან ბაზარზე დაფუძნებულ მოდელად. ეს გაფართოების პროცესის მთავარი პოზიტიური მახასიათებელია. ვიშეგრადის ქვეყნებს შორის ყველაზე საუკეთესო ეკონომიკური ინდიკატორები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან სლოვაკეთს აქვს. უფრო მოკრძალებული გაუმჯობესება აქვს პოლონეთს და ჩეხეთის რესპუბკიკას. უნგრეთის მაჩვენებლების გაუმჯობესება არ ჩანს ევროკავშირ 15-ის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. განსხვავება ევროკავშირ 15-სა და ახალ წევრებს შორის განსაკუთრებით იგრძნობა გლობალური ტექნოლოგიების ნაკლებობაში.

ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების წარმატება ემყარება ისეთ ფასეულობებს, როგორებიცაა თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი. ამასთან, წარმოდგენილი ძირითადი ფასეულობების რეალიზება კონკურენციის პირობებში დემოკრატიის, როგორც მეთოდური ნორმის საკითხს ანიჭებს უაღრესად დიდ მნიშვნელობას. შესაბამისად, ვიშეგრადის ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების პრობლემატიკა განხილვას მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების პროცესებთან ერთად. სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში ბოლო ოცი წლის მანძილზე, წარმატებით შეასრულა რა შუამავლის როლი კერძო და სახელმწიფო ინტერესებს შორის.

ამრიგად, ,,ვიშეგრადის ჯგუფმა“ ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირთან წარმატებული ინტეგრაციის მაგალითი შექმნა. ევროკავშირი მას მხარს უჭერს როგორც ეფექტიანი სუბრეგიონული თანამშრომლობის სტრუქტურას. ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფი ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეკაშვილი ე., მაისურაძე ნ., ყუფარაძე გ., ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე (ლექციების კურსი). ლექციების კურსი მომზადდა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ..საუნივერისტეტო გრანტების პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“ პროგრამის ფარგლებში. თბილისი, 2013;

2.Crampton R.J., 1997. Eastern Europe in the Twentieth Century - and After, New York: Routledge;

3.Nugent, N., 2004. European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan;

4.Bellamy, R., Warleigh, A. (eds.). 2001. Citizenship and Governance in the European Union. London: Continuum;

5.Sharing the Experiences of Visegrad Cooperation in the Western Balkans and the Eastern Neighbourhood countries, International Centre for Democratic Transition. Project Preparatory Study 2010;

6.Delanty, G., Rumford, Ch. 2005. Rethinking Europe. Social theory and the implications of Europeanization. London and New York: Routledge;

7.Filip Fraňo, Market Microstructure of Stock Exchanges in the Visegrad Region: Facts and Comparative Analysis. 2012. LAP LAMBERT Academic Publishing GmbH & Co. KG;

8.Tomas Kavaliauskas, 2012. Transformations in Central Europe between 1989 and 2012: Geopolitical, Cultural, and Socio-economic Shifts.Lexington Books;

9.The New Member States and the European Union: Foreign Policy and Europeanization. 2005. Edited by Michael Braun and Dan Marek, Routledge Advances in European Politics;

10.Foreign Direct Investment in Central and Eastern Europe, edited by Svtla Trifonova Marinova and Marin Alexandrov Marinov , 2003. Transition and Development;

11.Nugent, N., 2004. European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan;

12.Crampton R.J.,1997. Eastern Europe in the Twentieth Century - and After, New York: Routledge;

13.Theo Hitiries, European Union Economics, 2003. FT Prentice Hall, 5-th edition;

14.John Gillingham, European Integration 1950-2003. Superstate or New Market Economy? 2003. Cambridge;

15.Larry Ned, The Economics of Europe and EU, 2007. Cambridge Un.pr.

16.The Economics of EU: Policy and Analysis, 2007. Edited by Mike Artis and Frederick Nixon, Forth Edition, Oxford Un. Press;

17.Gill, Indermit Singh, Martin Paiser et al. Golden Growth. Restoring the Iustre of the European Economic Model. IBRD,2012.
18. Sharing the Experiences of Visegrad Cooperation in the Western Balkans and the Eastern Neighbourhood countries. International Centre for Democratic Transition. Project Preparatory Study 2010;
19.A collection of Conference Speeches 22-23 November, 2012. The Role of Civil Society in Integration Processes: Real Enlargement through Effective Involvement.
20.Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the Europan Union. 2010. Nitra, Slovak University of Agriculture;
21.Fidrmuc, J.,Fidrumc, J., Horvath, J. The Constraints of the Growth in Visegrad Countries, Wolrd Bank Research Project: Determinants of Economic Growth in Global Development Network, 2003;
22.KÁLMÁN DEZSÉRI AND PÁL GÁSPÁR. Economic and Political Relations after the EU Enlargement: The Visegrad Countries and Russia, Ukraine, Belarus and Moldova. ICEG European Center.

ვებ-რესურსები:
21.www.visegradgroup.eu
22. http://www.cefta.int
23. ec.europa.eu/eurostat
24. http://ec.europa.eu

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობის განვითარების ეტაპები

ჯიმშერ სირაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობა საქართველოში 1938წ-დან არსებობს, რომლის დამაარსებელია აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე (1882-1951),რომლის სამეცნიერო წერილი "მცენარეებისა და ცხოველთა ელექტროკულტურა" 1913 წელს გამოქვეყნდა რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-13 ყრილობის დღიურში.



ალ. დიდებულიძე

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის დარგში საინტერესო კვლევები ჩატარდა 1930 წელს დაარსებულ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ზონალურ სადგურში,ხოლო 1931-1936 წწ. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.ამ პერიოდის აღმოჩენად ითვლება პირველი ელექტროტრაქტორის შექმნა, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფ. ა.დიდებულიძე, პროფ. კ.ამირეჯიბი, ფ. მანველიძე, ზ. ოსიტაშვილი, ვ.გოგიჩაიშვილი და სხვები. აღნიშნული თვლიანი ელექტროტრაქტორი წარმოადგენდა „ფორდზონის" ტიპის ამერიკული ტრაქტორის პირმშოს, რომელიც საფუძვლად დაედო მთელ საბჭოთა კავშირში გაშლილ კვლევებს მობილური ელექტრიფიცირებული მანქანების შექმნის თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობის არსებობის ისტორია შეიძლება დავყოთ შემდეგ ეტაპებად; 1938-1962; 1962-1983; 1983-2005;და 2005-20013 . ეს თითქმის რვა ათეული წელია სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობისა, რომელიც მოქმედებდა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ახლანდელი აგრარული უნივერსიტეტი).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებისთანავე, რომელიც 1930 წელს გამოეყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩამოყალიბდა ფიზიკის კათედრა, რომლის საშტატო ერთეულში შედიოდა პროფ.ალ. დიდებულიძე, მან 1938 წელს შექმნილ მექანიზაციის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1938-1946 წწ. აღნიშნულ პერიოდში კათედრაზე შეიქმნა ლაბორატორიები და იკითხებოდა ლექციები ელექტროტექნიკურ საგნებში არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მსმენელთათვის,რაც ინსტიტუტის ცხოვრებაში დიდ მოვლენად აღინიშნა.გარდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა კათედრამ დიდი სამამულო ომის პერიოდში მოკრძალებული წვლილი შეიტანა სამშობლოს დაცვის საქმეში; კერძოდ კათედრაზე მზადდებოდა ჯიბის ფარნის ელემენტები, რომლებიც იგზავნებოდა უშუალოდ ფრონტზე.

1946 წელს კათედრის გამგედ დაინიშნა დოც.ნ.ზირაქაძე (კ.გ.1946-1964 წწ.) ამ დროისათვის კათედრაზე მუშაობდნენ ასისტ.ა.ისაკაძე, ა.ქურციკიძე,ხოლო შემდგომ ინსტიტუტის სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასთან ერთად, იმატა კათედრის შემადგენლობამაც. 1960 წლისათვის კათედრაზე მუშაობდნენ კათედრის გამგე დოც.

ნ.ზირაქაძე,დოც.ვ.მეტრეველი,დოც.ნ.ვარდანიძე,უფროსიმასწ.ა.ისაკაძე,უფრ.ლაბ.ბ.ვეისი და ლაბ.ა. კოტია.

1962 წელს დოც. ვ. მეტრეველის ინიციატივით, რომელსაც აქტიურად მხარი დაუჭირა ინსტიტუტის რექტორმა პროფ.ი.სარიშვილმა და დეკანმა პ. მიქელაძემ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტთან შეიქმნა ს.მ.ელექტრიფიკაციის სპეციალიბა, კათედრა მაპროფილებელი გახდა და მას ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრა,ხოლო ფაკულტეტს ს.მ.მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტი ეწოდა,რომელიც ფუნქციონირებდა დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, ყოფილი ს. მ. მექანიზაციის ტექნიკუმის შენობა-პავილიონებში.

1965 წელს კათედრის გამგედ დაინიშნა შოთა აბზიანიძე (კ.გ.1965-1977).ეს წლები კათედრის ცხოვრებაში გამოირჩევა აღმავლობის პერიოდად. დოც. შ. აბზიანიძემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი, რომლებმაც მოაწყვეს კაბინეტ-ლაბორატორიები, თუმცა 1970 წლამდე სტუდენტები „ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლების", "ელმანქანების" ლაბორატორიულ მეცადინეობებს

შ. აბზიანიძე

გადიოდნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ადგილზე კი მიმდინარეობდა "ზოგადი ელექტროტექნიკის", "თეორიული ელექტროტექნიკის", "ელექტრული მანქანების","ელექტრომზომელობის" და ა.შ. ლაბორატორიების მოწყობა.

1970-74 წლებში კათედრაზე დოც. შ. აბზიანიძის ხელმძღვანელობით მუშავდებოდა სახელშეკრებულო თემა „კვალსათბურებში გათბობის ახალი (კოაქსიალური) მეთოდის დამუშავება", რომელიც დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში დაინერგა, ხოლო დიდი მასშტაბით სამუშაოები შესრულდა გარდაბნის რაიონის ს. რუისბოლოს მებოსტნეობის საბჭოთა

მეურნეობაში. მიღებული კვლევების საფუძველზე დამუშავებული და დაცული იქნა სადიპლომო პროექტები.

1967 წლის იანვარში შედგა ს.მ. ელექტრიფიკაციის სპეციალობის 16 კაციანი ჯგუფის პირველი გამოშვება, რამაც დასაბამი მისცა საქართველოში ს.მ. ინჟინერ-ელექტრიკოსთა სკოლის შექმნას. აღსანიშნავია ამ პირველი გამოშვების კურსდამთავრებული ტ.მ.კ. ივანე მელუა, 2012 წლამდე მუშაობდა აგრარულ უნივერსიტეტში მაპროფილებელი კათედრის პროფესორად.

ახალი სპეციალობის დაარსებამ და კათედრის სასწავლო დატვირთვის მკვეთრმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა, ამიტომ 1969 წელს ელექტროტექნიკის და ს.მ. ელექტრიფიკაციის კათედრის ბაზაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი კათედრა; ელექტროტექნიკის - კათედრის გამგე დოც.შ.აბზიანიძე (კ.გ.1966-1977 წწ.) და ს.მ.ელექტრიფიკაციის - კათედრის გამგე, დოც.გ. მშვიდობაძე (კ.გ.1969-1979 წწ.).

ვ. მეტრეველი

1973 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი გახდა აკად. ვალერიან მეტრეველი, რომლის მოსვლამ განაპირობა აღნიშნული კათედრების რეორგანიზაცია; კერძოდ, ჩამოყალიბდა ელექტროტექნიკის და ელამძრავის კათედრა. კათედრის გამგედ ირჩევენ აკად. ვ. მეტრეველს (კ.გ.1977-1989), ხოლო ელენერგიის გამოყენების კათედრის გამგედ დოც.ა. ტიკიშვილს (კ.გ.1980-1995 წწ.).

1983 წელს აკად. ვ.მეტრეველის და დოც. ა.ვაშაკიძის ინიციატივით ს.მ. მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტს, თანახმად საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (#297,31.12.82 წ.) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორის (#35 პ/შ. 21.02.83წ) ბრძანებისა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული გამოეყო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ფაკულტეტი , რომლის პირველი დეკანი იყო დოცენტი ა. ვაშაკიძე.

ახლადშექმნილი დამოუკიდებელი ფაკულტეტი 1985 წელს განთავსდა ახალ კორპუსში, რომლის მშენებლობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა პირადად ინსტიტუტის რექტორმა პროფ. ო ნათიშვილმა, დეკანმა არჩილ ვაშაკიძემ და სხვებმა. კორპუსის მშენებლობაზე ატიურ მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტები. განახლდა ფაკულტეტის კაბინეტ -ლაბორატორიები. სააქტო დარბაზი, აუდიტორიები და ლაბორატორიები აღიჭურვა თანამედროვე ავეჯით და მოწყობილობებით. ფაკულტეტი წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს თავისი მომხიბლელი განათებულობით, რადიოფიცირებით და ა.შ.

ამავე პერიოდში კათედრასთან დაარსდა სამთო მიწათმოქმედებაში საწარმოო პროცესების ელექტრო მექანიზაციის და ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი საპრობლემო ლაბორალორია (შემდეგ ამავე სახელწოდებით ინსტიტუტად გადაკეთდა დირექტორი ტ.მ.დ. ნუგზარ ბერიძე). დამუშავდა მაღალმთიანი სათიბებიდან თივის პნევმო ტრანსპორტირებისათვის

ნ. ბერიძე

განკუთვნილი ელექტრიფიცირებული დანადგარი, რომელიც ექსპონირებული იყო მრავალ გამოფენაზე (მოსკოვში, ბუქარესტში). შეიქმნა ტექნიკური კულტურის „იუკა-დიდებულის“ ამღები კომბაინი. გამოშვებული იქნა კუთხით-რხევედი ელექტრო მაგნიტური ვიბრატორების საცდელი სერია, რომელთა ნიმუშები ექსპონირებული იყო უნგრეთსა და ვიეტნამში. დამუშავდა მონორელსური აგრეგატი, ციტრუსების წაყინვისაგან დაცვის ვენტილატურული დანადგარი, რომელიც დაინერგა, როგორც რესპუბლიკის ასევე მის გარეთ, შეიქმნა მცირე გაბარიტიანი ელექტრიფიცირებული, მაღალსიხშირული სათიბელები, როგორც ხელის ასევე გადასაგორებელი მოდიფიკაციისა, რომლებზედაც დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1975 წელს ჩამოყალიბდა ს.მ. ელექტრიფიკაციის სპეციალობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის რეგიონალური საბჭო, (თავმჯდომარე –აკად.ვ.მეტრ ეველი,სწავლულიმდივანი–პროფ.ალ.დიდებულიძე) –რომელიც ემსახურებოდა უკრაინას,მოლდოვას,ამ იერკავკასიას და ცენტრალურ აზიას. 1975 წლიდან მოწინავე და ფრიადოსანი სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გასავლელად იგზავნებოდნენ ქ. ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილაში“. ეს იყო შესანიშნავი ე.წ. „ჯილდო“ და სტიმული რის შემდეგაც მათ ეძლეოდათ საშუალება ერთი თვის განმავლობაში ენახათ „თეთრი ღამეები“, პეტერგოფი, პუშკინო, პისკარევკა და სხვა. ამ საქმის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო დოცენტი შ.აბზიანიძე. სამწუხაროდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნული პრაქტიკა შეჩერდა. აღსანისშნავია აგრეთვე სტუდენტთა გაცვლითი პრაქტიკა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში, სტუდენდები პრაქტიკას გადიოდნენ ქ. ბრნოს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ისინი ეცნობოდნენ ქ.პრაღას, ქ.ბრატისლავას და სხვა. ხელმძღვანელებად სხვადასხვა დროს გამოყოფილნი იყვნენ პედაგოგები ა.ტიკიშვილი, შ.ჭელიძე, ჯ.სირაძე და სხვები.

1999 წელს საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის დაარსების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის მაღალკვალიფიციული კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და ორგანიზაციური საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ: ღირესების ორდენით პროფ. ა.ვაშაკიძე, პროფ. ა.დიდებულიძე, პროფ. ვ.შამათავა, ღირსების

მედლით: პროფ. დ.იმნაძე, პროფ. ი.გაფრინდაშვილი , პროფ. ჯ. სირაძე, პროფ. კ.გორდეზიანი, პროფ. ნ.ბერიძე, პროფ. რ.ქსოვრელი, პროფ. გ.ჯავახიშვილი და სხვა.

1962 წლიდან დღემდე გამოშვებულია 1671 სპეციალისტი, მათგან 959 ინჟინერ-ელექტრიკოსი, 669 ბაკალავრი , 43 მაგისტრი. ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან აღსანიშნავია ნ.მამალაძის, ა.გაბრიჭიძის, ი.ჩხეიძის , გ.ქირიკაშვილის , ა.აბესაძის, ჯ.კევლიშვილის , ჯ.სირაძის და სხვათა საზოგადოებრივი წარმატებები.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულ-თაგან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს: ზ.გაბუნიამ, ჯ.კევლიშვილმა, ჯ. სირაძემ, ლ.მაისაშვილმა, ვ.მელუამ, რ.ქოიავამ, ნ.ბერიძემ (ტ.მ.დ), გ.ჯავახიშვილმა (ტ.მ.დ), ნ.ნარიმანიძემ, შ.ანთიძემ, ფრ.ფაზიაშვილმა; აკადემიური დოქტორები გახდნენ ე.რურუა, ედ. მიდელაშვილი, მ.ცერცვაძე, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად სამეცნიერო-პედაგოგიურ პოტენციალს და დასაყრდენ ძალას მომავალი ელექტრიფიკატორების აღსაზრდელად. ეს მოხდა 1974 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში. რომელსაც ძირითად ხელმძღვანელობას უწევდნენ აკადემიკოსი ვ. მეტრეველი, პროფ ა.ვაკაშიძე, პროფ. ა.დიდებულიძე, პროფ. რ.ქსოვრელი, რომელთა ღვაწლი განუზომელია სოფლის-მეურნეობის ელექტრიფიკაციის აღმავლობის საქმეში.

სოფლის-მეურნეობის ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის დეკანები იყვნენ სხვადასხვა დროს: პროფ. ა.ვაშაკიძე, დოცენტი ი.წულაძე, ვ.შამათავა, გ.ჯავახიშველი, ჯ.სირაძე.

2005 წელს ს/მ მექანიზაციის, ს/მ ელექტრიფიკაციის და ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტების ბაზაზე შეიქმნა ახალი ფაკულტეტი, რომელსაც ეწოდა აგროინჟინერიის ფაკულტეტი. აქედან გამომდინარე აგრარული მეცნიერებების ტაძარს ,რომელმაც თავისი არსებობა დაიწყო გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან საფრთხე შეექმნა მის შევიწროებას (გაყიდვას). ანალოგიური მდგომარეობა შეექმნათ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, რომლებიც დაექვემდებარა სასწავლო უნივერსიტეტებს, ეს მოხდა არა მარტო აგარარულ უნივესიტეტის ცხოვრებაში, არამედ რესპულიკის მასშტაბით სხვა უმღლეს სასწავლებლებშიც, გაიყიდა აგრარული უნივრსიტეტი, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სასწავლო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სექტორზე, რის გამოც ათასობით ადამიანი პოტენციურად პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის მომწიფებული სპეციალისტები დარჩნენ უმუშევრები. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახლად მიწვეულმა პროფ. არჩილ ვაშაკიძემ უნივერსიტეტის რექტორის არჩილ ფრანგიშვილის თანხმობის საფუძველზე მიზნად დაისახა ყველა ზემოთ აღნიშნული ფაკულტეტების და სპეციალობების აღდგენა. ის გაეცნო ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, შეისწავლა რა ყველა პოტენციური შესაძლებლობები,განსაზღვრა თუ რომელი ფაკულტეტი და სპეციალობა სად ჩაესვა.თითეულ ფაკულტეტისათვის გამოყო ხელმძღვანელი პირები და შედგა პირველი პროგრამები,პირველი სილაბუსები. ფაქტიურად თითქმის ყველაფერი დაკარგული იყო, რომ არა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და პირადად მისი რექტორი არჩილ ფრანგიშვილი. ბატონ არჩილ ფრანგიშვილის სახელთანაა დაკავშირებული აგრარული უნივერსიტეტიდან უკანონოდ დათხოვნილ ლექტორთა და ტექნიკურ პერსონალთა არმიის შეძლებისდაგვარი დახმარების აღმოჩენა. უფრო მეტიც მისი თაოსნობით განათლების და მეცნიერების სამინისტროს ურთიერთთანხმობის საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი „აგრარული მეცნიერებების და ბიო სისტემების ინჟინერინგის“ ფაკულტეტი. ბატონ არჩილ ვაშაკიძესთან თანამშრომლობდნენ ჯიმშერ სირაძე, ვალერი შამათავა, დარვინ ორმოცაძე,ირაკლი ყრუაშვილი, ზურაბ ლობჟანიძე, გივი გავარდაშვილი, ომარ თედორაძე, დიმიტრი ნატროშვილი, თინათინ დარსაველიძე, ნინო დათუკიშვილი, გიორგი გაგოშიძე, გიორგი დანელია,ნიკოლოზ მიქავა და სხვები.

2014/15 სასწავლო წლისათვის აგროინჟინერიის სპეციალობაზე მიღებული იქნა ახალი ნაკადი, 80 სტუდენტის რაოდენობით, თანაც სახელმწიფო დაფინანსებით. ასევე მიღებულია სტუდენტები თითქმის ყველა იმ სპეციალობებზე, რომლებიც არსებობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 2010/11 სასწავლო წლამდე. მათ შორის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სპეციალობების ჩათვლით. ახალი ფაკულტეტის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილია დამოუკიდებელი შენობა, რომელიც უახლოეს მომავალში აღიჭურვება თანამედროვე კაბინეტ-ლაბორატორიებით და მოწყობილობებით. წარჩინებულ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ურთიერთობა დაამყარონ ამერიკის „აიოვას“ უნივერსიტეტთან.

REZIUME

წარმოდგენილი საინფორმაციო - პოპულარული ნაშრომი “სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის სპეციალობის განვითარების ეტაპები” შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ჯ.სირაძის მიერ. სამეცნიერო ნაშრომი მოიცავს ს.მ. ელექტრიფიკაციის სპეციალობის შექმნა-ჩამოყალიბების რვა ათეული წლის ისტორიულ და დოკუმენტურ მასალებს და წარმოადგენს სტამბური წესით შესრულებულ პირველ პუბლიკაციას.

SUMMARY

THE SCIENTIFIC –POPULAR WORK “DEVELOPMENT STAGES OF AGRICULTURE ELECTRIFICATION SPECIALITY” HAS BEEN PRESENTED BY JIMSHER SIRADZE –THE PROFESSOR OF GROTGIAN TECHNICAL UNIVERSITY.

THE SCIENTIFIC WORK CONTAINS HISTORICAL AND DOCUMENTARY MATERIALS ON ESTABLISHING AGRICULTURE ELECTRIFICATION P.T.O SPECIALITY DURING EIGHTY DECADES. IT IS THE FIRST PUBLICATION OF THE AUTHOR.

"სტუმარმასპინძლობის" ცნებითი ტერმინები და განსაზღვრებები

ლარისა დოლიკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე პირობებში ტურიზმი ძალზე სწრაფად ვითარდება. სწორედ ტურიზმი გახდა სამყაროს, მისი ისტორიის, ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობის შეცნობის ერთ-ერთი ხელმისაწვდომი საშუალება. ტურიზმი მომსახურების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და ეკონომიკის დარგებს შორის ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგს მიეკუთნება.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს „ტურიზმისა" და „სტუმარმასპინძლობის" ტერმინების მრავალი განსაზღვრება. სტუმარმასპინძლობა - უფრო ზუსტი ცნებაა, რამდენადაც მიმართულია არა მარტო ტურისტების, არამედ ზოგადად მომსახურების დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ ცნებები ტურიზმი და სტუმართმასპინძლობა არ შეიძლება განხილულ იქნეს განცალკევებულად. ისინი ურთიერთდაკავშირებული ტერმინებია. ტურისტები ითვლებიან პოტენციურ მომხმარებლად, რომელთაც აქვთ განსხვავებული სურვილები და მოთხოვნილებები, რაც დამოკიდებულია მათი მოგზაურობის მიზანზე. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია მიმართულია ტურისტების, დამსვენებლების, მოგზაურების მოზიდვის პოზიტიური პროგრამის შექმნაზე, ხოლო ტურიზმის ინდუსტრია ტურისტების სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ქალაქებში გამგზავრებისთვის მომსახურების გაწევასთანაა დაკავშირებული.

ცნება "სტუმარმასპინძლობა" ისევე ძველია, როგორც ადამიანთა კაცობრიობის ცივილიზაცია. ინგლისური სიტყვა "Hospitality" (სტუმარმასპინძლობა) წარმოდგება ლათინური "Hospitium"-დან. ამ ტერმინის საფუძველში დევს სიტყვა "host" (მასპინძელი), "hospise" (თავშესაფარი), "Hotel" (დარბაზი ან დარბაზის ტიპის სახლი, რომელიც განკუთვნილია სტუმრების მისაღებად).

ტერმინი "სტუმარმასპინძლობა" ევროპელი ექსპერტების მიერ შემოღებულ იქნა 1982 წელს ჩამოყალიბებულ სასტუმროებისა და რესტორნების ნაციონალური ასოციაციის კონფედერაციაზე. სტუმარმასპინძლობა მეცნიერული თვალსაზრისით განსაზღვრავს ღონისძიებებისა და წესების სისტემას და მათ განხორციელებას ტურისტული საწარმოს სტუმრების სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მათთვის მთელი რიგი მომსახურების შეთავაზებას. მომსახურება- ესაა შემსრულებლის და მომხმარებლის უშუალო ურთიერთქმედების შედეგი, ასევე შემსრულებლის პირადი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს "სტუმარმასპინძლობის" ტერმინების მრავალი განსაზღვრება. სხვადასხვა უცხოელი სპეციალისტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ „სტუმარმასსპინძლობის" ცნებას. მაგალითად, ლ. ვაგენი თვლის, რომ სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია, რომელიც პასუხისმგებელია ტურისტების განთავსებაზე, ასევე დარგები, რომელთა საქმიანობა მიმართულია ალკოჰოლური სასმელების გაყიდვაზე, საცხოვრებლის შეთავაზებაზე, საკვებზე და გამამხიარებელ ღონისძიებებზე.

ჯ.რ. უოკერის აზრით, სტუმარმასპინძლობის ინდუსტია აერთიანებს ტურიზმს, სასტუმრო და სარესტორნე ბიზნესს, საზოგადოებრივ კვებას, დასვენებას და გართობას, კონფერენციებისა და თათბირების ორგანიზაციას.

ნ. ვებსტერის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია - მეწარმეობის სფეროა, რომელიც შედგება მომსახურების ისეთი სახეობებისაგან, რომლებიც ეყრდნობიან სტუმარმასპინძლობის პრინციპებს, ეს უკანასკნელი კი სტუმრისადმი კეთილგანწყობილ და მეგობრულ დამოკიდებულებებს გულისხმობს.

რ.ა. ბრაიმერის თვალსაზრისით, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია მეწარმეობის იმ სხვადასხვაგვარი და მრავალრიცხოვანი ფორმების გამაერთიანებელ ცნებად ითვლება, რომლებიც სპეციალიზდებიან მომსახურების ბაზარზე, რომელიც დაკავშირებულია სტუმრების მიღებასა და მომსახურებაზე. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის ძირითადი მიმართულებებია: საზოგადოებრივი კვება, განთავსება, გადაყვანა და დასვენება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ უცხოური მეთოდოლოგია სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიში მოიაზრებს განთავსების, საზოგადოებრივი კვების, სატრანსპორტო და კულტურულ-გასართობი სექტორის საწარმოებს.

სტუმარმასპინძლობა - ცივილიზაციის ცნებებს შორის ერთ-ერთია, რომელიც პროგრესისა და დროის მეშვეობით გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიად, რომელშიც დასაქმებულია მილიონობით პროფესიონალი, რომლებიც ყველაფერ საუკეთესოს ქმნიან მომსახურების მომხმარებლებისთვის (ტურისტებისთვის). სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია მოიცავს ადამიანების საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს- ტურიზმს, დასვენებას, გართობას, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესს, საზოგადოებრივ კვებას, საექსკურსიო საქმიანობას, გამოფენის ორგანიზებას და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას.

სტუმარმასპინძლობა-კომპლექსური მომსახურებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაზღვრული სამომხმარებლო თვისებები და რომელიც ქმნის საწარმოს დადებით სახეს, რაც ნიშნავს მომსახურებაზე "მეორადი მოთხოვნის" გამოვლინებას. სტუმარმასპინძლობის სფეროში დადებითი სახე უნდა იქმნდებოდეს სტუმარმასპინძლობის რესურსების ყოველმხრივი გამოყენების ხარჯზე, სტუმარმასპინძლობის კომფორტული სფეროთი, სტრატეგიითა და კონცეფციებით.

სტუმარმასპინძლობის სფერო განისაზღვრება გარეგანი ფაქტორებით (ეკონომიკურით, პოლიტიკურით, კულტურულითა და სოციალურით) და სპეციალიზირებული ფაქტორების ანუ ისეთების, როგორებიცაა სტუმარმასპინძლობის რესურსები, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია, სტუმარმასპინძლობის მსგავსი პროფესიების ურთიერთზემოქმედებით.

სტუმარმასპინძლობის გარემოზე ყველაზე მეტ ზეგავლენას ახორციელებს ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ეკონომიკური ფაქტორები(ინფლაციური პროცესები, საქონლისა და მომსახურების ბაზრების მდგომარეობა,სავალუტო კურსი და სხვა). ირიბად ზემოქმედებს სტუმარმასპინძლობის გარემო როგორც მომხმარებელზე, ისე მწარმოებელზე.ეს გამოიხატება იმაში, რომ როგორც პირველნი,ისე მეორენი ადარებენ და აფასებენ სახსრების გამოყენების ან დაბანდების შესახებ თავიანთ შესაძლებლობებს.

პოლიტიკური ფაქტორები ზემოქმედებენ სახელმწიფოს მიერ მოცემული დარგის საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღების მეშვეობით. კულტურული ფაქტორები უშუალო ზეგავლენას ახდენენ მომხმარებელზე და მწარმოებელზე, რამდენადაც ერთიც და მეორეც ცხოვრობენ და მოქმედებენ საზოგადოებაში. ადამიანთა ქცევა უპირატესად შეძენის არის საზოგადოების მიერ შექმნილი. კულტურა განსაზღვრავს საზოგადოების ფასეულობებს მთლიანობაში და შედგება სუბკულტურებისგან,რომელთა დაყოფა სხვადასხვა ნიშნით შეიძლება კლასიფიცირდეს.

სოციალური ფაქტორები სტუმარმასპინძლობის გარემოზე ზემოქმედებს საზოგადოებაში მომხმარებლის სოციალური მდგომარეობის მეშვეობით, გამოხატავს ადამიანის პოზიციას,რომელიც განსაზღვრულია მისი სოციალური როლითა და სტატუსით. აქვს რა თავისი სტატუსი,მომხმარებელი სტუმარმასპინძლობის გარემოს განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებს.საზოგადოების დიფერენციაცია სოციალური მდგომარეობის მიხედვით საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ ფაქტორის ზეგავლენა სტუმარმასპინძლობის სფეროს მომხმარებლის ქცევაზე.

სტუმარმასპინძლობის სფეროს ფუნდამენტია რესურსები.სტუმარმასპინძლობის რესურსები მოიცავს ფუნქციონალური ასპექტების მიხედვით ბუნებრივი რესურსების შეფასებას, ე.ი. მომსახურების სფეროს განსაზღვრული სახისათვის გამოყენებადობის მიხედვით; ეკოლოგიური ასპექტების მიხედვით- გაითვალისწინება ტერიტორიის შერჩევის დასაბუთებულობა ფსიქოფიზიოლოგიური კომფორტულობის მიხედვით (გარეგანი გარემოს ხმაურიანი, ქარიანი და სხვა ნეგატიური ზემოქმედება), ესთეტიკური ასპექტების მიხედვით, ე.ი. სტუმარზე ლანდშაფტის ემოციური ზემოქმედება. ანთროპოგენური რესურსები ფასდება კულტურულ-ისტორიული და ბიოსოციალური ასპექტების მიხედვით ტერიტორიის კეთილმოწყობის თვალსაზრისით (მომსახურებისათვის მოწყობილობათა სისტემების არსებობა,კულტურული ობიექტები, აღჭურვილობა და კომუნიკაციები) და სტუმარმასპინძლობის სფეროს მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სტუმარმასპინძლობის სფეროს განვითარების დონე დამოკიდებულია ბევრ პროფესიაზე, რომელთა მოთხოვნები განისაზღვრება საკადრო პოლიტიკით მომსახურების სფეროში. სტუმარმასპინძლობის პროფესიები განისაზღვრება მომსახურების სფეროს სხვადასხვაობით (მატერიალური და სოციალური-კულტურული ხასიათის), რომელშიც ხდება მომსახურების მომხმარებლისა და შემსრულებლი უშუალო კონტაქტი. ამერიკელები ამ ინდუსტრიაში აერთიანებენ ეკონომიკის ყველა მონათესავე დარგს, რომელიც სპეციალიზირებულია მოგზაურთა მომსახურებაზე, სპეციალიზირებული შემდეგი საწარმოების სახით: სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, ნაციონალური პარკები, კულტურისა და დასვენების პარკები და ა.შ. აშშ-ში სტუმარმასპინძლობის პროფესიის დაბადების წლად ითვლება 1956 წელი, როდესაც მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშაკების რაოდენობა აჭარბებდა წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობას. აშშ-ში ეს ინდუსტრია სამუშაოს მიმცემთა ნიშნით მეორეა, რომელიც სამუშაო ადგილებს სთავაზობს ათობით მილიონ ადამიანზე მეტს. მსოფლიოს მრავალ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში (იტალია,საფრანგეთი,შვეიცარია, ავსტრია,და სხვა.) ესაა ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი.

ამრიგად, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია კრებით ცნებად ითვლება, რომელიც მოიცავს მომსახურების სფეროს სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია სტუმრების მიღებასა და მომსახურებასთან მოგების მიღების მიზნით.ის მოიცავს მომსახურების ყველა სფეროს, მათ შორის სასტუმროსა და სარესტორნე საქმეს, ტურისტულ და სატრანსპორტო ბიზნესს, რეკრეაციულ ინდუსტრიას, საკონგრესე ბიზნესს და სათამაშო ბიზნესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.sagepub.com/.../19056_5047_Brotherton_Ch01
2. www.adam-europe.eu/prj/10485/prj/Definition%20of%20Tourism.pd
3. www.tim.hawaii.edu/.../to490_section-7_accomm-h
4. https://englishedu.files.wordpress.com/.../dictionary-of-travel-tourism-hospi.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რანჟირების საკითხისათვის

ნიკო ჩიხლაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში რეგიონალიზაციის პროცესები საკმაოდ ფართო მასშტაბებით მიმდინარეობს. ეკონომიკური სისტემის მრავალსაფეხურიანობის პირობებში რეგიონი თითოეულ ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის ძირითად არეალად გვევლინება, რომელსაც ქვეყნის კონკრეტული ტერიტორიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. რეგიონი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის წინაშე დასმული სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის გადაწყვეტის საქმეში.

თანამედროვე პირობებში, რეგიონების გამოკვეთილი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეკონომიკური, სოციალური და სხვა გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში მიმდინარე პროცესების სწორად დაგეგმვას, რეგიონების განვითარების პერსპექტივებისა და ძირითად მიმართულებათა მეცნიერულ განსაზღვრას და მათ რეალიზაციას[1].

ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც ინოვაციების შექმნის და რეალიზების მოქნილ უნარს ფლობენ, ცვალებად ეკონომიკურ სივრცეში რთულია კონკურენტული უპირატესობების მოპოვება. ქართველ მეცნიერთა ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ მეზოდონეზე კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა, შექმნას ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ განვითარებას, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ და სტაბილურ დონეს და გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას[2].

რეგიონის კონკურენტუნარიანობას ძირითადად განსაზღვრავს სამი ფაქტორი: ეკონომიკური პირობები, ფინანსური მოქნილობა და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა. თავის მხრივ, ეკონომიურ პირობები მოიცავს ბიზნეს-სექტორის ფუნქციონირებას, დემოგრაფიულ სიტუაციას, რეგიონის სამეურნეო სტრუქტურას, სამომხმარებლო ბაზრის მოცულობას, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ პოტენციალს და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს.

მცირე ტერიტორიის მიუხედავად, საქართველოში ღრმად არის წარმოდგენილი ტერიტორიული განსხვავებანი, როგორც სხვადასხვა რეგიონებს შორის (ეკონომიკური განვითარების დიფერენციაცია, ეროვნული კულტურის, ტრადიციების მრავალფეროვნება, ეკოლოგიური, დემოგრაფიული თავისებურებები და ა.შ.), ისე რეგიონის შიგნითაც, ცალკეული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

ამასთან, საქართველო ხასიათდება ეკონომიკური განვითარების არათანაბარ ზომიერებით ტერიტორიულ ჭრილში. ეს არათანაბარზომიერება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების უზრუნველყოფის დონით, ისტორიულად ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, მოსახლეობის მენტალიტეტით და ობიექტური ხასიათის სხვა ფაქტორებით.

თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ეფუძნება ქვეყნის ტერიტორიის 9 ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებად (მხარეებად), დაყოფას, თუმცა მათი უმრავლესობის (ავტონომიების გარეშე - 9-დან 6-ის) ადმინისტრაციული საზღვრები ფაქტობრივად აერთიანებს რამდენიმე ისტორიული მხარის ტერიტორიას, აგრეთვე დედაქალაქ თბილისს. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნულია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. თბილისსა და საქართველოს კიდევ სამ ქალაქს (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი), სადაც მცხოვრებთა რაოდენობა აღემატება 100 ათას კაცს, ყავს პირდაპირი წესით არჩეული მერი.

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიაში რეგიონის ცნება განსაზღვრულია შემდეგნაირად: რეგიონი - „ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განიმარტება როგორც ფუნქციურ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ. თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“[3].

რეგიონების განვითარების ხარისხზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით, მინერალურ-სანედლეულო რესურსების არსებობით. ამ მხრივ გადამწყვეტ როლს ასრულებს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესის წარმოების პირობები, რითაც შესაძლებელია რეგიონი საინვესტიციო-მიმზიდველ ზონად იქცეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გამოიყენება რეგიონში ბუნებრივი თუ ისტორიული უპირატესობები, ან პირიქით, რამდენად ივსება (იფარება) ამ უპირატესობათა დეფიციტი გარკვეული, ხშირ შემთხვევაში უნიკალური საკუთარი ინიციატივებით. ყოველივე ეს აისახება რეგიონების ეკონომიკის, ბიუჯეტის, სოციალური სფეროს მაჩვენებლებში.

1 ღავთაძე გ., ჩიხლაძე ნ., იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები. აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2009. გვ. 4.

2 ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვლ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე მიღწევები. თბ., „უნივერსალი“, 2012. გვ. 153.

3 „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“. გვ. 42.

რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონებში განვითარების სტრატეგიების - ძირითადი პროგრამული დოკუმენტის არსებობას. რეალურ ეტაპზე რეგიონული მმართველობითი რგოლები ნაკლებად არიან დაინტერესებული სტრატეგიული მიდგომების შეფასებით და მას ხშირად ცენტრალური ხელისუფლებიდან „თავსმოხვეულად" თვლიან. არადა, პროგრამული საქმიანობა, განვითარების პროგრამების შემუშავება და რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება სამართლიანად ითვლება რეგიონული განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლების უმთავრეს ინგრედიენტად[1].

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების შემუშავება ძირითადად დასრულებულია, მაგრამ ახალი სოციალური და ეკონომიკური გარემოებების წარმოქმნის გამო ისინი ფაქტობრივად უკვე მოძველდა და საჭიროა მათი სერიოზული გადამუშავება და განახლება.

დღეისათვის მოქმედი ხელისუფლების მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის რეალურად (ფაქტობრივად) და არა ქაღალდზე გაუმჯობესება, დღის წესრიგში დგება დოკუმენტების „საქართველო-2020" და რეგიონების განვითარების ადრე შემუშავებული სტრატეგიების თავსებადობის პრობლემა. აღნიშნული დოკუმენტები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და მათი ერთმანეთთან დაახლოებისათვის საჭიროა რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და გამომდინარე აქედან რეგიონების განვითარების სტრატეგიების ხელახალი შემუშავება. მათ საფუძვლად უნდა დაედოს ახალი საპროგრამო ხასიათის დოკუმენტები: სტრატეგია „საქართველო-2020" და პარლამენტის მიერ მიღებული ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", სხვა კანონებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, აგრეთვე, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგები, ახალი პროექტები და პროგრამები[2].

სხვადასხვა წყაროების შესწავლამ ცხადყო, რომ მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს ქალაქ თბილისსა (მის შემოგარენის ჩათვლით) და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის. ასევე, აშკარა განსხვავებებია იმ პირობებში, რომლებიც გვხვდება ქალაქად, ერთი მხრივ, და სოფლად, მეორე მხრივ. ამავდროულად, მაღალმთიანი რეგიონების პირობები სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული პირობებისგან. თბილისზე, სადაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით L ცხოვრობს, მოდის ბიზნეს-სექტორის მთლიანი გამოშვების 70 პროცენტი. <u>რეგიონების მი</u>ხედვით ბიზნეს სექტორის გამოშვებაში (ქ. თბილისის გარდა) ოთხ რეგიონზე (აჭარის არ, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი) მოდის მთელი გამოშვების 72% (იხ. ნახ. 1).

ნახ. 1



კიდევ უფრო დიდია ბიზნეს-სექტორის გამოშვება მოსახლეობის ერთ სულზე. - აქ სხვაობა საუკეთესო დონის მქონე ერთეულსა (თბილისი) და აუტსაიდერს (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) 18.7-ჯერადია (იხ. ნახ. 2).

ნახ. 2



რეგიონული განვითარების საჭიროებებისა და შესაბამისი პრიორიტეტების გამოვლენისთვის და მათ გადასაჭრელად, საჭირო ღონისძიებების ჯეროვანი განსაზღვრისთვის, მხედველობაშია მისაღები რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ: რეგიონებს შორის განსხვავებები არ არის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობების იდენტური, რაც ამართლებს საჯარო ინტერვენციას.

ასეთი უთანასწორობებისა და მათთან დაკავშირებული განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა მოითხოვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორებიცაა: საქართველოს საერთო განვითარების პრიორიტეტები, შესაბამისი დარგობრივი პრიორიტეტები და, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ხელშეკრულებები. ის ფაქტი, რომ ზოგი რეგიონი მეტწილად სოფლებს მოიცავს, ზოგი კი უფრო ურბანული ტიპისაა, არ წარმოადგენს თავისთავად პრობლემას, თუმცა თითოეული ტიპის რეგიონს, შესაბამისად, გააჩნია განვითარების განსხვავებული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება მოითხოვს გარკვეული ბალანსის დაცვას[3].

ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ფაქტორთა კომპლექსისაგან <u>შედგება. ნების</u>მიერი შეფასება ეყრდნობა კონკრე-

1 ხმალაძე კ., რეგიონული განვითარების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ასპექტები. საერთაშორისო სამეცნ.-პრაქტ. კონფერენციის „ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები" შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი, 2012. გვ. 213.

2 მესხია ი., რეგიონული განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის "ეკონომიკა, ტურიზმი და საინფორმაციო ტექნოლოგიები ქვეყნის განვითარებაში: გამოწვევები და პერსპექტივები" შრომების კრებული. ქუთაისი, 2014. გვ. 78-80

3 „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა". გვ. 33

ტულ ინდიკატორებს, რომელთა მნიშვნელობა ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ კლიმატზე აისახება. რეგიონი, როგორც რთული სისტემა, მრავალრიცხოვანი ფაქტორების ზემოქმედებას განიცდის. ამიტომ ზემოთ ხსენებული ინდიკატორების გამოვლენა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რაც საკმაოდ რთულია. მეორე მხრივ, ასეთი ინდიკატორები მართვის ორგანოებისათვის აიოლებს დროის გარკვეული მომენტისათვის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პროცესზე დაკვირვებას[1].

შემოთავაზებული კვლევა - საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რანჟირების მცდელობა, შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც რეგიონული დიაგნოსტიკის ერთ-ერთი ელემენტი (განვითარების პროცესების დიაგნოსტიკა), რამდენადაც სრულყოფილი დიაგნოსტიკა მოიცავს რეგიონული სიტუაციისა და პრობლემათა მახასიათებლების ფართო სპექტრს, განსხვავებული ფაქტორების ხარისხობრივ შეფასების ჩამონათვალს, რომლებიც განსაზღვრავენ სიტუაციურ მდგომარეობას და განვითარებას.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რანჟირება, რომელიც ეყრდნობა რეგიონული განვითარების აგრეგირებულ საკვანძო მაჩვენებლებს, საშუალებას გვაძლევს (მოგვცემს) განვსაზღვროთ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის პოზიცია საქართველოს ეკონომიკურ რუკაზე.

რანჟირების აქტუალობას განაპირობებს როგორც ინფორმაციული გამჭვირვალობის აუცილებლობა, ისე რეგიონული მმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნესის დაინტერესება. პრინციპულად მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ რანჟირება ეყრდნობა (უნდა დაეყრდნოს) ოფიციალური სტატისტიკის მაჩვენებლებს, რაც ხელმისაწვდომია დაინტერესებულ მომხმარებელთა ფართო წესისათვის.

რანჟირების შედგენისას მოვახდინეთ მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი მასივის ანალიზი, რომელიც ახასიათებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის სხვადასხვა ასპექტებს. ანალიზის შედეგებით ფორმირებულია საკვანძო მაჩვენებლები, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რეგიონების პოზიციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით.

საკითხის შესწავლისათვის გამოვიყენეთ რეალური სექტორის მაჩვენებლები. ანალიზში საბაზისოდ მივიჩნიეთ 2012, ხოლო საანალიზოდ - 2013 წელი.

სანამ უშუალოდ რეგიონებს შევეხებით, განვიხილოთ ქვეყნის მშპ-ის 2013 წლის შედეგები და მისი დარგობრივი სტრუქტურა, რაც ერთგვარი ორიენტირი იქნება რეგიონებში ანალიზისათვის საკვანძო დარგების შესარჩევად.

2013 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 26 847,4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2,6%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 3,3%-ით განისაზღვრა. დარგობრივ სტრუქტურაში (იხ. ნახ. 3) ყველაზე მაღალი წილი უკავიათ ვაჭრობის (17,3%) და მრეწველობის (17,3%) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს, კლებადი პროგრესიით, იკავებენ: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,5%), სახელმწიფო მმართველობა (10,1%), სოფლის მეურნეობა (9,4%), მშენებლობა (6,7%), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (5,7%).

ნახ. 3

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა (11,3%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (9,6%), დამამუშავებელი მრეწველობა (8,6%), საფინანსო საქმიანობა (7 %), ვაჭრობა (5,4%), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (5,1%). სასტუმროები და რესტორნები (4,6%), ტრანსპორტი (3,2%). კლება აღინიშნა მშენებლობაში (10,5%)[2].

რეგიონებს შორის არსებული, ზემოხსენებული დისბალანსი (განსაკუთრებით თბილისსა და დანარჩენ რეგიონებს შორის), უპირველესად თავს იჩენს წარმოებული დამატებული ღირებულების მკვეთრ უთანაბრობაში (იხ. ნახ. 3).

ნახ. 3

ამასთან, რეგიონებში წარმოებული დამატებული

ღირებულების მაჩვენებელი ვერ შევიყვანეთ ანალიზში 2013 წლის მონაცემის უქონლობისა და საქსტატის მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში, ორი რეგიონის მაჩვენებელთა გაერთიანების გამო (მაგ., იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი).

1. Маковкина С., Влияние стратегического планирования на качественные изменения социально-экономического положения города. Сб. Тр.-ов X Международной конференции молодых ученых. Институт экономики УрО РАН. Екатеринбург. 2012. стр. 174.

2 www.geostat.ge

რეალური სექტორის ფუნქციონირების შესაფასებლად გამოვიყენეთ ექვსი ძირითადი მიმართულება (სექტორი): ბიზნეს-სექტორი, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. თითოეული მიმართულება საქართველოს ცალკეული რეგიონებისათვის შევაფასეთ ოთხი ინდიკატორის მიხედვით: ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში.

ა) ბრუნვა - ახასიათებს დარგის განვითარებას, მის სიცოცხლისუნარიანობას. მისი სტაბილური ზრდის ტემპი დარგის კონკურენტუნარიანობას გვიჩვენებს. ცხადია, ამ მაჩვენებლის დინამიკით კონკრეტული დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ მას განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ საბაზო მაჩვენებელს;

ბ) დასაქმებულთა რიცხოვნობა - საშუალებას გავძლევს დავაკვირდეთ ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა დინამიკას კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის. მისი ცვლილება გარკვეულწილად სოციალურ პოლიტიკაზეც უნდა აისახოს;

გ) პროდუქციის გამოშვება გვიჩვენებს რამდენად შედეგიანია ამა თუ იმ სექტორის საქმიანობა;

დ) ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დარგის კონკურენტუნარიან ფუნქციონირებას, ტერიტორიის საინვესტიციო მიმზიდველობას; მათი ზრდა ტერიტორიის სტაბილურობაზე მიუთითებს.

გამოდის, რომ როდესაც დარგის ინდექსი Iდ<4-ზე, მაშინ წინა წელთან შედარებით კლების ტემპი ფიქსირდება.

ბიზნეს სექტორში ჯამური მაჩვენებლების (Iბ) დიაპაზონი 3,8-დან 6,7-მდე დაფიქსირდა (იხ. ცხრ. 1). ამ მხრივ ყველაზე მაღალი დონე ჰქონდათ კახეთს (6,673) და სამცხე-ჯავახეთს (5,277). ორივე შემთხვევაში საშუალორეგიონულიდან გადახრა ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მაღალმა ზრდამ განაპირობა[1].

მრეწველობაში ჯამური მაჩვენებლების დიაპაზონი 3,4-დან 6,6-მდე დაფიქსირდა. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (6,609), რაც ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მაღალმა ზრდამ განაპირობა (3,505). Iმ=5,1-5,6 დიაპაზონში კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში. ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მაჩვენებელი (Iმ=1,786), რაც მრეწველობაში და მთლიანად, მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს.

ვაჭრობაში დაბალი მაჩვენებლები (Iვ<4) დაფიქსირდა ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს კახეთს, სადაც Iვ=17,742. ეს განპირობებულია ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ზრდის მაღალი მაჩვენებლით (9,6 მლნ. ლარი 2013 წელს, რაც ბოლო შვიდი წლის ჯამურ მაჩვენებელს აჭარბებს). ამ მხრივ, დასახელებული ფაქტორის გამო მაღალი ინდექსებია ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთსა (Iვ=8,403) და შიდა ქართლში (Iვ=7,18).

პრაქტიკულად იგივე ტენდენცია იკვეთება სასტუმროებისა და რესტორნების საქმიანობაში, სადაც ყველაზე მაღალია დარგის ინდექსი. ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში (შესაბამისად, $I_{სრ}$=27,863 და $I_{სრ}$=17,979).

ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში საქართველოს ბევრ რეგიონში ჩამორჩენა (5 რეგიონი) ან უმნიშვნელო ზრდა (2 რეგიონი) შეინიშნება. დაბალი მაჩვენებლებია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში ($I_{ტკ}$=1,4), კახეთში ($I_{ტკ}$=1,7) და იმერეთში ($I_{ტკ}$=2,8). ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სამცხე ჯავახეთში (Iტკ=33,2), რაც განაპირობა ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ზრდის მაღალმა ტემპმა. ასევე მაღალია მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთშიც, სადაც $I_{ტკ}$=13,8. წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით, მდგენელების თანაბარზომიერებით გამოირჩევა მცხეთა-მთიანეთის ინდექსი.

მშენებლობაში მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა კახეთსა ($I_{მშ}$=20,7) და მცხეთა-მთიანეთში ($I_{მშ}$=15,4). ჩამორჩენა შეინიშნება 6 რეგიონში (თბილისი, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი), სადაც $I_{მშ}$<4.

დასახელებული 6 დარგის მაჩვენებელთა აგრეგირებით გამოგვყავს ინტეგრალური ინდექსი (Iინტ):

$$I_{ინტ.} = I_{ბ} + I_{მ} + I_{ვ} + I_{სრ} + I_{ტკ} + I_{მშ}$$

ყველაზე მაღალი ინტეგრალური მაჩვენებლები დაფიქსირდა კახეთში (58.3), მცხეთა-მთიანეთში (48.1), სამცხე-ჯავახეთსა (72.6) და ქვემო ქართლში (47.2). თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ანალიზში დაფიქსირდა ამოვარდნილი დონეები (იხ. ნახ. 4).

ნახ. 4

დარგების რიცხოვნობისა და მაჩვენებელთა რა-



ოდენობის (სულ 24) გათვალისწინებით (იხ. ცხრ. 2) შესაძლებელია გამოვიყვანოთ საშუალო ინტეგრალური მაჩვენებელი (Iინტ.საშ). შესაბამისად, სადაც Iინტ.საშ<1, დარგში გასაშუალოებული ზრდის დაფიქსირება არ ხდება (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი).

ნახ. 5

მხარეების რანჟირება საშუალო ინტეგრალური



1 ანალოგიური ცხრილები შევადგინეთ ყველა ინდიკატორის მიხედვით

მაჩვენებლის მიხედვით

არმოდგენილი ანალიზი გარკვეულ მიმართულებებს შეიცავს და რეგიონებში განხორციელებულ ეკონომიკურ ძვრებსაც ახასიათებს, თუმცა იგი არასრულყოფილია. საინტერესოა საკითხი - რატომ ვერ მოვახერხეთ საქართველოს რეგიონების სრულყოფილი რანჟირება და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის მომავალში?

მიგვაჩნია, რომ:

1. გაანალიზებული მაჩვენებლები უნდა დაიყოს 4 ძირითად ჯგუფად:

ა) ეკონომიკის მასშტაბის მაჩვენებლები;

ბ) ეკონომიკის ეფექტიანობის მაჩვენებლები;

გ) საბიუჯეტო სფეროს მაჩვენებლები;

დ) სოციალური სფეროს მაჩვენებლები.

2. რანჟირებისათვის აუცილებელია არსებობდეს სათანადო ინფორმაციული ბაზა. კერძოდ, 2013-2014 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) და სხვა სამინისტროებთან ერთად, მუშაობდა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების განსაზღვრაზე, შეგროვებასა და პრეზენტაციაზე. თუმცა ცალკეული სფეროების ან მიმართულებების მიხედვით ინფორმაციის სრულად მოპოვება (არ არის ხელმისაწვდომი) ან რეგიონებზე ინფორმაცია აგრეგირებული სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, ეკონომიკური აქტივობა, წარმოებული დამატებული ღირებულება, მოსახლეობის საშუალო-სულადობრივი შემოსავლები, საბიუჯეტო შემოსავლები, უცხოური ინვესტიციები და ა.შ.

ამდენად, სრულყოფილ მონაცემთა დამუშავების შედეგად მივიღებთ რეგიონების რანჟირებულ ჩამონათვალს, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებითი პოზიციების ასახვით.

რანჟირება საშუალებას მოგვცემს ანალიზის შედეგები გამოვიყენოთ არა მხოლოდ როგორც ბაზისი რეგიონებში საინვესტიციო მიმზიდველობის შესაფასებლად, არამედ იმ პრობლემების გამოსაკვეთად, რომელთა გადაწყვეტაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ რეგიონის განვითარება. ევროკავშირთან დაახლოების პირობებში, სრულყოფილი რანჟირების საშუალებით გაიოლდება ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილების პრაქტიკული რეალიზება და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

ბიზნეს სექტორი

ცხრილი 1

	თბილისი	აჭარის არ	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩ-ხუმი ქვ. სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახ-ეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ბრუნვა	1,020	1,159	1,221	1,083	1,415	1,396	1,127	1,318	1,323	1,062	0,937
პროდუქციის გამოშვება	0,990	1,061	1,218	0,958	1,503	1,224	1,079	1,336	1,309	0,995	0,861
დასაქმებულთა რაოდენობა	1,029	1,113	0,910	0,984	1,101	0,994	0,962	1,012	1,051	1,021	0,993
ინვესტიციები ფესირებულ აქტივებში	1,291	1,573	1,000	0,567	2,654	0,654	0,636	0,331	1,594	1,173	1,455
სულ დარგში	4,330	4,907	4,349	3,592	6,673	4,268	3,805	3,997	5,277	4,251	4,246

ცხრილი 2

ინტეგრ ალური

	თბილისი	აჭარის არ	გურია	იმერ-ეთი	კახეთი	მცხეთა-მთია-ნეთი	რაჭა-ლეჩ-ხუმი ქვ. სვანეთი	სამეგრელო -ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახ-ეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ბიზნეს სექტორი	4,330	4,907	4,349	3,592	6,673	4,268	3,805	3,997	5,277	4,251	4,246
მრეწველობა	6,609	3,547	4,256	3,432	5,583	3,584	1,786	5,190	3,889	5,259	3,788
მშენებლობა	3,382	4,162	2,297	2,509	20,721	15,403	3,641	6,557	8,356	2,626	3,176
სასტუმროები და რესტორნები	4,370	4,912	8,059	4,560	5,913	5,204	5,758	6,620	17,979	27,863	12,531
ვაჭრობა	5,147	5,452	6,228	4,216	17,742	5,805	3,829	8,403	3,932	3,762	7,180
ტრანსპორტი და კავშირგა ბმულობა	4,044	5,111	8,443	2,828	1,691	13,789	1,427	3,545	33,188	3,475	6,457
სულ	27,882	28,090	33,632	21,138	58,323	48,053	20,245	34,312	72,620	47,236	37,380
საშუალო	**1,16**	**1,17**	**1,40**	**0,88**	**2,43**	**2,00**	**0,84**	**1,43**	**3,03**	**1,97**	**1,56**

ცხრილი 3

საქართველოს რეგიონების სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლები

მაჩვენებელი	საქართ-ველო	თბილ-ისი	აჭარის არ	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	5253,0	13225,4	4149,7	964,8	1613,2	1443,8	4173,6	710,6	2145,1	2042,2	3929,2	1818,8
%-ით საქართველოსთან	100,0	251,8	79,0	18,4	30,7	27,5	79,5	13,5	40,8	38,9	74,8	34,6
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	2707,3	7492,4	2123,8	433,2	673,2	687,0	1493,1	378,0	899,3	1085,7	1311,3	520,6
%-ით საქართველოსთან	100,0	276,7	78,4	16,0	24,9	25,4	55,2	14,0	33,2	40,1	48,4	19,2
დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი)	760,1	876,9	577,3	327,8	489,3	447,7	775,0	351,5	587,0	591,4	679,6	421,2
%-ით საქართველოსთან	100	115,4	76,0	43,1	64,4	58,9	102,0	46,2	77,2	77,8	89,4	55,4
მოსახლეობა, ათასი კაცი	4483,8	1171,1	394,2	139,2	703,9	405,1	108,9	46,3	476,9	213,5	511,1	313,5

Niko Chikhladze – Doctor of Economic Sciences, Professor of Akaki Tsereteli
State University, Professor of Kutaisi University

ON THE ISSUE OF RANKING SOCIOECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA'S REGIONS

Summary

The paper dwells on pressing issues of ranking socioeconomic development of the country's regions. There are outlined the necessity of large-scale regionalization processes in nearly all countries, which are able to resolve economic, social and other problems.

The paper describes again a striking contrast between the regions of Georgia. Studies of different sources have shown that there is a significant imbalance between Tbilisi City (including surroundings) and the rest of the country. There are also obvious distinctions between those conditions, which we face in the city on the one hand, and in countryside, on the other hand. At the same time, the conditions of high-mountain regions completely differ from the conditions existing in the rest of Georgia. Tbilisi, where about ¼ of Georgia's population lives, accounts for 70% of total production of business-sector.

The proposed research - an effort to rank socioeconomic development of Georgia can be considered as one of the elements of regional diagnostics (diagnostics of development processes), since the full-fledged diagnostics comprises a wide range of characteristics regional situations and problems, list of qualitative assessment of different factors, which define situational state and development.

Ranking socioeconomic development of regions, which is based on the aggregated key indicators of regional development, enables us to determine the position of any region on the economic map of Georgia.

Urgency of ranking is conditioned by both the necessity of information transparency and commitment of regional governance, local authorities and business-sector.

For the purpose of ranking, we have carried out the analysis of a significant set of indicators, which characterize different aspects of socioeconomic development of regions. Based on the results of the analysis, there are formed the key indicators, which enable to determine the positions of regions by the level of socioeconomic development.

As a result of processing full-fledged data, we will obtain the ranking list of regions by representing comparative positions of socioeconomic development.

The ranking should enable us to use the analysis results not only as a basis for assessing investment attractiveness in the regions, but for identifying those problems, on resolving of which depends the development of one or another region. In the conditions of approximation to European Union, by means of full-fledged ranking, there will be facilitated practical application of European Union's cohesion policy (lowering inequality between regions) as well as making optimal solutions.

„პოსტკონფლიქტური ვითარება დნესტრისპირეთში და აფხაზეთში - შედარებითი ანალიზი“.

(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, აკადემიური პერსონალის კონფერენციის მასალების მიხედვით).

მაია გელანტია

ეკოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

2011 წლის 19-24 მარტს ქ. კიშინიოვსა და ქ. ტირასპოლში „სახალხო დიპლომატიისა და ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური დიალოგის პროექტის ფარგლებში“, ჩატარდა გასვლითი შეხვედრები სასწავლო ვიზიტებისა და დიალოგების სახით. ე.წ. დნესტრისპირეთის სამთავრობო ადმინისტრაციაში და მოლდავეთის სამთავრობო სტრუქტურებში. სადაც მონაწილეობა მივიღე მოლაპარაკებების პროცესში; სამშვიდობო დიალოგის ფორმატი, ითვალისწინებდა ქართული, აფხაზური, ოსური, მოლდავური, მხარეების მონაწილეობას ამ შეხვედრებში, სტატუსით - „ჩართულობა დიალოგის გზით“. დიალოგის ორგანიზატორები იყვნენ: კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, ბერჰოფის ფონდთან ერთად. (პროექტი ხორციელდება 2009 წლიდან, ევროკავშირის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით).

კვლევის მიზანი: 1992-1993 წწ. მოლდავეთ-დნესტრისპირეთის „გაყინული კონფლიქტის“ და პოსტკონფლიქტური ვითარების შესწავლა, საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებთან მიმართებაში შედარებითი ანალიზის მომზადება, კონფლიქტების მოწესრიგების შესაძლო მოდელების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება; დნესტრისპირეთის კონფლიქტის შეფასება, პოსტკონფლიქტური ვითარების შესწავლა, აფხაზეთის კონფლიქტთან შედარება (მსგავსება, განსხვავება) და ამ კუთხით მათი დადებითი გამოცდილების წარმოჩენა და საზოგადოებისათვის შეთავაზება პოსტკონფლიქტური პრობლემების გადასაჭრელად.

კვლევის ამოცანები: დნესტრისპირეთის კონფლიქტის პრაქტიკული ანალიზი, იმისა, თუ როგორია დნესტრისპირეთში ჩართული კონფლიქტური მხარეების მიერ კონფლიქტის აღქმა. (კერძოდ, ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოების, მოსახლეობის აზრის გაცნობა, კონფლიქტური რეგიონების, პოლიტიკური ხელმძღვანელების მოსმენა, მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრების შედეგები. გავეცანით მხარეებს შორის მოლაპარაკებების პროცესების ქრონოლოგიას, ამჟამად არსებულ სტადიებს, გამოწვევებს, მიღწეულ შეთანხმებებს და მორიგებებს. შევეცადეთ გაგვერკვია პოსტკონფლიქტური საზოგადოების პრობლემები; ასევე ამ საზოგადოების ჩართულობა პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობა მოლაპარაკებების პროცესში; მოვიძიე ადგილობრივი სტატისტიკური და თეორიული მასალები; შეძლებისდაგვარად გავეცანით მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების რეალურ პირობებს და პრობლემებს;

კვლევის მეთოდები: ვიხელმძღვანელე კონფლიქტის სოციოლოგიური ანალიზისა და კვლევის მეთოდებით; ექსპერტული ინტერვიუს მეთოდით; შეხვედრა-ინტერვიუ ექსპერტებთან, მხარეების პოლიტიკურ ლიდერებთან, მოსახლეობის წარმომადგენლებთან; ასევე კონფლიქტური სიტუაციის ადგილზე შესწავლის მეთოდით, რადგან როგორც აღნიშნავს ა.ტურენომი და ლ.ა. გორდონომის აზრით, ეს საუკეთესო მიდგომაა ნაციონალური კონფლიქტების სოციოლოგიური ანალიზის პირველადი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მოლდავეთი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთით ესაზღვრება რუმინეთი, აღმოსავლეთით უკრაინა. ფართობი შეადგენს 33 700კმ2.-ს. დედაქალაქი კიშინიოვი, იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, დამოუკიდებლობა მოიპოვა, 1989წ.) მოსახლეობა – 3მლნ. 576 ათასი ადამიანი, დასახლებულია ძირითადად : მოლდაველებით - 30% (2,8 მლნ.ადამიანი) უკრაინელებით – 29%, რუსები – 30%, დანარჩენი მოსახლეობა ბულგარელები, ებრაელები, გაგაუზები, გერმანელები მთლიანი მოსახლეობის 10% - ს შეადგენენ, ჯამში 35-მდე ეთნიკური ჯგუფია, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყანა იწვევს როგორც რუსეთის, ისე ევროკავშირისა და მისი პარტნიორების ინტერესს. მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა მოლდავეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი ავტონომიური ერთეული: „გაგაუზია“ და „დნესტრისპირეთი“ (ე.წ. „დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა“- დმრ, ფართობი 4 163 კმ2).ე.წ. დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა განსაკუთრებული სტატუსით 2005 წლიდან სარგებლობს). ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი (რომელიც ირჩევა 5 წლის ვადით პარლამენტის მიერ). უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი. მმართველი პარტია – კომუნისტები, ფულის ერთეული მოლდავური – ლეი, ქვეყანა ესაზღვრება უკრაინას და რუმინეთს.

ამ დროისათვის კონფლიქტური სიტუაცია შექმნილია ამ უკანასკნელსა და მოლდავეთის ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. კონფლიქტი, იმ სახით როგორითაც იგი დღესაა წარმოდგენილი ოფიციალურად 1991 წელს დაიწყო და მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, როგორც ქვეყნის შიდა აქტორების, ისე გარე ძალების მიერ, პრაქტიკული გადაწყვეტა ვერ ხერხდება და ინარჩუნებს ე.წ. „გაყინული კონფლიქტის“ სტაცუსს. დნესტრისპირეთის კონფლიქტი ეს არის პოსტსაბჭოური კონფლიქტი მოლდავეთსა და მის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს ე.წ. დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკას შორის, რომელიც გეოგრაფიულად გაყოფილია მდ. დნესტრით.

პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა კონფლიქტებისგან განსხვავებით დნესტრისპირეთის კონფლიქტი არ წარმოადგენს ეთნიკური კონფლიქტის კლასიკურ მაგალითს, იგი უფრო პოლიტიკურ კონფლიქტად

მოიაზრება რეგიონსა და ცენტრს შორის, დნესტრისპირეთის კონფლიქტის სტატუსია კონფლიქტი – ტერიტორიული ნიშნით, (არა ეთნიკური კონფლიქტი). ე.წ. დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა შეიქმნა 1989 -1992 წლებში, დღეისთვის ის „აღიარეს“ მხოლოდ ე.წ. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებმა. რესპუბლიკაში პრეზიდენტი ირჩევა 5 წლის ვადით, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოა უმაღლესი საბჭო, რომელიც შედგება 43 დეპუტატისაგან. დედაქალაქი ტირასპოლი, რომელიც ძალიან გავს ყოფილი საბჭოეთის ქალაქებს. რესპუბლიკის ფართობი შეადგენს 4.2 ათასი, კვ.კმ. მოსახლეობა - 522,5 ათასი ადამიანი, დასახლებულია ძირითადად მოლდოველებით, რუსებით, და უკრაინელებით; ოფიციალური ენებია: მოლდავური, რუსული და უკრაინული; ფულის ერთეულია დნესტრისპირული რუბლი. მეამბოხე ტერიტორიის სტატუსიც აქვს. დნესტრისპირეთის არ აღიარებული რესპუბლიკა, ისეთი როგორიც- რუსეთ-საქართველოს ომამდე – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

მოლდავეთ-დნესტრისპირეთის კონფლიქტის ზედაპირული მიზეზი: მოლდავეთის 1989 წლის კანონი “სახელმწიფო ენის შესახებ”, რასაც შედეგად მოყვა პირველი საპროტესტო დემონსტრაციები., სადაც “ენის შესახებ” მოლდავეთის რესპუბლიკის კანონპროექტი დნესტრისპირეთში მიჩნეული იქნა დისკრიმინაციულად, თან სდევდა სოციალური აქტივობების მომატება და მრავალი სამოქალაქო საზოგადოებისა და მოძრაობის ჩამოყალიბება რეგიონში (რომელიც ფინანსდებოდა ქვეყნის გარეთა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან) ამ პერიოდში დნესტრის ორივე მხარეს ჩამოყალიბდა 1000-მდე სამოქალაქო ორგანიზაცია, მათ შორის რადიკალური ფრთა, მასიურმა საპროტესტო მსვლელობებმა კიდევ უფრო დაამძიმა რეგიონში მდგომარეობა; მოლდავეთის მოსახლეობა მოითხოვდა მოლდავური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას; დნესტრისპირეთის მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა ამ კანონპროექტს ენის შესახებ; რის შედეგადაც 1992 წლის 2 აგვისტოს დნესტრისპირეთის “ერთობის” და “მოლდოვის”ახალგაზრდა ფრონტის მიერ ორგანიზებულ მომიტინგეთა შორის ქ. ბენდერებში მოხდა პირველი შეტაკება და დაიღუპა 1000 მდე ადამიანი. მიუხედავად ამისა 2 სახელმწიფო ენის მოთხოვნა დნესტრისპირელების მიერ იგნორირებულ იქნა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მასშტაბურ განხეთქილებას ქ. ტირასპოლში, ქ.ბენდერებში, ქ. რიბნიცაში, დაიხურა საწარმოების უმრავლესობა აღსანიშნავია, რომ მოლდავეთის საწარმოების 40 % განლაგებულია დნესტრისპირეთში, მათ შორის მსხვილი ელექტროსადგურები. კონფლიქტის შედეგად დაიღუპნენ მშვიდობიანი ადამიანები და წესრიგის დამცველები; ამის შედეგად, დნესტრისპირეთში რუსეთმა შეიყვანა საჯარისო ფორმირებები და შეიქმნა ე.წ. არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა; აღნიშნულის საპირწონედ კიშინიოვში მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა და მოლდავურ ენას მიენიჭა ერთადერთი სახელმწიფო ენის სტატუსი. ცალკე საკითხია რუსეთისა და რუმინეთის დიდი ინტერესი მოლდავეთის და შესაბამისად დნესტრისპირეთის კონფლიქტის მიმართ, რაც შეიძლება მოვიაზროთ შექმნილი სიტუაციის ერთ-ერთ ძირითად კატალიზატორად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის გარდა მოლდავეთის საკითხებით აქტიურ დაინტერესებას გამოხატავს რუმინეთიც, რომელიც მოლდავეთს დღემდე თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობისთვის პასპორტების დარიგებით, სხვადასხვა სახის კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით მოახდინოს მისი მოქალაქეების მაქსიმალური ინტეგრაცია ერთიან რუმინულ სახელმწიფოში, ამ კუთხით კი განსაკუთრებით მიმზიდველს რუმინეთს ევროკავშირის წევრობა ხდის.

მოლდავეთ–დნესტრისპირეთის კონფლიქტის არსებითი მიზეზი: რუსეთის ინტერესი. 1992 წლამდე დნესტრისპირეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული შედიოდა მოლდავეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში. დნესტრისპირეთის კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლო) და ყველა დღემდე არსებული სხვა პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტები (მთიანი ყარაბახი და ა.შ.) რუსეთის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტების რიცხვში შედის. დნესტრისპირეთის კონფლიქტი, არის ტერიტორიულობის ნიშნების მატარებელი კონფლიქტი, მაგრამ არა ეთნოტერიტორიული სტატუსის მქონე კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში იყო; (მდ. დნესტრისპირეთის მარჯვენა მხარეს, მდებარეობს დღევანდელი მოლდავეთი, ასევე მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს არაღიარებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკა) მოსახლეობა 2-ვე ნაპირზე ეთნიკურად პროპორციული და ერთგვაროვანია. კონფლიქტს არც კონფესიური საფუძველი აქვს, რაც კონფლიქტის კიდევ ერთი თავისებურებაა, მთლიანობაში აღნიშნული კონფლიქტი შეფასდა, როგორც “სტატუსის კონფლიქტი” ტერიტორიული კონფლიქტის ნიშნებით. ასევე მოლდავეთის მთლიანი ეკონომიკური პოტენციალის 60 % , სწორედ დნესტრისპირეთშია განლაგებული, ამის გამო, მხარეებს შორის მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა გარდაუვალი იყო. აქ მდებარეობს ასევე ქვეყნის ყველაზე დიდი (ელექტროსადგური და კონიაკის ქარხანა). აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ, ქვეყნის ეკონომიკის მინიმუმ 60 % იმყოფება რუსეთის პროტექტორატის ქვეშ.

რა არის საერთო, მსგავსი და განსხვავებული აფხაზეთის კონფლიქტსა და მოლდავეთ - დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკასთან კონფლიქტებს შორის?

1. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოს ახალმა გეოპოლიტიკურმა გადანაწილებამ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოიწვია მსგავსი 1992-1993 წწ. კონფლიქტები, სადაც მთავარი ინტერესი რუსეთს აქვს.

2. დნესტრისპირეთის პოლიტიკური ვექტორი, ისევე როგორც აფხაზეთის რეჟიმის მიმართულია რუსეთისკენ. (იქ ევროპული არ ნიშნავს კარგს).

3. დნესტრისპირეთ-მოლდავეთის შემთხვევაში განსხვავებით აფხაზეთისაგან კონფლიქტის 2-ვე მხარის მოსახლეობა ერთგვაროვანია მრავალეროვნული სტრუქტურით. რის გამოც არც კონფლიქტის დროს, არც შემდგომ არ მომხდარა მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, ქვეყანაში არ არიან კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული

პირები - დევნილები, შესაბამისად არც რეპატრიაციის პრობლემა დგას. აფხაზეთის შემთხვევაში კი განიხილება დევნილთა 300 ათასი ადამიანის დაბრუნების საკითხი.

4. მოლდავეთის საწარმოების დიდი უმრავლესობა დნესტრისპირეთის ტერიტორიაზეა და მათი ეკონომიკური ინტერესები დარეგულირდა მხარეთა შეთანხმებით და სტრატეგიით - ტირასპოლსა და კიშინიოვს შორის ეკონომიკური ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ.

5. აფხაზეთიდან დიდია მიგრაცია რუსეთში, ისევე როგორც დნესტრისპირეთიდან რუსეთში, მაშინ როცა მოლდავეთიდან მიგრაციის ვექტორი ძირითადად რუმინეთისკენაა და სხვა ევროპის ქვეყნებში (ანალოგია აფხაზეთის გარდა, საქართველოდან მიგრაციული ნაკადები უპირატესად მიმართულია ევროპისკენ და აშშ-სკენ.).

6. დნესტრისპირეთ - მოლდავეთის კონფლიქტში მონაწილე აქტიორები: ერთის მხრივ ეს არის რუმინეთის ინტერესი შეიერთოს მოლდავეთი, ასევე თავის მხრივ მოლდავეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მიისწრაფვის რუმინეთისკენ, რასაც ცხადყოფს ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, თუმცა მოლდავეთში მცხოვრები არა მოლდავური მოსახლეობის თვალსაზრისი ამ საკითხზე ერთგვაროვანი არ არის.

7. კონფლიქტის შედეგად შემუშავებული იქნა განსხვავებული სამშვიდობო ფორმატები, თუმცა ამ მომენტისათვის არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ მათ რეალური შედეგი ვერ გამოიღეს. ისევე, როგორც ჩვენს შემთხვევაში, დღევანდელი ჟენევის მოლაპარაკებების და კარასინი-აბაშიძის ფორმატები, რომლებიც ნაკლებად ეფექტურია და საჭიროებს განახლებას, ოფიციალური მოლაპარაკებების ფორმატი ამჟამად დნესტრისპირეთში შეჩერებულია, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი იყო , 5+2 როცა რუსეთთან ერთად შუამავლის როლი ეუთომ იკისრა და ჩამოყალიბდა ე.წ. ჯგუფი „5+2“ საერთაშორისო მოლაპარაკებებს უწოდებენ. სადაც, როგორც კონფლიქტური მხარეები, გამოდიოდნენ: მოლდავეთი და დნესტრისპირეთი, როგორც გარანტი ქვეყნები - რუსეთი და უკრაინა, როგორც შუამავალი და დამკვირვებლები: ეუთო, ევროსაბჭო და აშშ. თუმცა აღნიშნული ფორმატი ნაკლებ ეფექტური გამოდგა. და მუდმივმოქმედ პოლიტიკურ თავყრილობად იქცა. შემდეგ შეიქმნა 3-მხრივი, გაერთიანებული საკონტროლო კომისია: რუსეთის, მოლდავეთის და დნესტრისპირეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების 4-მხრივი კომისიის ანალოგი) სადაც მხარეებმა აიღეს ვალდებულება პატივი სცენ ნეიტრალიტეტს და მოსკოვის 1994 წლის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე“). ასევე საკმაოდ კონსტრუქციული აღმოჩნდა 1994 წლის 14 მარტის ხელშეკრულება, რომელიც დნესტრისპირეთს ფართო ავტონომიის გარანტიას აძლევდა და განსაკუთრებულ სახელმწიფო და იურიდიულ სტატუსს ანიჭებდა, ასევე გულისხმობდა მხარეებს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების კონსტიტუციურად დარეგულირებას. აღნიშნული საერთაშორისო ძალისხმევა საფუძვლად დაედო კიშინოვსა და ტირასპოლს შორის ეკონომიკური კავშირების აღდგენას და ფინანსური დოკუმენტების ხელმოწერას და ასევე თანამშრომლობას სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში.

8. აფხაზეთის კონფლიქტისგან განსხვავებით, დნესტრისპირეთის კონფლიქტი ნაკლებად მწვავეა, მაგრამ მრავალწახნაგოვანი, არსებითად იგი არის „ელიტების ინტერესების“ კონფლიქტი.

9. დნესტრისპირეთის კონფლიქტისგან განსხვავებით საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ შეწყდა ყველანაირი ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობა აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონთან, მხოლოდ ეპიზოდურად ხორციელდება ჰუმანიტარული ღონისძიებები, მხოლოდ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით და მხარდაჭერით.

10. განსხვავებით აფხაზეთისგან, დნესტრისპირეთში მოსახლეობა თავისუფლად გადაადგილდება და უზრუნველყოფილია კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა უსაფრთხოება. აფხაზეთში, კი, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად, აფხაზეთში უზრუნველყოფილი არ არის სასაზღვრო ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების. ცხოვრების და თავისუფლად გადაადგილების უსაფრთხოება, ვერ შედიან ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლები.

11. მოლდოვა - დნესტრისპირეთი დღემდე არის ქვეყანა განუჭვრეტელი მომავლით. კონფლიქტის შედეგად შეიქმნა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის სახით, სახელწოდებაში „მოლდავურის“ ხაზგასმით, იგულისხმება სახელმწიფოებრივი ერთობის პერსპექტივა აფხაზეთისგან განსხვავებით. თუმცა შესაძლებელია, რომ ე.წ. არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის არსებობაში იყოს და არის შესაძლო პერსპექტივა, ახალი იდეები, გამოსავლის საპოვნელად ორმხრივი ძიების სურვილი, სადაც რეალურად მოლდავეთის და დნესტრისპირეთის მოსახლეობას არა აქვს ერთმანეთის მიმართ დაპირისპირება. რეგიონში, მხარეებს შორის მჭიდროდ ვითარდება ეკონომიკური და ბიზნეს კავშირები, სოციალური, სამედიცინო და სხვა სახის ჰუმანიტარული კავშირები. არის ურთიერთობებისათვის მზაობა, გახსნილი საზოგადოებები. დნესტრისპირეთ-მოლდავეთის კონფლიქტის მოწესრიგება მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრშია, მუშავდება მოწესრიგების ახალი მოდელები. თუმცა მიუხედავად ამისა, დიდია ქვეყნიდან გარე მიგრაციული ნაკადები. მოსახლეობა ტოვებს ქვეყანას, არის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. რეგიონში სუსტად ვითარდება დემოკრატიული პროცესები, კვლევის შედეგებმა გვანახა, რომ ფაქტიურად არ არსებობს თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოება. მაგალითისთვის, ქვეყანაში არის მხოლოდ 5 ძირითადი ყოველდღიური გაზეთი, და მედია ბაზარზე ძირითადი და მთავარი მოთამაშეა „კომსომოლსკაია პრავდა“.

დასკვნა: მოლდოვას შიდა კონფლიქტი არ არის ეთნო პოლიტიკური კონფლიქტი, მხარეები ერთმანეთს არ აღიქვამენ, როგორც მტრის ხატს, უფრო მეტიც საზოგადოებები ღიაა ერთმანეთთან თანამშრომლობისათვის, ქვეყანაში არ ყავთ და არა აქვთ დევნილთა პრობლემა;

აფხაზეთი აღიარა რუსეთის ფედერაციამ, რითაც შეჩერდა ქართულ-აფხაზური დიალოგი, ჩაიკეტა საზღვრები, შეწყდა ადამიანებისა და საქონლის მიმოქცევა კონფლიქტის გამყოფ ზოლზე; აფხაზეთის კონ-ფლიქტის შედეგად სახეზეა 300 ათსი ი.გ.პ. ,დევნილები. აფხაზეთში განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბა-ზები და შეიარაღებული ძალები, რუსეთის ფედერაცია აფხაზეთის რეჟიმს უწევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას.

გამომდინარე აქედან შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველო რეალურად დგას აფხაზეთის ოკუპაციის საფრთხის წინაშე და აუცილებელია გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება, მეცნიერული თვალსაზრისით არსებული რეალობის გაცნობიერება და შესწავლა, ეროვნული და საერთაშორისო გამოც-დილების და საქართველოს სინამდვილისადმი მისადაგება, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში ჩართული ყველა სუბიექტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები/ გამომცემლები მეუფე ანანია ჯაფარიძე, კატია კრისტინა პლატე, ბიძინა ლებანიძე, ნატო ასათიანი, გამომცემლობა "კალმუსი", Iშ 2345632456 ,306 გვ.
2. ქართულ-აფხაზური დიალოგი, ახალი რეალობა, ახალი პერსპექტივები, გამომცემლობა თბილისი,2005 წ. 40გვ.
3. „აფხაზეთის ლაბირინთი"/ ვ.ყოლბაია, რ.გელანტია, თ.ჭახრაკია/ 1999წ. 150გვ.
4. სოციოლოგია (ენტონი გიდენსის მიხედვით): სახელმძღვანელო , გამომცემლობა მოსკოვი, 2011წ. 316გვ.
5. კონფლიქტოლოგია, სახელმძღვანელო — ანცუპოვი.ა., გამომცემლობა მოსკოვი ,. 2000. - 551. Iშ 5-238-00062-6.
6. მოლდავეთის ისტორია/ რუსულ.ენაზე.გამომცემლობა მოსკოვი, 1984წ. 300გვ.

დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიის გაერთიანების პირველ წლებში

ვაჟა ჩოჩია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ამ ქვეყნის დიპლომატიამ კანცლერ ბისმარკის მეთაურობით განსაზღვრა თავისი საქმიანობის მთავარი მიმართულება, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი შეეწყო დამარცხებული საფრანგეთის შემდგომი დასუსტებისა და იზოლაციისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში (7: 19). გერმანიის გაერთიანების შემდეგ, რუსეთმა მიიღო დროებითი უპირატესობები საგარეო პოლიტიკის დარგში. ყირიმის ომის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, საფრანგეთის დამარცხება პრუსიასთან 1870 წელს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რათა გადაესიჯვათ 1856 წლის პარიზის ზავის შემზღუდავი მუხლები, რომლის მიხედვითაც რუსეთს ერთმეოდა უფლება ჰქონოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სიმაგრეები შავ ზღვაზე.

საფრანგეთ-პრუსიის ომის წინ რუსეთმა განაცხადა, რომ ნეიტრალური რჩებოდა, რაც ძალიან ხელსაყრელი იყო პრუსიისთვის. ბერლინიდან პასუხმა არ დააყოვნა და 1870 წლის ივლისში რუსეთის კანცლერმა და იმავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა მიიღო პრუსიის კანცლერის ბისმარკის თანხმობა, რომ მზად იყო მხარი დაეჭირა რუსეთის ბრძოლისათვის პარიზის ზავის შემზღუდავი მუხლების გაუქმებისათვის (2: 99).

1871 წლის 31 ოქტომბერს რუსეთმა ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს პარიზის ზავს და აცნობა მათ, რომ ცალმხრივად აუქმებდა შავ ზღვაზე რუსეთისთვის შემზღუდავ მუხლებს. რუსეთის მთავრობის ამ ნაბიჯმა ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ მას. დაინტერესებულ სახელმწიფოთა ლონდონის კონფერენციამ, რომელიც 1872 წლის იანვარში გაიმართა, გააუქმა 1856 წლის პარიზის ზავის მოძველებული მუხლები და დაამტკიცა შავი ზღვის ახალი სტატუსი, რომლის თანახმად სანაპირო სახელმწიფოები-თურქეთი და რუსეთი შესაძლებლობას იღებდნენ, რომ წინააღმდეგობის გარეშე განევითარებინათ საკუთარი სამხედრო-საზღვაო ფლოტი და აეგოთ სიმაგრეები სანაპიროზე (6: 748-749).

საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირება, რომელიც 1871 წლის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი ფაქტორი გახდა, არსებითად ცვლიდა რუსეთის პოზიციებს ევროპაში და მის როლს ევროპულ პოლიტიკაში. რუსეთის მმართველ წრეებში დაიწყეს საუბარი ახალი საღვთო კავშირის შექმნის შესახებ, რადგან პარიზის კომუნამ მთელი ევროპული რეაქცია შეაშინა. ამას ადასტურებდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს პოზიცია, რომ "ევროპული მთავრობები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები უნდა იყვნენ ამ საქმეში და თანაზიარად მხარი დაუჭირონ ერთმანეთს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში" (2: 209).

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები დასაწყისში საკმაოდ წარმატებით ვითარდებოდა. ორი იმპერიის კლასობრივი ბუნება, ტრადიციული დინასტიური კავშირები და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დიდი ხნის მანძილზე ხელს უწყობდა მათ დაახლოებას. აქედან გამომდინარეობდა მათი დაინტერესება მხარი დაეჭირათ ერთმანეთისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში. ხელმძღვანელობდა რა ამით, 1871 წლის ივნისში ბისმარკმა მიმართ ევროპის სხელმწიფოებს მოწოდებით - შეექმნათ თავისებური საღვთო კავშირი, რომელიც იბრძოლებდა რევოლუციებისა და სოციალიზმის წინააღმდეგ და ხელს შეუწყობდა შეენარჩუნებინათ ევროპაში "წესრიგი მონარქიულ საფუძველზე" (2: 209). ამ მოწოდებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მხურვალედ გამოეხმაურნენ ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მონარქიული წრეები. ასე მზადდებოდა ნიადაგი სამი მონარქის კავშირისათვის, რომელიც მოგვიანებით, 1873 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა სამი იმპერატორის კავშირის სახელწოდებით და მომდევნო წლების მანძილზე საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საფუძვლად იქცა გერმანიისათვის (1: 173).

უნდა აღინიშნოს, რომ ბისმარკის განზრახვას - გამოეყენებინა სამი იმპერატორის კავშირი გერმანიის ჰეგემონიის დასამყარებლად ევროპაში საფრანგეთის იზოლაციისა და შემდგომი დასუსტების გზით, რუსეთში გაგებით არ ეკიდებოდენ, რადგან გერმანიის კიდევ უფრო გაძლიერება და მისი პოზიების განმტკიცება ევროპაში, რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთს. აქედან გამომდინარე, 1871 წლის ფრანკ-ფურტის ზავის შემდეგ (გერმანიასა და საფრანგეთს შორის), რუსეთის დიპლომატია ორ ფრონტზე მოქმედებდა. ერთ მხრივ, ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეფართოებინა კონტაქტები გერმანიასთან და მეორე მხრივ, მხარი დაეჭირა საფრანგეთისათვის, როგორც გამაწონასწორებელი ძალისათვის გერმანიის ჰეგემონისტური მისწრაფებების მიმართ (10: 80).

იმპერატორი ალექსანდრე II და მმართველი წრეები მიესალმებოდნენ გერმანიის გაერთიანებას, მაგრამ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ამას აღიქვამდა, როგორც საფრთხეს რუსეთის მომავლისათვის. ამის საფუძველს ისინი ხედავდნენ საფრანგეთის ხარჯზე გერმანიის გაძლიერებაში, რაც დაარღვევდა არსებულ ძალთა წონასწორობას ევროპაში და არ იყო გარანტია, რომ ყველაფერი ეს რუსეთის წინააღმდეგ არ შემობრუნდებოდა (9: 230). აქედან გამომდინარე, რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისეთი ზომების მიღებას, რომ უზრუნველეყო ქვეყნის უსაფრთხოება იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში რაიმე ახალი პოლიტიკური გართულება მოხდებოდა (3: 39).

ბისმარკი ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენებს, რომ ერთმანეთს არ დაახლოებოდნენ საფრ-

ანგეთი და ავსტრია-უნგრეთი რევანშისტულ საფუძველზე. იმისათვის, რომ საფრანგეთი იზოლირებულ მდგომარეობაში დარჩენილიყო ბისმარკმა საჭიროდ ჩათვალა თვითონ დაახლოებოდა როგორც რუსეთს, ისე ავსტრია-უნგრეთს. სწორედ ამ დროს გაუჩნდა ბისმარკს იდეა - შეექმნა კავშირი მონარქიულ საფუძველზე (2: 211-212). ალექსანდრე II მოწონებით შეხვდა ამ იდეას, მაგრამ გორჩაკოვი მერყეობდა (9: 42), რადგან კარგად ხვდებოდა, რომ ასეთი კავშირი მიმართული იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ინგლისი ნაკლებად იყო დაინტერესებული ევროპის საქმეებით და "ბრწყინვალე იზოლაციის" პოლიტიკას ატარებდა, იტალია კი თვითონ იყო სუსტი სახელმწიფო და სხვებს ვერ დაეხმარებოდა.

საინტერესოა, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ, რუსეთსა და გერმანიას საწინააღმდეგო პოზიციები გააჩნდათ საფრანგეთის მიმართ. თუ გერმანია, ბისმარკის ძალისხმევით, ცდილობდა ანტიფრანგული პოლიტიკის გატარებას, რუსეთი კანცლერ გორჩაკოვის მცდელობით, პირიქით, საფრანგეთის მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული (1: 154-155). 1872 წლის სექტემბერში, ბერლინში ყოფნისას, გორჩაკოვი შეხვდა საფრანგეთის ელჩს ბერლინში გონტო-ბირონს და საუბრისას უთხრა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის შემდგომ დასუსტებას: " მე უკვე ვამბობდი და მოხარული ვარ ეს გავიმეორო, რომ გვჭირდება ძლიერი საფრანგეთი" (7: 40).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში რუსეთის ასეთი პოზიცია არ ნიშნავდა, თითქოს ის მზად იყო კავშირი დაედო ან მჭიდროდ ეთანამშრომლა საფრანგეთთან. ასეთი პოზიცია რუსეთს ესაჭიროებოდა სიტუაციის დასაბალანსებლად საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში რუსეთის დიპლომატია თავის ძირითად მეტოქედ საერთაშორისო ურთიერთობებში ინგლისს მიიჩნევდა, რადგანაც დაპირისპირებული იყო მასთან ბალკანეთის, შუა აზიის და შორეული აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი დაპირისპირების პირობებში, რუსეთს ესაჭიროებოდა ზურგის გამაგრება ევროპაში, ამას კი მიაღწევდა მხოლოდ გერმანიასთან კავშირით და არა დასუსტებულ საფრანგეთთან დაახლოებით. მოწინააღმდეგეთა რიგებში უთანხმოების შეტანა ბისმარკის მოქნილი დიპლომატიის აპრობირებული მეთოდი იყო (8: 127). მან კარგად იცოდა, რომ ახლო აღმოსავლეთში წინააღმდეგობათა ახალი კვანძი შეიძლებოდა შეკრულიყო რუსეთს, ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთს შორის და მისი გამოყენებით შესაძლებელი გახდებოდა დიდი სახელმწიფოების ჩათრევა აღმოსავლეთის კონფლიქტში.

ბისმარკი მიიჩნევდა, რომ ინგლისი ახლო აღმოსავლეთში აქტიურ პოლიტიკას გაატარებდა, ამიტომ მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიას ბალკანეთზე, მოქმედებისკენ უბიძგებდა რუსეთს ამ რეგიონში და იმედი ჰქონდა, რომ შებოჭავდა მას ახალი გართულებებით საერთაშორისო ურთიერთობებში. იმისათვის, რომ დაემშვიდებინა რუსეთი, ბისმარკი არწმუნებდა გორჩაკოვს, რომ გერმანიას არ გააჩნდა პოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთში (11: 17). "ავადმყოფი ადამიანი ბოსფორზე", ასე უწოდებდა ბისმარკი თურქეთს (5: 62) და ცდილობდა რუსეთის ჩათრევას ბალკანეთის საქმეებში, რომ ამით გამოეწვია მისი ომი თურქეთთან და იმავე დროს, გაემწვავებინა რუსეთის ურთიერთობები ვენასა და ლონდონთან (13: 209).

1873 წლის აპრილში ბერლინში მოლაპარაკების დროს, ბისმარკი პირდებოდა გორჩაკოვს, რომ რუსეთის მთავრობას გადასცემდა მთელ გავლენას, რომელიც გააჩნდა გერმანიას აღმოსავლეთში (11: 21), იქ კი გერმანიას არაფერი არ გააჩნდა. ეს იყო დიპლომატიური ეკვილიბრისტიკის იშვიათი ნიმუში. ამის მიუხედავად, ბისმარკის მცდელობა, დაეყოლიებინა რუსეთი უარი ეთქვა საფრანგეთის მხარდაჭრაზე იმის სანაცვლოდ, რომ ბერლინი ვალდებულებას აიღებდა მხარი დაეჭირა რუსეთის ინტერესებისათვის, წარუმატებლად დასრულდა.

რაც შეეხებოდა ავსტრია-უნგრეთს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, მას არ გააჩნდა მკვეთრად ჩამოყალიბებული საგარეო-პოლიტიკური კურსი. ვენის მმართველ წრეებში, დიდი ნაწილი ესწრაფვოდა გერმანიასთან კავშირს, თუმცა სამხედროები და ელიტის გარკვეული ნაწილი 1866 წელს პრუსიასთან წაგებული ომის გამო, რევანშისტულ პოზიციებზე იდგნენ. აქედან გამომდინარე, მათ ესაჭიროებოდათ მოკავშირეების მონახვა საფრანგეთისა და რუსეთის სახით. ბისმარკი კარგად ხედავდა ვენის განწყობას და ყოველმხრივ ცდილობდა მხარდაჭერა აღმოეჩინა მათთვის, რომლებიც გერმანიასთან თანამშრომლობას ესწრაფვოდნენ. ასეთი მიდგომა გულისხმობდა, რომ ბისმარკს უნდა გამოერიცხა ავსტრია-უნგრეთის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, კავშირი ავსტრია-უნგრეთთან ბისმარკის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი გახდა. ის კარგად ხედავდა, რომ ვენის მეშვეობით მას შეეძლო უზრუნველეყო გერმანიის გაბატონებული მდგომარეობა ცენტრალურ ევროპაში. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ავსტრია-უნგრეთი გერმანიაზე სუსტი იყო და მისი გავლენა გერმანულ სახელმწიფოებზე საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს, რამაც უბიძგა ვენას მიზნად დაესახა ენერგიული ექსპანსიის გეგმები ბალკანეთზე. სწორედ ამან წარმოშვა დიდი დაპირისპირება ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის (12: 359-360). ამ დაპირისპირების გამოყენება სურდა ბისმარკს თავისი პოლიტიკის გატარებისას არა მარტო საფრანგეთის წინააღმდეგ, არამედ ევროპის მასშტაბითაც.

1872 წლის დეკემბერში, ბერლინში შეხვედრისას, გორჩაკოვმა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ ზეპირ შეთანხმებას მიაღწიეს, რომ მათი ქვეყნები დაიცავდნენ სტატუს კვოს ბალკანეთზე. ეს აუცილებელი იყო ორი ქვეყნის ინტერესთა დაპირისპირების პირობებში. ამასთანავე, ისინი შეთანხმდნენ, რომ გაატარებდნენ "ჩაურევლობის" პრინციპს ბალკანეთის საქმეებში იმ შემთხვევაში, თუ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ დაირღვეოდა სტატუს კვო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (7: 39).

ბერლინის მხარდაჭერის იმედით, ვენა ცდილიბდა მყარად მოეკიდებინა ფეხი ბალკანეთზე და შეესუსტებინა იქ რუსეთის გავლენა. პეტერბურგი, თავის მხრივ,

ვენასთან სიტყვიერი დათმობების ფასად, ფიქრობდა თავისი ავტორიტეტის აღდგენას. გორჩაკოვი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ რუსეთს დამოუკიდებელი პოზიცია გააჩნდა და აქედან გამომდინარე, ის კარგ ურთიერთობებში იმყოფებოდა როგორც გერმანიასთან, ისე საფრანგეთთან. ასეთი მიდგომა ნიშნავდა, რომ ევროპული პოლიტიკის საფუძველი 1870 წლიდან მოყოლებული განისაზღვრებოდა, ერთი მხრივ, გერმანიის დამოკიდებულებით ავსტრია-უნგრეთისადმი და მეორე მხრივ, რუსეთის დამოკიდებულებით საფრანგეთისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩოჩია ვ. ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882. თბ., 2011.
2. Бисмарк О. Мысли и воспоминания, т. II. М., 1940.
3. Дневник Д. А. Милютина. 1873-1875, т. I. М., 1947.
4. Ерусалимский А. С. Бисмарк. Дипломатия и милитаризм. М., 1968.
5. Задохин А. Г., Низовский А. Ю . Пороховой погреб Европы. М., 2000.
6. История дипломатии, т. I. М., 1959.
7. История дипломатии, т. II. М., 1963.
8. Киссинджер Г. Дипломатия. М., 1997.
9. Косев К. Източният въпрос и българското освобождение. 1856-1878. София. 1978.
10. Манфред А. З. Традиции дружбы и сотрудничества. М. 1967.
11. Русско- германские отношения 1873-1914 гг . (Документы из секретного архива бывшего министерства иносранных дел). М. 1922.
12. Чубинский В. В. Бисмарк. Биография. М., 1997.
13. Wolter H. Bismarcks Aussenpolitik. 1871-1881. Berlin, 1983.

ვაჟა ჩოჩია

დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიის გაერთიანების პირველ წლებში

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია გერმანიის გაერთიანების შემდეგ ევროპულ დიპლომატიაში მომხდარი ცვლილებების არსი და მნიშვნელობა. კანცლერი ბისმარკი და გერმანიის დიპლომატია თავის მთავარ მიზანს იმაში ხედავდნენ, რომ ხელი შეეწყოთ საფრანგეთის შემდგომი დასუსტებისა და იზოლაციისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში. თავისი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, ბისმარკი დიდ ყურადღებას აქცევდა ურთიერთობებს რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთთან, რადგან ამ დროისათვის ინგლისი, ევროპის კონტინენტზე, თავს იკავებდა აქტიური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობებისგან.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები წარმატებით ვითარდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ორი მონარქიის მსგავსი კლასობრივი ბუნება, ტრადიციული დინასტიური კავშირები და ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დიდი ხნის მანძილზე. ამის მიუხედავად, რუსეთის მმართველი წრეები კარგად ხედავდნენ, რომ გაერთიანების შემდეგ გერმანია იმდენად გაძლიერდა, რომ ევროპაში ბატონობაზე პრეტენზია გაუჩნდა. ამიტომ, რუსეთი ცდილობდა კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას გერმანიასთან, მაგრამ არც საფრანგეთის მხარდაჭერაზე ამბობდა უარს, რადგან აღორძინებული საფრანგეთი იქნებოდა გამაწონასწორებელი ძალა გერმანიის ჰეგემონისტური მიწრაფებების მიმართ.

აღნიშნულ წლებში, საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენდა, აგრეთვე, ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთთან. გერმანიასთან მეტოქეობა არაფერს მისცემდა ვენას, ამიტომ იქ ჩაიფიქრეს ენერგიული ექსპანსიის გეგმები ბალკანეთზე, რაც უკიდურესად ამწვავებდა ურთიერთობებს რუსეთთან. ვენა ბერლინის მხარდაჭერის იმედით, ცდილობდა თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ეროვნული ინტერესები ბალკანეთზე და შეესუსტებინა იქ რუსეთის გავლენა. საერთაშორისო ურთიერთობები იმ პერიოდში განისაზღვრებოდა, ერთი მხრივ, გერმანიის დამოკიდებულებით ავსტრია-უნგრეთისადმი და მეორე მხრივ, რუსეთის

Vazha Chochia
Diplomatic relations in the first years
of the unification of Germany

Summary

The article shows the changes in European diplomacy after the unification of Germany. Chancellor Bismarck and the German diplomacy its main purpose was to see that to supported the further weaken and isolation of France. The struggle for the implementation of its plans, Bismarck has paid attension to the relations between Russia and Austria-Hungary, since that time England refrained from active foreighn police in Europe.

Russian-German relations have been successfully developed, which helped the class nature of the two Monarchy, the traditional dynastic ties and extensive trade-economic relations for a long time. Despite this, the Russian ruling circles see good that after the reunification, Germany was so strong, that had ambition to have domination over Europe. The Russia was trying to maintain good relations with Germany, but at the time, supported the revival of the French, wich would be great equalizer in German's hegemonic aspirations.

The international relations at that time, are also influenced by Austria-Hungarian relations with Germany and Russia. In Vienna thought vigorous plans in the Balkans, which is intensified relations with Russia. Austria-Hungary was trying to have the situation under monitoring in the Balkans and weaken Russians influence there. The international relations at that time, was depending by the attitude of Germany to Austria-Hungary on the one hand and the other hand Russia's attitude toward the French, which later events have been clearly demonstrated.

ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲐᲓ

გურამ მარხულია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

დადგენილია, რომ ადამიანის ადრეული განვითარება მოგვიანებით მაშინ დაჩქარდა, როდესაც იარაღების გამოყენებამ რეგულარული შრომა და მოსახლეობის ზრდა შესაძლებელი გახადა. ამ და სხვა ფაქტორებმა საზოგადოება მკვიდრ ცხოვრებამდე და საკუთრებამდე მიიყვანა და ფიზიკურად და გონებრივად გამორჩეულ და საკუთრების მიტაცების მცოდნე ადამიანებს მიანიჭა უპირატესობა. ამით დაიწყო ძალაუფლებისა და კერძო საკუთრების ხანგრძლივი ეპოქა, რომელიც დღემდე გრძელდება. მაგრამ როგორც ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები აჩვენებენ ეს ეპოქა ახალ - თავისუფლებისა და სოლიდარობის ტენდენციებს შეიცავს, რომლებიც გადალახავენ პრივილეგიებს და მონოპოლიას. ეს ტენდენციები უფრო სრულყოფლი მიღწევებისაკენ მიემართებიან და ანარქისტების იდეალები ამ განვითარების ხაზზე დგანან, ხოლო მისი უფრო მაღალი ფორმები კიდევ უფრო წინაა.

უეჭველია, რომ პირველყოფილ ადამიანებს არ შეიძლება ჰქონოდათ ასეთ სისტემურ განვითარებაზე წარმოდგენა. მათ ცხოვრებას სოციალური განვითარების ადრეულ საფეხურზე შექმნილი ადათები მართავდა, რომლებიც მესაკუთრეთა და მეთაურთა უპირატესობაზე დამყარებეულ წესებთან იყო შერეული. მსგავს ვითარებაში არსად არ იყო თავისუფლება. იგი ადათ-წესებით ჩაწიხლული და პრივილეგიებით იყო გარშემორტყმული. დესპოტიზმი და ტირანია დიდი ხნის მანძილზე ყოვლიშემძლენი იყვნენ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, შედარებით განვითარებულ ქვეყანებში, მაგალითად საბერძნეთში, უარი ითქვა ტირანიაზე და დამყარადა დემოკრატია. მაგრამ დემოკრატიას დიდხანას არ უარსებია, რამეთუ საბერძნეთი მაკედონიამ, შემდეგ კი რომმა დაიპყრო. ხშირად იფეთქებდა აჯანყებები და თავისუფლება თეორიულ პლანში იდეალად რჩებოდა.

სოციალისტური მისწრაფებებისა და მათი შესაბამისი სირღმისეული ეკონომიკური მიზეზების მიუხედავად იშვიათობას წარმოადგენდა იდეები, რომლებიც ავტორიტარული სულისკვეთების მატარებელი არ იყო. უეჭველია, რომ ყველა ამ ხალხს რელიგიური წარმოდგენები ჰქონდა და მრავალი ღმერთი ყავდა, რომელთაგანაც განთავისუფლება მოუწევდა სამომავლოდ.

თუმცა, ყველა ამ ფიზიკური და გონებრივი წინააღმდეგობების მიუხედავად, ოქროს ხანა, გარდასულ დღეთა პატრიარქალური ცხოვრება, ლეგენდები ღმერთების წინააღმდეგ აჯანყებაზე, სატანიდან პრომეთემდე, ნათლად მეტყველებენ ანარქსიტულ მისწრაფებებზე, სრული თავისუფლებისაკენ სწარფვასა და სოციალური უთანასწორობის მიზეზების აღმოფხვრაზე.

მსგავსი მისწრაფებები მოცემულია ხალხურ სიმღერებში, რომლებიც ხელისუფლებისა მეამბოხეებით დაწყებული ქურდებით დამთავრებული მთავრობის წინააღმდეგ ბერძოლებს ადიდებენ. მათ წამებულებად გამოსახავდნენ და მათ შესახებ თანაგრძნობით ლაპარკობდნენ სუსტნი. ამ ტრადიციიდან ბევრი რამ დაიკარგა, რადგანაც ხელისუფლების მხარეს მდგომ ოფიციალურ ქრონოგრაფებს არ აღუწერიათ ანდა მოგვიანებით ქურუმების მიერ იქნა გაუკუღმართებული. თვით მოგზაურები და ეთნოგრაფებიც კი იშვიათად იყვენ მზად მსგავსი ტრადიციული იდეებისადმი ყურადღების გამახვილებაზე. ისინი ნახევრად პოლიტიკურ დაწესებულებებსა და ხელისუფლებას განიხილავდნენ როგორც ცივილიზაციას, ხოლო თავისუფლების ჩვევას, როგორც ველურობის გადმონაშთს. მხოლოდ იშვიათად თუ გამოსახავდნენ ზოგიერთ ველურს, როგორც პატიოსნების სიმბოლოს, რომელსაც კანონი არ ეხება. ასე იყო მაშინ როდესაც წითელკანიანი ინდიელები და ტაიტელები მოვიდნენ საფრანგეთში მე-18-ე საუკუნეში. თანამედროვე გაუკუღმართებულ საზოგადოებამდე დიდი ხნით ადრე, ძველ საბერძნეთში და თვით ამაყ რომში, ზოგიერთი „ბარბაროსი“ ხალხი მოქალაქეთათვის მაგალითად მოყავდათ იმ მწერლებს რომლებიც ადათ-წესებს აკრიტიკებდნენ.

ჩაგვრის ეპოქაში აუცილებელი იყო, რომ თავისუფლება მარტივად ყოფილიყო გაგებული, როგორც დამოუკიდებლობა, რომელსაც მუდმივი დაცვა სჭირდება. ამიტომ თვითდაცვის მიზნით ბევრი უნებურად ხდებოდა ხელისუფლების, ტირანებისა და დიქტატორების მომხრე. ამას ძველი ტირანიის ნაცვლად ახლის გაჩენამდე მივყავართ. ნაკლებად ძილერ სახელმწიფოს უფრო ძლიერი იპყრობდა და დაპყრობათა ეს ჯაჭვი ასე გრძელედება დღემდე.

მაგრამ ყოველთვის იყვნენ ადამიანები რომლებიც ამ მანკიერი წრიდან გამოსვალზე და ყველსათვის თავისუფლების მოტანაზე ოცნებობდნენ. სხვები ადათ-წესებისა და კანონების მიერ შევიწრობეული პიროვნების უფლებათა დასაცავად იდგნენ. სწორედ ამ ადამიანებს შორის უნდა ვეზებოთ ადრეული ანარქისტები.

მგვარად, ეთნოგრაფიის, ისტორიის, მითოლოგიის, ფოლკლორის, ადგილობრივი ქრონიკების, თავისუფლების მოყვარულთა ადრეული აჯანყებების, უძველესი ადათ-წესების, ადრეული პოეზიისა და ფილოსოფიის განხილვამ შესაძლებელია ანარქიზმის დაკარგული კვალი გვაპოვნინოს. ოღონდ ამ შემთხვევაში უარი უნდა ითქვას ავტორიტარული მკვლევერების გაუკუღმართებულ გაუგებრობებზე. ასეთი ნაშრომი დაწვრილებითი ხასათის მქონე უნდა იყოს და იგი წარსულის შესახებ ჩვენს ცოდნის სრულყოფას არ დააყოვნებს.

ბერძნული ფილოსოფია ისე დაწვრილებით იქნა გამოკვლეული, რომ სახელმწიფო ულტრა-პატრიოტული მიმდინარეობების გარეთ წარმოქმნილი ქვე მიმდინარეობები არ დარჩენილან

ყურადღების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად აცხადებდენ, ასწავლიდნენ და ფილოსოფიურად ასაბუთებდნენ სახელმწიფოსაგან პიროვნების დამოუკიდებლობის თეზისს და არწმუნებდნენ ადამიანებს, რომ მშობლიური ქალაქი ან სახელმწიფო ყველა დანარჩენზე უმჯობესია, რომ ბრძენი უნდა მბრძანებლობდეს, ხოლო დაბალი ფენის წარმომადგენლები მორჩილებაში იყვნენ, წარმოიქმნებოდა უკუდინებები და პიროვნების თავისუფლება, ადამიანობა და საკუთარი ნების თანახმად ცხოვრება ბევრის მიერ უფრო მაღალ იდეალად იყო მიჩნეული. ცალკეული ფილოსოფოსები, რომლებიც დამოუკიდებლად აზროვნებდნენ ოფიციალურად აღიარებულ ფილოსოფოსთა მხრიდან უდიერ მოპყრობას იმასხურებდნენ და მათი ნაშრომები ან იღუპებოდა ან კიდევ ნაწყვეტების სახის ნარჩუნდებოდა.

ანარქიზმი, როგორც სახელმწიფოსა და ხელისუფლების უარყოფისა და პიროვნების თავისუფლების იდეა საზოგადოების კერძო სახელმწიფოებრივ მოწყობასთან ერთად გაჩნდა. ჩვენამდე მოაღწიეს ძველი სამყაროს მოაზროვნეთა ნაშრომებმა, რომლებიც საუკუნეების შემდეგაც სიახლედ მიიჩნევა. ანარქიზმის იდეა შედარებით მკვეთრად გამოხატულია ძველ ბერძენ სოფისტ ფილოსოფოს ანტიფონტთან . ანტიფონის მიხედვით ყველაფერი რაც ადამიანის ხელიდან გამოდის ხელოვნური, არამყარია. ის სახელმწიფოს მიერ პიროვნების შეზღუდვის წინააღმდეგ გამოდიოდა. კანონთა დაცვა, მისი აზრით, იმ ზომითაა დასაშვები, რა ზომითაც ეს დასჯის თავიდან ასაცილებლადაა აუცილებელი. ანტოფონი ელინებსა და ბარბაროსებს შორის განსხვავებას უარყოფდა და წარჩინებულთა უპირატესობას არ ცნობდა. ცნობილი ისტორიკოსი ს. ლურე წერდა: „ამ მოძღვრებაში ბევრი რამ გულუბრყვილობაა, მაგრამ თუკი შევინარჩუნებთ ანტიფონის მოსაზრებას ისმის შესახებ, რომ სასამართლო სუსტთა ჩაგვრის იარაღია და რომ სოციალური და ნაციონალური ზღუდეები უვიცობაა, რომ საზოგადოების საუკეთესო მოწყობა მისი მეგობართა წრედ გადაქცევაა, მაშინ მკითხველი ანტიფონში ანტიკურ ძირზე გადანერგილ რომელიმე თანამედროვე მოაზროვნეს დაინახავს“ .

მსგავსი სისტემა ჰქონდა ჰედონისტური სკოლის ფუძემდებელ არისტოპოსს და თვით ცნობილ ისტორიკოს ზენონს (342-270 წ. წ. ჩვ. წ. აღ. მდე), რომელიც პლატონის ავტორიტარულ სისტემას კარგად მოფიქრებულ და არგუმენტირებულ ანარქიზმს უპირისპირებდა.

კინიკოსი ფილოსოფოსების მიერ წამოყენებულ საზოგა-დოებრივ იდეალში ძნელი არ არ არის ანარქიზმის პოვნა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ როგორც ერთი დიდი საზოგადოება და რომ აუცილებელია სახელმწიფო შეზღუდვებისა და კანონების მოშლა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონიკოსების სოციალური იდეალი საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა მინიმიზებას და ყოველი ცალკეული წევრის თვითშემეცნებას ითვალისწინებდა („მე“ საზოგადოებისათვის და საზოგადოება ჩემთვის). ასევე ისინი ოქროსა და ფულის ამოღებას მოითხოვდნენ, რადგანაც მათ ყოველგვარი უბედურების წყაროდ მიიჩნევდნენ.

თავიანთი მოძღვრებით სტოიკოსები ეთანხმებოდნენ სა-ხელმწიფო ინსტიტუტების, საერთო კანონების, ქორწინების და საკუთრების უარყოფას. წარსულის ზემოხსნებულ მოაზროვნეთა შეხედულებების გაცნობა მათში ორი ძირითადი პუნქტის გამოყოფის საშუალებას იძლევა - აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა და სახელმწიფოს უარყოფა. სწორედ ეს ნიშნები შემდგომში ანარქიზმის ძირითადი პრინციპები გახდნენ.

ცნობილია აგრეთვე რომ ჩვ. წ. აღ. მდე. მე-5-ე საუკუნეში ადგილობრივი საკანონმდებლო ღონისძიებების პარალელურად ე. წ. ბუნებრივი სამართლის პრინციპების - ადამიანის უფლებათა პირველი დეკლარირება, - შემუშავება ხდებოდა, რომელიც ლიბერტანიალური და ეგალიტარული პრინციპებით იყო გაჟღენთილი და რომელსაც სტოიკური სკოლები აღიარებდნენ. მოვიანებით ეს პრინციპები თვით რომის სამართლის შემუშავებაში გზამკვლევის როლს ასრულებდნენ. ეს პრინციპები „ბუნებრივი სამართლის“ სახელწოდებით შუა საუკუნეებში ერთი იურიდიული სკოლიდან მეორეში გადადიდა. მოგვიანებით, მე-17-ე საუკუნეში ისინი საერთაშორისო სამართლის საფუძვლები გახდნენ (ჰუგო გროციუსი) . არსებული კანონების ფონზე ბუნებრივი სამართალი ერთგვარი დამცავი საშუალების როლს ასრულებდა, რომლის გარეშე საქმის ვითარება ბევრად უფრო უარესი შეიძლება ყოფილიყო. მრავალთათვის დაუწერელი ბუნებრივი სამართალი ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა რევოლუციური ბძოლისა და აზროვნებისათვის.

კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს 2500 წლის მანძილზე ყოველთვის ჰქონდა იმის შეგნება, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობა ხელოვნურია და რომ მასთან შედარებით ბუნებრივ მდგომარეობას ლიბერტარიანული სოციუმი შეესაბამება. ანარქიზმის ყოველი განსაზღვრული გამოხატულება ამ საფუძველს, კერძოდ იმის შეგრძნებას ემყარება, რომ არსებობს უზენაესი სამართალი ვიდრე ადამიანთა ურთიერთობების მარეგულიერებელი მიწერილი დღევანდელი კანონები.

ბერძნების და რომაელების მიერ ტრადიციული მითოლოგიის დაძლევა და აღმოსავლეთის ხალხებთან მათი დაახლოება ახალი ძლიერი რელიგიური გრძნობების წყარო გახდა. მითრადან მოყოლებული იესო ქრისტემდე საუკუნეების მანძილზე საკაცობრიო აზროვნება რელიგიური საფარველით იყო მოცული. ასეთ ვითრებაში თავისუფალი აზრი „ერეტიკოსებში“ და მეცნიერთა მცირე ჯგუფში ვითარდებოდა, რომლებიც კონტრაბანდულად შოულობდნენ წიგნებსა და ხელსაწყოებს ცდებისა და გამოკვლევების ჩასატარებლად. მათ შორის საიდუმლო კავშირი მანადე არსებობდა სანამ ამას არ გაიგებდნენ და მათ არ განდევნიდნენ.

ზოგიერთი მათგანი, გნოსტიკოსი კარპოკრატის მსგავ-სად მეორე საუკუნეში კომუნიზმის თავისუფალ ფორმას ქადაგებდა და ყოველგვარ დაწერილ კანონს უარყოფდა. სხვა მსგავსი მიმდინარეობები თითქმის ათასი წლის განმავლობაში ჩვენთვის უცნობია. ეს

ის პერიოდია როდესაც კალამი ხელთ რელიგიურ ორთოდოქსებს ეკავათ და საერო და სასულიერო დოკუმენტებსა და ქრონიკებს ქმნიდნენ. სამოქალაქო იდეალებს ხელისუფლების მომხრე კანონმდებლები განაგებდნენ. ამიტომ საქალაქო ცხოვრებაზე, სადაც ვითარდებოდა მეცნიერება და ხელოვნება, ვაჭრობა და ხელოსნობა და რომელზეც ყურადღება დაახლოებით მე-11-ე საუკუნიდან მახვილდება ცოტა რამაა ცნობილი. თავისუფალი აზრის გაუკუღმართებულად წარმოჩენის მიუხედავად კანონმდებლებმა და ქრონიკოსებმა ბოლომდე მაინც ვერ წაშალეს მისი კვალი. თუმცა საწინააღმდეგო აზრის წაშლას ისინი გეგმაზომიერად ახორციელებდნენ. ასე მაგალითად, მას შემდეგ რაც გამოკვლეულ იქნა ამორისა და ორთლიბის და სხვ. მოძღვრება, აუცილებელი გახდა მე-13-ე საუკუნის ერტიკოსთა - „თავისუფალი სულის და-ძმების“ შესწავლა, რომლებიც საზოგადოებასტან მიმართებაში ყოველგვარ ვალდებულებებს, კანონებს და თავისუფალი ცხოვრების შემზღუდველ ადათ-წესებს უარყოფდნენ.

ჰუსიტების აჯანყება , რომელიც საფუძველშივე ნაცი-ონალისტურ მოძრაობას წარმოადგენდა, ჰუსის კოცონზე დაწვით გამოწვეული პირველი აგრესიული რექცია იყო. ჰუსიტებმა ალბიგოელების მსგავსად განადგურება არ ისურვეს და ნაციონალური და სოციალური ბრძოლა მეზობელ ქვეყნებზეც გაავრცელეს. აქედან იკრებს ძალას ანაბატისტური მოძრაობა. ხოლო ასი წლის შემდეგ, მე-16-ე საუკუნეში კატოლიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა სამხრეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ, რომელთაც დიდძალი საეკლესიო სიმდიდრის ხელში ჩაგდება სურდათ, მხარდაჭერილ იქნა. ამან რელიგიის გავლენა შეასუსტა და იგი სახელმწიფოს ხელში იარაღად გადააქცია, ხოლო კალვინისტურ ქვეყნებში სადაც ვაჭრობა და იმპერიალიზმის ვითარდებოდა იგი ომისა და დაპყრობის გამამართლებლად და მასულდგმულებელად გადაიქცა. მხოლოდ მაშინ დაიწყო მეცნიერებამ მისთვის აუცილებელი ხელსაწყოების მოპოვება და რელიგიისაგან თავის დაღწევა, ხოლო მე-19-ე საუკუნეში სიმწიფეს მიაღწია.

კაპიტალიზმისა და ავტომატიზმის ხანამ შეცვალა სახელმწიფოს ხელისუფლება და ადმინისტრაცია, სახე უცვალა სახელმწიფოთა საზღვრებს, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მასთან ერთად მოსახლეობის რაოდენობა. ყოველივე ამან თავისუფლებისა და სოლიდარობისათვის ადაგილი არ დატოვა, გააერთიანა რა საზოგადოება ფანატიკური რწმენით, ნაციონალიზმითა და სავაჭრო ინტერესებით.

ამგვარად, მე-19-ე საუკუნის პირველ წლებამდე ანარქიზმი არსებობდა როგორც ინტელექტუალური ქვედინება, რომელმაც ძველი საბერძნეთიდან და წყებული და „პოლიტიკური სამართლიანობის“ ფორმით დამთავრებული 1792 წელს თავისი იდეების ბრწყინვალე გადმოცემას ახდენს, მარგამ როგორც მასობრივი მოძრაობა და რევოლუციური ფაქტორი ის ჯერ კიდევ არ არსებობდა რადგანაც ადამიანები ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყვნენ განთავისუფლებეული ავტორიტარული კრიზისისსაგან. მათ წინაშე მე-19-ე საუკუნე იყო აღმართული, როგორც ისტორიის დაუწერელი გვერდი.

მე-19-ე საუკუნის ევროპული განმათავისუფ-ლებელი მოძრაობის აქტურმა მონაწილემ, ფრანგმა ფილოსოფოსმა პიერ ჟოზეფ პრუდონმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა სიტყვა „ანარქია“ და „ანარქსიტი“ კონსტრუქციული აზრით: „მე ანარქსიტი ვარ! ის რაც ვთქვი, ღრმად გააზრებული და სეროზული განსჯის შედეგია“. მისი ნაშრომი - „რა არის საკუთრება?“ რომელშიც „საკუთრებისა“ და „ქონების“ ცნებებია გაანალიზებული დღემდე არ არის დავიწყებული. ანარაქსიტული საზოგადოება პრუდონს წარმოედგინა, როგორც „სუვერენების“ - კერძო მეწარმეების ერთობა, რომლის წევრები თავისუფალი ფულად-სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში მოქმედებენ, რა დროსაც არ არსებობს სახელმწიფო და სახეზეა საკუთრების თანაბრი ოდენობა და ყველას უფლებები თანასწორია. სუვერენებს შორის ურთიერთობა ურთიერთმოლაპარაკების გზით რეგულიერდება. სოციალისტური შეხედულებების მომხრე პრუდონი თანმიმ-დევრული ანტიკაპიტალისტი არ იყო, რამდენადაც მთავარ ბოროტებად საკუთრების, როგორც ასეთის არათანაბარი განწილება მიაჩნდა, და არა კაპიტალი, როგორც კაპიტალისტურ ურთიერთობათა თავისებურება.

სხვა თეორეტიკოსი, რომელმაც ანარქიზმს თეორიული საფუვლები ჩაუყარა გრენმანელი ფილოსოფოსი მაქს შტირნერი იყო. მისი შეხედულებები სოციალისტური შეფერილობის მქონე ინდივიდუალურ ბუნტარულია, მაგრამ მის ფილოსოფიაში მოცემულია პირველი რადიკალური ნაბიჯები, რომელიც ევროპული ცნობიერებისათვის დაახასიათებელ ნიცშეს მიერ შემოტანილ „ღმერთის სიკვდილის“ თემატიკას ეხმიანება. შტირნერი - რაციონალურ-პოზიტივისტური ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ გალაშქრებაა. მისი შეხე-დულებები ანარქსიტული მსფფლაღქმისა და მსოფლგაგების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც არა პოლი-ტიკური, არამედ მსოფლმხედველობრივი ხასიათი გააჩნია. როგორც სოციოლოგი და პოლიტიკოსი მაქს შტირნერი სუსტია, მაგრამ მის მიერ გაცნობიერებული ღირებულებით მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა თანამედროვე ევროპულ კულტურაში დღემდე აქტუალურია.

როგორც ცალკეული პოლიტიკური მიმდინარეობა სოციალისტური მოძრაობის ფარგლებში ანარქიზმი პირველად გამოვლინდა მუშათა საერთაშორისო თანამეგობრობის სახით (მუშათა საერთაშორისო ასოციაცია, პირველი ინერნაციონალი), რაც რუსი რევოლუციონერის მიხეილ ბაკუნინის (1814-1876) სახელთან არის დაკავშირებული. მისი ანარქსიტული შეხედულებები, რომლებიც ცხოვრების ბოლო წლებში ჩამოაყალიბა, გამოცემულია ნაშრომებში - „ღმერთი და სახელმწიფო“, „ფედერალიზმი, სოცი-ალიზმი, ანტითეოლოგიზმი“, „სახელმწიფოებრიობა და ანარქია“. თანამედროვე პოზიციების გათვალისიწნებით ბაკუნინის კონცეფცია პრიმიტიულად გამოიყურება. იგი შემდეგ ძირითად დებულებებს მოიცავს: 1. სახელმწიფო და ექსპლუატაცია უპირველესი ბოროტებაა. 2. სახელმწიფოსა და ექსპლუატაციის მოსასპობად გლობალური სოციალური ბუნტია საჭირო. 3. ბუნტის შემდეგ სოციალური ცხოვრების არანაირი

რეგლამენტაცია არ იარსებებს. 4. თუკი რუსეთზე ვისაუბრებთ, მაშინ მსგავსი ინსტიტუტების შექმნა აქ საჭირო არაა. ისინი სოფლის ერთობების სახით ისედაც არსებობენ აქ, საჭიროა მხოლოდ მათი გარდაქმნა არასახელმწიფოებრივ ფედერალიზმად.

ანარქიზმი ამ პოზიციური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაირ-სახეობაა. როგორც კი საზოგადოებაში სერიოზული კრიზისი დაიწყება ოპოზიციური იდეოლოგია დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის საკუთარ რადიკალურ კონცეფციას იძლევა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმანთა იმპერიაში ანარქისტული დაჯგუფებების წარმოშობის ხელსაყრელი პირობები გაჩნდა, კერძოდ საფუძველი ჩაეყარა რადიკალური ანტიეტატიზმის ახალი ეტაპს. ეს ხელსაყრელი პირობები სახელმწიფო კონტროლის შესუსტებასთან და პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისთან იყო დაკავშირებული. საზოგადოებაში რადიკალური პოლიტიკური ჯგუფის წარმოსაქმნელად აუცილებელია „კონფლიქტური სიტუაციის“ წარმოშობა, ანუ მოქალაქეთა ჯგუფის ინტერესები სახელმწიფო ხელისფლების ინეტერებს უნდა უპირისპირდებოდეს. სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა ოსმანთა იმპერიაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების დასისტების შედეგად სომხურმა მოსახლეობამ თავისი ნამდვილი სახე გამოავლინა. ანარქიული სიტუაციის შექმნა სომეხ იდეოლოგებს ოსმანთა იპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში აწყობდათ.

სომეხმა ანარქისტებმა თავიანთი ფართოდ გავრცელებული პროპაგანდისტული აქტიურობის შედეგად მე-19-ე საუკუნის დასასრულს ოსმანთა იმპერიის ხელისუფალთა ყურადღება მიიპყრეს. საერთაშორისო არენაზე სომეხთა შორის ალექსანდრ ათაბეკიანი იყო მეტ-ნაკლებად ცნობილი, რომელსაც საერ-თაშორისო ანარქისტულ მოძრაობასთან ჰქონდა კავშირი. ჯერ კიდევ ჟენევაში სწავლის პერიოდში ის დაუახლოვდა გამოჩენილ ანარქისტ პ. კრაპოტკინს, ე. რეკლიუსდაჟ.გრავს.მასგანსაკუთრებულიმეგობრობა აკავშირებდა კრაპოტკინთან, ფაქტობრივად ის იყო კრაპოტკინის გვერდით გარდაცვალების ჟამს და მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ქუჩებში გამართულ სამგლოვიარო ცერემონიაში. ათაბეკიანმა სომხურ ენაზე თარგმნა რამდენიმე ანარქისტული ნაშრომი და გამოსცემდა და ავრცელებდა ანარქისტულ ჟურნალს სახელწოდებით „თანამეგობრობა“ (ამაინკი), რომელიც ასევე სპარსულ ენაზეც გამოდიოდა. ათაბეკიანს სერიოზული მცედლობა ჰქონდა ეხეირა შუა აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისადმი ანარქისტული მიდგომით. ყველა მის შრომაში ნათლად შეიმჩნევა სომხებზე ოტამანთა იმპერიის ბატონობისა და მტლიანად რეგიონზე ევროპული გავლენის მიუღებლობა. დროთა განმავლობაში მსგავსი იდეების მთავარი გამომხატველი სომხური რევოლუციური ფედერაცია (დაშნაკცუტუნი) გახდა, რომელიც ანარქისტებისა და ნაციონალისტების კოლაიციას წარმოადგენდა. სხვა საქმიანობასთან ერთად ორგანიზაცია გამოსცემდა და მთელ სომხეთში ავრცელებდა სხადასხვა ანარქისტულ ბროშურებს. ანარქსიტული იდეალები პოპულარული გახდა დასავლეთის ქვეყნებში ემიგრირებულ სომხებს შორის, რასაც ზოგიერთი ანარქსიტული ჟურნალი მოწმობს. მაგალითად იმ დროს აშშ-ში სომხურ ენაზე გამომავალი ჟურნალი. დაშნაკცუტუნისა და ანარქსიტების გზები ერთმანეთს დაემთხვა. ისინი შეითქმნენ „ნაციონალური“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და საქმე სომეხ ანარქსიტებსა და ოსმანთა იმპერიას შორის სისხლისმღვრელ დაპირისპირებამდე მივიდა.

თუკი ანარქსიტულ ინტერნაციონალიზმს ისტორიულად განვიხილავთ, მაშინ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ის უცბად არ წარმოქმნილა და ნაციონალური საკითხები დიხანს წარმოადგენდა ლიბერტანიანელთა კამათის საგანს. დაგენილად უმდა მივიჩნიოთ ის, რომ მე-19-ე საუკუნეში ინტერნაციონალიზმის თანამედროვე გაგება ჯერ კიდევ არ არსებობდა არათუ ანარქისტთა წრეში არამედ საერთოდ. ცნობილია, რომ ანარქიზმის ფუძემდებელი ბაკუნინი ნაციონალური სახელმწიფოსადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად სლავების ეროვნულ-გამან-თავისუფლებელი მოძრაობით ინტერესდებოდა, თუმცა ამ მოძრაობის სახელმწიფოებრივ ხასიათს ეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, მარქსთან პოლემიკაში იგი ნაციონალური ფსიქოლოგიის პოზიციებზე დგას, რასაც ანარქისტების მომდევნო თაობა უარყოფდა.

მე-19-ე საუკუნის ბოლოსა და მე-2-ე საუკუნის დასწყისის დროინდელი ანარქსიტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხავადსხვა სახის ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობებში. სომხური დაშნაკცუტუნი ამ დროისათვის ამხედრებული იყო რადგანაც იმპერიაში შექმნილი ქაოსი მას თავისი მიზნების მიღწევის ფართო შესაძლებლობას უხსნიდა. უფრო მეტიც, იტალიელ და რუს ანარქისტთა დიდი ნაწილი 1875-1877 წლებში ბოსნიაში ანტიოსმანური აჯაყების დასახმარებლად ჩავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაკუნისი მსგავს რამეს უარყოფდა და მიაჩნდა, რომ „საკუთარი ძალები შენს ქვეყანაში უნდა გამოიყენო და არა სხვაგან“ . 1882 წელს ერიკო მალატესტა და სხვა იტალიელი ანარქსიტები ეგვიპტეში არაბი-ფაშას ანტი იმპერიალისტურ აჯანყებაში მონაწილეობდნენ. ბულგარელი ანარქისტები შესამჩნევ როლს ასრულებდნენ ოსმანტა იმპერიისაგან მაკედონიის განთავისუფლების საქმეში , კუბელი ანარქსიტები კი ესპანეთის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ და ა. შ.

მსგავსი მოქმედების მოტივები ახსნა ანარქიზმის იმ დროინდელმა წამყვანმა თეორეტიკოსმა პ. კრაპოტკინმა: „ჩვენ მოგვიწევს, - წედა ის ანარქისტ ქალ მარი კორნს,- ყოველ ნაციონალურ მოძრაობაში ნაციონალიზმთან ერთად სახალოხო საკითხების წამოყენება. ორი სიტყვით, ჩევნი დამოკიდებულება ასეთია: „დააყენეთ სახალხო საკითხები და გადაწყვეტილი იქნება ნაციონალურიც! ჩვენც გვძულს თქვენი მჩაგვრელი რუსები, თურქები და ინგლისელები, მაგრამ ჩვენ უფრო ღრმად ვიღუყრებით და ვხედავთ დაცაგრულ ხალხს!“ „სახალხო საკითხის წამოყენებით ყპველი პატიოსანი ნაციონალისტი ჩვენთან დადგება!“

ნათელია, რომ აქ საუბარი რომელიმე „ნაციონალურ იდეას“ კი არ შეეხება, არამედ მასობრივ სოციალურ მოძრაობებში მონაწილეობის ტაქტიკაზე და სოციალურ-რევოლუციურ ლიანდაგზე გადასვლაზეა ყურადღება გამახვილებული. ამ

პოზიციის წინააღმდეგობრიობა მოგვიანებით გამოჩნდა, როდესაც პირველი მსოფლიო ომის დროს კრაპოტკინი და სხვასხვა ქვეყნის 15 ცნობილი ნარქისტი ანტანტის მხადამჭერს მანიფესტს მოაწერენ ხელს. ლიბერტარიანელთა უმრავლესობა (მალატესტა, ემა გოლდმანი დს სხვ.) მსგავს ფაქტს ნეგატური განწყობით შეხვდა.

მათ მსგავსად ბევრი ანარქისტი მე-19-ე საუკუნის ბოლოს აბსოლუტური ინტერნაციონალიზმის მახრეს დადგა და ნაციონალური განთავისუფლების იდეა უარყო. გამოჩენილი კუბელი ანარქისტი ენრიკე რიოგ-დე-სან-მარტინი 1890 წელს წერდა: „დიახ, ჩვენ - ანტიპატრიოტები ვართ სწორედ იმიტომ, რომ ანარქისტს არ უყვარს საკუთარი სამშობლო. ის შესაძლებელია საკუთარ თვს გრძნობდეს როგორც შავკანიანი, ჩინელი, ფრანგი და დედამიწის ნებისმიერი მცხოვრები. სწორედ დედამიწის მცხოვრებნი წარმოადგენენ მის ოჯახს და არანაირი რელიგიური და სხვა განსხვავება ვერ გაამრთელებს მის წევრთა სასაკლაოს“ . ოღონდ მსგავს სიტუაციაში საინტერესოა დაშნაკებისა და საერთოდ სომეხი ანარქისტების პოზიცია. ისინი სოციალური განთავისუფლების იდეას აფარებდნენ თავს და ბერძენ, რუმინელ და მაკედონიელ ანარქისტებთან ერთად ძალზე „ნაყოფიერ“ მუშაობას ეწეოდნენ ამ მიმართულებით. დაშნაკური გასამხედროებული ორგანიზაციები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ოსმანთა იმპერიაში, რითაც ისინი თავიან ნაციონალურ ინტერესებს მისდევდნენ და აფარებული ყავდათ საერთაშორისო ანარქსიტული მოძრაობა. მათ მიზანი ოსმანთა იმპერიის ტერიტორიაზე სომხური სახელმწიფოს შექმნა იყო, უფრო მეტიც მსგავს მიზნებს ისახავდნენ ბერძენი ანარქსიტები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი კონსტანტინოპოლისა და ოსმანთა იმპერიის სხვა ნაწილების განთავისუფლებას ესწრაფოდნენ. ასე რომ ერთისა და მეორის ნაციონალური ინერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, რის გამოც ორივენი შეთანხმებულად მოქმედებედნენ.

სინამდვილეში, ნებისმიერი ნაციონალიზმის გაუკუღმართება მმართველი წრეების შოვინისტური პოლიტიკისაგან თავის არიდებისაკენ უბიძგებდა ანარქისტებს. ასერომ, ყველაფრანგილიბერტარიანელი როდი იღებდა მონაწილეობას „დრეიფუსის საქმეში“, აცხადებდა რა, რომ მათ მხოლოდ სოციალური პრობლემები აინტერესებთ. მაგრამ როგორც აღნიშნეთ დაშნაკი „ანარქისტი“ პოლიტიკოსთათვის ეს იდეა უტოპიური იყო. სინამდვილეში ისინი ანარქისტები კი არა, ანარქისტულ მოძრაობას მიტმასნილები იყვნენ და თავიანთ ბრძოლას ეწეოდნენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. ლიბერტარიანელები ნაციონალურ პრინციპებს არც თუ იშვიათად უპირისპირებდნენ რეგიონულ, გეოგრაფიულ და კულტურულ კრიტერიუმებს. ასე მაგალითად, ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ანარქისტული და ანარქო-სინდიკატური ორგანიზაციები თავიანთ თავს „რეგიონალურ სექციებად“ მიიჩნევდნენ, ხოლო 1927 წელს ანარქისტების მიერ შექმნილი იბერიის ფედერაცია პორტუგალიიდან და ესპანეთიდან უხელისუფლობის მომხრეებს აერთიანებდა. ენობრივი პრინციპით არის აგებული ფრანგული ანარქისტული ფედერცია და ა. შ.

პირველმა მსოფლიო ომმა ანარქსიტებს შორის ანტინა-ციონალური განწყობა გააძლიერა. ომებს შორის პერიოდს მიეკუთვნება „ნაციონალური იდეის“ საკუთარი ალტერნატივის შექმნის უხელისუფლებობის მომხრეთა მცდელობა. მათ შორის გამორჩეულია ანარქო-სინდიკალიზმის გამოცენილი გერმანელი წარმომადგენელი რუდოლფ როკერი. მის მიერ იმ დროს გამოცემულმა სტატიებმა შემდგომში შეადგინა წიგნი სახელწოდებით: „ნაციონალიზმი და კულტურა“. სხვადასხვა ენაზე თარგმნილმა ამ წიგნმა, მათ შორის იაპონურ ენაზეც ითარგმნა, ისეთი გენიოსების გამოხმაურება მოიპოვა როგორებიც ა. აინშტაინი, ბ. რასელი, ლ. მემფორდი და თ. მანი არიან.

როკერის ანალიზის მიხედვით, რომელიც მის მიერ მოყვანილ მდიდარ ფაქტობრივ მასალას ემყარება, ნაციონალური ცნობიერება შედარებით ძველი დროის პროდუქტია. შუა საუკუნეებში, ავტორის მტკიცებით, იგი არ იყო, რადენადაც ადამიანი ერთი მხრივ მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ გარემოსთან და მეორე მხრივ უნივერსალურ ქრისტიანულ ცივილიზაციასთან. მხოლოდ შუა საუკუნეების მიწურულს ეკონომიკურმა და პლიტიკურმა ცვლილებებმა ეგოისტურ ინდივიდუალიზმამდე და სოლიდარობის შესუსტებამდე მიგვიყვანა. ადრინდელი კოლექტიური და ერთობითი სტრუქტურები ნაციონალურმა შეცვალა. აბსოლუტიზმის მიერ იარაღის გამოყენებით შექმნილი ნაციონალური სახელმწიფოები უნებურად თავს უყრიდნენ სხავდასხვა კულტურის, ენისა და ეთნოსის ხალხებს. როკერი კატეგორიულად უარყოფდა, რომ ერი ბუნებრივი წარმონაქმნია და სახელმწიფო ქმნის. „ნაცია ყოველთვის ძალაუფლებრივ-პოლიტიკური მისწაფებების ხელოვნური შედეგია“ ხოლო „ნაციონალური გრძნობა წმინდა ფსიქოლოგიური ფენომენია.

იმ დროისათვის ნაციის იდეა ანტიაბსოლუტიზმის მარცვლებს შეიცავდა. ასე მაგალითად, საფრანგეთში მე-18-ე საუკუნეში არსებული ნაციები იმ უზურპირებული მონარქიის ცრურწმენას უკავშირდებოდა. ამ კონტექსტში ნაციის ცნება ქვეშევდრომის ცნებას უპირისპირდება. ნაცია თითქოს ქვეშევრდომს ნიშნავდა, რომელმაც სუვერენიტეტი დაიბრუნა. მაგრამ აბსოლუტიზმის დამხობისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. საფრანგეთის რევოლუციიდან დაწყებული ნაცია საერთო ნების მატარებელი გახდა და მისი ნება ღმერთის გამოცხადების ტოლფასი გახდა. საკუთარი ერის თაყვანისცემა სხვა ერების უარყოფის მიზეზი გახდა. როკერი ერზე როგორც ტირანულ აბსოლუტურ იდეაზე მსჯელობს: „ნაცია - ყველაფერია, ადამიანი - არაფერი!“ის რაც პრაქტიკულად პირველად განხორციელდა საფრანგეთში გერმანიაში თეორიულად და ფილოსფიურად გაიაზრეს, ისტორიული აუცილებლობის აღიარების სახით. ნაცია თანამედროვე სახელმწიფოს რელიგიად იქცა. ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოს აღიარება ყოველთვის ახდენდა სხვადასხვა ჯგუფების თუნდაც ძალადობრივ უნიფიცირებას.

გერმანელი ანარქისტი აჩვენებდა, რომ

ნაციონალური ინტერესების შესახებ სიტყვების უკან პრივილეგირებული უმცირესობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები იმა-ლება მხოლოდ. ისინი მოწოდებულია დამალონ ყოველი ერის შიგნით არსებული სოციალური წინააღმდეგობები. როკერი ასევე აჩვენებდა, რომ არ არსებობს არანაირი ერთიანი ნაციონალური კულტურა, რომ რეალურად არსებული სხავდასხვა ტერიტორიული კულტურული და ენობრივი ჯგუფები ნაციონალური სახელმწიფოს გამაერთიანებელმა ხელმა წაშალა. ე. წ. კულტურულ ნაციონალიზმს ანარქო-სინდიკატი თეორეტიკოსი „ლეღვის ფოთოლს“ უწოდებს, რომელიც უცხოტომელთა ბატონობის ეპოქაშია ჩაცმული, როდესაც საკუთარი პოლიტიკური გეგმების განხორციელება შეუძლებელი ხდება. წარსულის „კულტურული დიდების“ გახსენება ნაციონალური სახელმწიფოს პრეტენზიების საფუძვლად გამოიყენება და მეტი არაფერი.

ფაშიზმს როკერი განიხილავდა როგორც ნაციონალური იდეის ლოგიკურ და პრაქტიკულ დაბოლოებამდე მიყვანად. „თანამედროვე ნაციონალიზმი, - წერდა, იგი სახელმწიფოს შიშველი წყურვილია ნებისმიერ ფასად მოახდინოს ადამიანის ინეტერესების გათქვეფა ხელისუფლების ინტერესებში“ და აგრძელებდა: „ნაციის ქვეშ ყველაფრის დამალვა შეიძლება; ნაციონალური დროსა ნებისმიერ უსამართლობას, არაადამიანობას, ნებისმიერ სიცრუეს და სამარცხვინო მოქმედებას, ნებისმიერ დანაშაულს ფარავს. ნაციის კოლექტიური პასუხისმგებლობა ახრჩობს ცალკეული ინდივიდის სამართლიანობის გრძნობას“.

შესაბამისად, როკერს მიაჩნდა, რომ ყოველი ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა უნიფიკაციის ციკლს ხელახლა იმეორებს, ოღონდ ახალ დონეზე. „ხალხები, რომლებიც ეროვნული განთავისუფლების სახელით გადაიგდებენ უცხოტომელთა უღელს არაფერს იღებენ ამისაგან“, - წერდა იგი.

ნაციონალური იდეის ალტერნატივას როკერი ინტერნაციონა-ლიზმში, ადგილობრივ ერთობასა და კულტურაში ხედავდა. ნაციას და ნაციონალურ სახელმწიფოს იგი საუკუნეების მანძილზე შექმნილ ადამიანთა ბუნებრივ ერთობას უპირისპირებდა. ასეთი „მცირე სამშობლოები“ მისი წარმოდგენით, „ტრადიციებიდან, ადათ-წესებიდან, მატერიალურ და სულიერ მდგომარეობათა ერთობის შედეგად გაჩნდა“. როკერი ამტკიცებდა, რომ მსგავსი ერთობა არაფრით არ არის დაკავშირებული ნაციონალიზმთან და პატრიოტიზმთან, რამდენადაც ძალაუფლების ნებას მოკლებულია და სხვებზე ბატონობის არანაირი აუცილებლობა არ გააჩნია. მისთვის ინტერნაციონალიზმი ადგილობრივი თავისებურებების წაშლას არ ნიშნავდა, პირიქით, ნაციონალური სახელმწიფოსაგან მათ განთავისუფლებას გულისხმობდა.

ნაციონალისტი თეორეტიკოსებისსაპირისპიროდ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ნაციონალური იდეა და ნაციონალური ერთობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კულტურულ განვითარებაზე, როკერი ამტკიცებდა, რომ ისტორიაში უფრო ხშირად საპირისპიროს ჰქონდა ადგილი: კულტურული განვითრებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ არა დიდ ნაციონალურ სახელმწიფოებს, იმპერიებს, არამედ მსგავსი გარემო იქმნებოდა პოლიტიკური განხეთქილებების დროს. კლასიკურ მაგალითად მას მოჰყავდა ძველი ბერძნული კულტურა, რომელიც მცირე პოლისებს ემაყრებოდა. საწინააღმდეგოდ, ნაციონალური იდეა და ნაციონალური უნიფიკაცია კულტურულ ძიებებზე ყოველთვის უარყოფითად მოქმედებდა. კულტურის სხვადასხვა ასპექტების: ენის, ხელოვნების, მეცნიერების, სულიერი და სოციალური კავშირების და სხვ. დეტალური ანალიზის შედეგად როკერი აჩვენებდა, რომ ისინი ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში ნაციონალური საზღვრებისა და ჩარჩოების გარეშე ვითარდებოდნენ. მისი შეხედულებების პრინციპულ მომენტს წარმოადგენს „ნაციონალური კულტურის“ ცნების უარყოფა. მის აზრით, თავისი არსით კულტურა ინტერნაციონალური და უნივერსალურია, რამდენადაც გამუდმებით საჭიროებს იდეათა ცვალებადობას. როკერი ამტკიცებდა, რომ კულტურული, ეთნიკური და მსგავსი სინთეზი დადებით ცხოველმყოფელ როლს ასრულებს. მთავრია, რომ ის ნებაყოფლობითი და ბუნებრივი იყოს და უნიფიკაციის გზით, ზემოდან იძულების წესით არ ხორცილედებოდეს.

ამგვარად, როგორც ჩანს, ანარქიზმის ფილოსოფია სულ სხვაგვარია, ვიდრე სომხური ანარქიზმი, რომელიც საკუთარი ნაციონალური იდეების განსახორციელებლად ანარქიზმს იყო შეფარებული. მისი მიზანს სხვის, ოსმანთა ტერიტორიაზე საკუთარი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ამ ასპექტით სომხების მოკავშირეებად ბერძენი, რუმინელი და მაკედონიელი ანარქისტები გვევლინებიან.

საბერძნეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა მიზან-მიმართულად გაუარესდა. 1897 წლის აპრილში ბერძნების შეიარაღებულ მოხალისეთა ფორმირებებმა მცირე ჯგუფებად დაიწყეს შეღწევა ოსმანთა იმპერიის მიერ ოკუპირებული მაკედონიის ტერიტორიაზე. თურქეთმა ომი გამოუცხადა საბერძნეთს. საბერძნეთ-თურქეთის ომის საწყის ეტაპზე ბერძნებმა გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგრამ მალე თავი იჩინა ფინანსურმა და სამხედრო მოუმზადებლობამ. თავისი შედეგებით საბერძნეთ-თურქეთის ომი, მძიმე შედეგების მიუხედავად, საბერძნეთისათვის საერთო ეროვნულ კატასროფად და ტერიტორების დაკარგვად არ გადაიქცა. თვით კუნძული კრეტა, რომელეზეც მომხდარი მოვლენები სამხედრო მოქმედებათა პრელუდიად იქცა 1898 წლამდე რუსეთის ჩათვლით 6 ევროპული სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ რჩებოდა. საბერძნეთ-თურქეთის ომი და „კრეტის მოვლენები“, ფინანსური ბანკროტი - ასეთი იყო მე-19-ე საუკუნის უკანასკნელი წლების მოვლენები. საბერძნეთი თავისი განვითრაების ახალ ეტაპში შევიდა.

მთელი მე-19-ე საუკუნე ოსმანთა იმპერია ღრმა სოციალური კრიზისით იყო მოცული. იგი საგრძნობლად ჩამორჩა მეზობელ ქვეყნებს სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. რუსეთთან ომში დამარცხებული და ეკონომიკურად გაჩანაგებული ქვეყნის სულთანი სელიმ III (1789-1807) საერო და სასულიერო წრეების წარჩინებულ

წარმომადგენლებთან ერთად რეფორმების გატარებას ცდილობს, რომელმაც „ახალი სისტემის“ სახლწოდება მიიღო. იგი მიწათსაკუთრების მოწესრიგებას, მანუფაქტურული წარმოების გაფართოებას, ევროპული ყაიდის არმიის ჩამოყალიბებას და იანიჩართა გვარდიის ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად. „ახალ სისტემას“ არც წარჩინებულთა და არც დაბალი წრის წარმომადგენელთა შორის მხარდამჭერები არ აღმოაჩნდა.

თურქეთის მდგომარეობა საფრანგეთთან (1798-1801) და რუსეთთან, რომელთანაც კავშირი 1806-1812 წლებში გაწყდა, ომის შემდეგ გაუარესდა. ხოლო 1807 წლის იანიჩართა მღელვარებამ ბოლო მოუღო როგორც რეფორმებს ასევე რეფორმატორის მეფობას. 1808 წელს „რუშუქის სამმოს“ მეთაურმა მუსტაფა-ფაშამ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და „ახალი სიტემის“ განხორციელებას შეეცადა, მაგრამ იანიჩართა მღელვარებამ მის წამოწყებას ბოლო მოუღო.

მხოლოდ 1826 წელს სულთანმა მუჰამედ მეორემ შეძლო არა მარტო იანიჩართა ამბოხების, არამედ იანიჩართა კორპუსის ლიკვიდირება და არმიის რეორგანიზება. ეფექტური აღმოჩნდა სულთნის მოქმედება ფეოდალური ზედა ფენის წინააღმდეგ, მაგრამ ოსმანთა იმპერიის კრიზისს ბოლო არ უჩანდა.

მუჰამედ ალი, რომელიც სულთანმა ეგვიპტის ფაშად დანიშნა ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა. ბალკანეთზე 1815 წელს აჯანყდა სერბეთი, აჯანყდნენ ბერძნებიც. როდესაც თურქების დასახმარებლად მოსულმა ეგვიპტის ჯარებმა საბერძნეთის გარკვეული ნაწილი დაიკავეს, ევროპული სახელმწიფოების საბერძნეთის დასახმარებლად მივიდნენ. ნავარინის ბრძოლაში ანგლო-ფრანკო-რუსულმა ესკადრამ თურქულ-ეგვიპტური ფლოტი გაანადგურა. თურქეთმა მარცხი იწვნია რუსეთ-თურქეთის ომში 1828-1829 წლებში. 1829 წლის ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებით საბერძნეთმა ავტონომია მოიპოვა და 1930 წელს დამოუკიდებელი სამეფო გახდა, თურქეთი ვალდებული იყო ავტონომია მიეცა სერბეთისათვის და ასევე გაეფართოებინა ვლახეთისა და მოლდოვეთის პრივილეგიები.

1813-1833 წლებში სულთნის წინააღმდეგ ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი გამოვიდა. ევროპის ქვეყნებისაგან დახმარების არ მიღების შემდეგ საშველად მუჰამედ მეორემ რუსეთს მიმართა, რომლის დესანტი ბოსფორზე იქნა გადმოსხმული და რომელმაც ეგვიპტის შემოჭრა შეაჩერა. რეგიონში რუსეთის გავლენის საწინააღმდეგოდ მხარეთა შერიგების საქმეში ბრიტანეთი და საფრანგეთი ჩაერთო. გარკვეული ტერიტორიების სანაცვლოდ ეგვიპტის ფაშამ თავი თურქეთის სულთნის ვასალად აღიარა.

1839-1841 წლებში თურქეთ-ეგვიპტის ახალი კონფლიქტი გაჩნდა. თურქეთის არმიამ შეტევა დაიწყო და პირველივე ბრძოლა წააგო, ხოლო თურქეთის ფლოტი ეგვიპტის ფაშას მხარეზე გადავიდა. გაჩნდა ოსმანთა იმპერიის დაშლის საშიშროება, მაგრამ ევროპულმა სახელმწიფოებმა ვერ მოილაპარაკეს როგორ გაეყოთ იგი და სულთნის გადარჩენა გადაწყვიტეს. კონფლიქტში დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, პრუსია და რუსეთი ჩაერია. ბრიტანეთის, ავსტრიისა და თურქეთის ფლოტი და დესანტი 1840 წლის სექტემბერში ეგვიპტის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. ალექსანდრიის ბომბარდირების საფრთხის გამო მუჰამედ ალიმ კაპიტაულაცია გამოაცხადა და საკუთარი თავი ხელახლა აღიარა სულთნის ვასალად.

1839 წელს დაიწყო რეფორმების პერიოდი, რომელმაც „თანზიმატის“ სახელწოდება მიიღო. 1839 წლის ნოემბერში გიულხანეის რესკრიპტის გასაჯარეობა მოხდა, რომელიც ყველა ქვეშევრდომს სიცოცხლის, ღირსების, ქონების ხელშეუხებლობას დაგადასახადების სამართლიან განაწილებას პირდებოდა. რესკრიპტის შესასრულებლად გამოიცა კანონები, რომლებიც ილთიზამს აუქმებდა (გადასახადების აკრეფისას გამოსასყიდი სისტემა). შემცირდა სამხედრო სამსახურის ვადები. გაჩნდა საერო სკოლები, არამუსულმანებს ნება დაერთო მოწმედ გამოსულიყვნენ სასამართლოში და ა. შ. მიუხედავად ამისა დეკლარირებული უფლებები და თავისუფლებები ძირითადად მაინც არ სრულდებოდა.

1853 წელს ყირიმის ომი დაიწყო, რომელშიც რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის მხარე ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაიკავეს. 1856 წლის პარიზის სამშვიდო ხელშეკრულებამ დაადასტურა ოსმანთა იმპერიის „მთლიანობა და ხელშეუხებლობა“. იმავე წელს სულთანმა ახალი რესკრიპტი მიიღო, რომლითაც თურქეთის ეკონომიკის განვითარების და „ევროპის კაპიტალის“ გამოცდილების გამოყენების დაპირებას იძლეოდა, რაც ევროპული კაპიტალის ინტერესების გამყარება იქნებოდა რეგიონში. უცხოელებმა დამატებითი პრივილეგიები მიიღეს: კერძოდ ამიერიდან შეეძლოთ მიწის ფლობა, რკინიგზის მშენებლობის კონცესია და სხვა. თურქეთში დაფუძნდა უცხოური ბანკები. 1858 წელს სისხლის სამართლისა და მიწის კოდექსები იქნა მიღებული, ხოლო 1969 წელს სამოქალაქო კოდექსი.„თანზიმათი“ რომელიც 1870 წლამდე გრძელდებოდა ბურჟუაზიის, ისე რომ განათლების და ახალი ინტელიგენციის წარმოშობას უწყობდა ხელს, რომელთა ლიდერები კონსტიტუციური მოძრაობის იდეოლოგები და თურქი განმანათლებელები იყვნენ.

1865 წელს საიდუმლო საზოგადოება „ახალი ოსმანები“ შეიქმნა. მისმა მომხრე მიდჰატ-ფაშამ 1876 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. ტახტზე მურად მეხუთე ავიდა, რომელიც კონსტიტუციის შემოღების პირობას იძლეოდა. მაგრამ მან მხოლოდ სამი თვე იმეფა და სულიერი ავადმყოფობის გამო აბდულ ჰამიდ მეორის მიერ იქნა შეცვლილი. 1876 წლის დეკემბერში გამოცხადდა პირველი კონსტიტუცია („მიდხსტის კონსტიტუცია“). ოსმანთა იმპერია კონსტიტუციური მონარქია გახდა.

ოსმანურ ბაკლანეთში სლავ ხალხებს შორის ურთიერთობათა დარეგულირების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. დაიწყო აჯანყება ბოსნიაში, რომელიც საზარლად იქნა ჩახშობილი. მარცხით დამთავრდა 1876 წლის კონსტანტინოპოლის კონფერენცია ბოსნიაში, ჰერცოგოვინასა და ბულგარეთში რეფორმების შემუშავების შესახებ. ამან რეფორმატორების ავტორიტეტს ზიანი მოუტანა. აბდულ-ჰამიდ მეორემ გაანადგურა ჰამიდ-ფაშა და

„ახალი ოსმანები“ რეპრესიებში მოჰყვნენ. რუსეთთან ომში დამარცხების პირობებში (1877-1878) 1878 წელს სულთანმა პარლამენტი და რელიგიური უმცირესობები დაშალა და მთელს ქვეყანაზე „მართლმორწმუნეთა დამცველის“ როლი მოირგო, მაგრამ ეს ყველაზე სუსტი დაცვა იყო.

1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბაკლანეთში თურქეთის ბატონობას სერიოზული ზიანი მიადგა. ჩრდილოეთ ბულგარეთში ბულგარეთის სათავადო შეიქმნა, რომელიც ფორმალურად იყო სულთნის მოკავშირე. იგი ავტონომიური პროვინცია გახდა. სერბეთი, ჩერნოგორია და რუმინეთი დამოუკიდებლად იქნა ცნობილი. ზოგიერთი ტერიტორია რუსეთსაც ჩამოცილდა. 1881 წელს საფრანგეთმა ტუნისი მიიტაცა, ხოლო 1878 წელს დიდმა ბრიტანეთმა კვიპროსი, 1882 წელს ეგვიპტე. 1897 წელს კუნძული კრეტა ფაქტობრივად საბერძნეთს მიუერთდა. ამ ვითარებაში დაიწყო ოსმანთა იმპერიის გერმანიასთან დაახლოება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შესვლას ლამბობდა. 1888 წელს გერმანიამ მიიღო კონცესია რომელიც მას ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის უფლებას აძლევდა. საუკუნის ბოლოს ოსმანთა იმპერიას „ავადმყოფი ადამიანის“ მყარი რეპუტაცია ჰქონდა, რომლის ლოგინთან „მემკვიდრეები“ სხედან და მომაკვდავის ქონების განაწილებაზე დაობენ. მიიჩნეოდა, რომ ოსმანთა მემკვიდრეობის გაყოფა დროის საკითხია, მაგრამ იმპერიამ 1920 წლამდე იცოცხლა.

მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ოსმანური თურქეთი ის ტერიტორია იყო სადაც ხალხათა ნაციონალური სუვე-რენიტეტისათვის ბრძოლა შეიძლებოდა, რის შედეგად მრავალმა ხალხმა ავტონომიური უფლებები მიიღო. ბულგარელების, ბერძნების, მაკედონიელების და რუმინელების მაგალითის იმედად მყოფი სომხებიც მიიჩნევდნენ, რომ მათაც ერგებოდათ თურქეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი და იქ ნაციონალურ სახელმწიფოს შექმნიდნენ. ამ მიზნით ანარქსიტულ მოძრაობას შეფარებული დაშნაკები ძირს უთხრიდნენ ოსმანთა სახელმწიფოს. უნდა აღინიშნოს, რომ დაშნაკები თავიანთ გრანდიოზულ გეგმებში სამომავლოდ დასავლეთი ტერიტორიის ანუ თურქეთის სომხეთის ე. წ. აღმოსავლეთის ანუ რუსეთის სომხეთთან შეერთებას იმედოვნებდნენ. ამასთან დაკავშირებით მთელი სამხრეთ კავკასიის სომხურ მოსახლეობას, ანუ საქართველოსა და აზერბაიჯანში მცხოვრები სომხების ჩათვლით მიაჩნდათ, რომ შესაძლებელია ამ აღმოსავლეთის სომხეთის საზღვრებში თბილისისა და ბაქოს მოქცევა, რომელსაც სომხური სახელდებით ბაქუმკერტი უდა დაერქვას. თბილისისა და ბაქოს სომხური მოსახლეობის ნაწილი სომეხ მეთაურებს ამ მიმართულების ფიქრის საშუალებას აძლევდნენ, ამიტომ სომხურ ნაციონალური მოძრაობა ამ ქალაქებში დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა.

მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ბაქოს შემოგარენი ასობით ნავთობის კოშკით დაიფარა. იმ დროისათვის ბაქო ნავთობის მოპოვების მთავარ ცენტრს წარმოადგენდა რუსეთში. აქ ათობით ათასი პროლეტარი მუშაობდა. ნაციონალური შედგენილობა ფრიად სხვადასხვაგვარი იყო. იყვნენ ირანელები, სომხები, რუსები, ქართველები და აზერბაიჯანელები. მე-20-ე საუკუნის დასაწყისი სომხების და აზერბაიჯანელების სისხლისღვრით აღინიშნა. სომეხი ანარქისტები ანუ დაშნაკები და სხვა სომხური ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები თავიანთ პროკლამაციებს სომხურ ენაზე უშვებდნენ, რამდენადაც ანარქსიტების უმრავლესობას სომხები წარმოადგენდნენ. სომხები აქ აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას 1904 წლიდან ეწეოდნენ, მაგრამ მათი აქტიურობა პიკს 1905-1907 წლებში აღწევს. პირველი რუსული რევოლუციის პერიოდი სამხრეთ კავკასიაში სომხური ორგანიზაციების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგანაც მღვრიე წყალში ცდილობდნენ დაედოთ საფუძველი თავიანთი ნაციონალური მიზნებისათვის.

ამგვარად სომხური ნაციონალური ორგანიზაციები „დაშნაკცუტუნის“ მეთაურობით ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ არა მარტო ოსმანთა იმპერიის ტერიტორიაზე, არამედ რუსეთშიც, რისთვისაც ნაყოფიერ ნიადაგს წამოადგენდა პირველი მსოფლიო ომის საწყისი თვეები, სადაც სომხური ფორმირებები მშვიდობიანი თურქული მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკად მოქმედბდნენ, ანდგურებდნენ რა ეთნიკურ თურქებს სომხების წინამძღოლთ მიაჩნდათ, რომ ისინი მომავალი სომხური სახელმწიფოს ტერიტორიებს ათავისუფლებენ.

ამერიკელი ისტორიკოსი ისსტენფორდ შოუს წიგნის „ოტომანთა იმპერიის ისტორიის“ მიხედვით „მთელი ომის განმავლობაში სომხების მიერ მუსულმანების საზარელი და უმოწყალო ხოცვა მიდიოდა. მილიონზე მეტი თურქი გლეხობა იძულებული იყო გაქცეულიყო საკუთარი საცხოვრებლიდან. ათასობით დევნილი ნაკუწებად იქნა დაჩეხილი“. 3 300 000 ათასი თურქი მოსახლეობიდან რომელიც 1914 წელს ტრაბზონში, ერზერუმსა და ერზინდაჟსში ცხოვრობდა ომის შემდეგ 600 000 კაცი დარჩა. სომხური ბანდიტური ფორმირებები ქურთ მოსახლეობასაც ესხმოდნენ თავს და მხეცურად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, არ ინდობდნენ რა ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს“. თურქებს სომხებისათვის თურქებისაგან მიწების განთავისუფლების მეთოდების არც გაგება და არც პატიება შეეძლოთ, ამიტომ სომხური „ანარქიზმი“ თურქეთის მთავრობის მიერ გასამართლებულ იქნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. გროსული, რუსული პოლიტიკური ემიგრაციის საერთშორისო კავშირები მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში, მ., 2001, გვ. 201.
2. Against War and Terrorism. Chapter Towards a History of Anarchist Anti-Imperialism – http://www.struggle.ws/issues/war/afghan/pamwt/antiimp.html; Anarquismo en Egipto- http:// recollectionboocks.com/siml/library/egypt.htm.

3. Г.Хаджиев. Националното освобождение и безвластният федерализъм. София, 1992.
4. Frank Fernandez. El anarquismoen Cuba.Madrid, 2000.P.30-46.
5. Anarchistes en exil.Correspondanceinedite de Pierre Kropotkine a Marie Goldsmith.1897-1917. Paris, 1995.P.77.
6. J.Michael Allen. Ambivalent Social Darwinism in Korea // «International Journal of Korean History». 2001. Dec. Vol.2.
7. Rudolf Rocker. Nationalismus und Kultur. Bd.1,2. Bremen, o.J.
8. Ekinci, Mehmet Uğur. The Unwanted War: The Diplomatic Background of the Ottoman-Greek War of 1897. Saarbrücken: VDM, 2009.
9. ბ. ურლანისი, ევროპის ხალხთმოსახლეობა და ომები, მ., 1960.
10. ა. გულიევი, ჭეშმარიტი გენოციდი და მის მსხვერპლნი, ჟურნ. „აღორძინება-XXI საუკუნე, # 4 (26), 2000.

Гурам Мархулия

Философия анархизма и анархизм по -армянски

РЕЗЮМЕ

Анархизм как идея об отрицании государства, власти и свободе личности появился с возникновением собственного государственно устройства общества. До наших дней дошли труды мыслителей Древнего мира, которые по прошествии множества веков многими воспринимаются как свежие идеи. Наиболее ярко выражена идея анархизма у древнегреческого философа-софиста Антифонта. Софист Антифонт подчёркивал искусственный, непрочный характер всего, что является делом рук человеческих. Он выступал против ограничений, накладываемых на индивида государством. Соблюдать законы, по его мнению, следовало лишь в той мере, в какой это необходимо для того, чтобы не подвергнуться наказанию. Антифонт отрицал различия между эллинами и варварами, не признавал преимуществ знатного происхождения. В общественном идеале, выдвинутом философами-киниками, тоже без труда усматривается анархизм. Они считали, что люди должны жить как одно большое сообщество, что следует уничтожить государственные границы и законы. Следует, однако, заметить, что киники в качестве социального идеала выдвигали состояние, покоящееся на сведении к минимуму потребностей у всех членов общества, на самосознании каждого отдельного человека, а также выдвигали тезис об изъятии золота и денег как источника всех бед.

Стоики также в своём учении соглашались с отрицанием государственных институтов, общих для всех законов, брака, собственности и т.д.Самое общее знакомство с воззрениями упомянутых мыслителей прошлого даёт возможность выделить в них два пункта - стремление к абсолютной истине и отрицание государства. Именно эти признаки стали позднее основными принципами анархизма.

Таким образом, до первых годов XIX века анархизм существовал, как интеллектуальное подпочвенное течение, начиная с эпохи древней Греции, и в форме “Политической справедливости” создал в 1792 году замечательное по мастерству первое изложение своих целей и средств. Но как массовое движение, как революционный фактор, он еще не существовал в то время, — не по своей вине, а потому, что люди, погрязшие в авторитарности с незапамятных времен, в то время еще только выходили из авторитарного кризиса. Девятнадцатый век лежал перед ними, как неисписанная еще страница.

Анархизм – одна из разновидностей этих оппозиционных идеологий. Как только в обществе настает серьезный кризис – оппозиционная идеология выдвигает свою радикальную концепцию решения скопившихся проблем. Во второй половине XIX в. в Османской империи создались благоприятные условия для появления анархистских групп соответственно, начала нового этапа развития радикального антиэтатизма. Эти благоприятные условия были связаны как с ситуацией ослабления контроля со стороны государства за политическим и культурным волеизъявлением граждан, так и с тяжелым экономическим и политическим кризисом, в которой оказалось Османская империя. Для появления радикальных политических групп, в обществе должна возникнуть «конфликтная ситуация», то есть интересы групп граждан должны вступить в конфликт между собой или с интересами государственной власти и такая ситуация возникла, интересы армянского населения при ослаблении государственной власти показало свою действительную сущность. Создание анархической ситуации было на руку армянским идеологам в своей политической борьбе против Османской империи.

Армянские анархисты, вследствие своей широко распространенной пропагандистской активности, уже к концу XIX в. привлекли к себе пристальное внимание властей Оттоманской империи. Среди армянских анархистов наиболее заметен на международной арене был Александр Атабекян, который поддерживал самые активные контакты с меж-дународным анархическим движением.

Атабекян предпринял серьезную попытку приспособить анархический подход к политической ситуации на Среднем Востоке. Во всех его работах ясно просле-живается неприятие как владычества Оттоманской империи над Арменией, так и европейского вмешательства и господства над регионом в целом. Со временем главной выразительницей подобных идей стала Армянская революционная федерация (Дашнакцутюн), которая представляла собой коалицию анархистов и националистов. В числе прочей деятельности, организация публиковала и распространяла по всей Армении различные анархические брошюры. Анархические идеалы завоевывали популярность среди армянских иммигрантов в государствах Запада, о чем свидетельствует ряд анархических журналов, примерно в это же время издававшихся на армянском языке в США. Пути Дашнакцутюн и анархистов – совпадали, они вступили в сговор с «национальной» буржуазией, и дело дошло до кровавого противостояния между армянами -анархистами и Османской властью.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია 20 წლისაა

საქართველოში დამოუკიდებლობის პირველი წლებიდან მოყოლებული აქტიურად დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, მაგრამ სამწუხაროდ ქვეყანა რომელიც მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე მიჩვეული იყო ცენტრიდან მიღებული დავალებების შესრულებით წარმოება-დაწესებულებების მუშაობას, განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფას, ჯანდაცვის სისტემის უფასოდ მომსახურებას და ყველა სოციალური და ეკონომიკური პროცესების უზრუნველყოფას, დადგა მძიმე დილემის წინაშე, რამეთუ ქვეყანას თვითონ უნდა უზრუნველეყო თავისი მოსახლეობის კეთილდღეობა, წარმოების პროცესების გააქტიურება და ყველა იმ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პრობლემების მოგვარება, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები აწესებენ.

ამ ურთულეს პირობებში ყველა ორგანიზაცია სახელმწიფოსთან ერთად დადგა დიდი პრობლემების წინაშე. ამ პროცესებს, რა თქმა უნდა, ვერ ასცდა განათლებისა და მეცნიერების სფეროც, რომელშიც თავიდანვე აქტიურად გამოიკვეთა განათლების სფეროში კერძო სექტორის შემოსვლა. დაფუძნდა კერძო სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც აქტიურად აუღეს ალღო ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესს, ერთ-ერთი ასეთი პირველთაგანი იყო საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც 1991 წლის დეკემბერში დაარსდა, ეს პროცესები საფუძვლად დაედო საქართველოში უკვე დარგობრივი საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიების დაფუძნებას და ამ მიმართებით მიუხედავად მრავალი მძიმე ხელშემშლელი პირობებისა 1995 წლის 23 მარტს დაფუძნდა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, რომლის დაფუძნებას ხმა მისცა სხვადასხვა დარგის 63 მეცნიერმა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ 1995 წლის 6 აპრილს გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდების რეგისტრაციის შესაბამისად გასცა მოწმობა №1982, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ხელმოწერით.

1995 წლის 6 აპრილიდან მოყოლებული აკადემიამ თავისი წესდებიდან გამომდინარე აირჩია პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი, სწავლული მდივანი და პრეზიდიუმის შემადგენლობა.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად იქნა არჩეული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დიდებული მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი, ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ომარ ქეშელაშვილი და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ჩიკვაიძე, სწავლულ მდივნად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჯულაყიძე. ასევე აკადემიის საერთო კრებამ აირჩია ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის პრეზიდიუმი 19 წევრის შემადგენლობით. პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული იქნენ:: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე, ვიცე-პრეზიდენტები, აკადემიკოსები ომარ ქეშელაშვილი და თამაზ ჩიკვაიძე, აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი გიორგი ჯულაყიძე და აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები: ბიძინა ლუტიძე, გივი კიკაჩეიშვილი, ილია ტაბაღუა, თამაზ ბოხუა, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ზურაბ ელიზბარაშვილი, პარმენ ლემონჯავა, ესტატე ბოლოკაძე, შალვა ჩიკვაშვილი, იათამზე ვერულაშვილი, არჩილ თეთრაული, პავლე ჩაგელიშვილი, ჯონი ხეცურიანი, შოთა ქისტაური, თენგიზ ჭიაბრიშვილი.

ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის პირველ დამფუძნებელ კრებას

ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები, დამსახურებული მოღვაწეები, რომლებმაც თავიანთი დადებითი ხმის მიცემით საფუძველი ჩაუყარეს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის დაფუძნებას და მის შემდგომ ფუნქციონირებას. ისინი იყვნენ: ალექსანდრე კუჭუხიძე, ომარ ქეშელაშვილი, თამაზ ჩიკვაიძე, გიორგი ჯულაყიძე, გიორგი მიქელაძე, გიორგი ნადარეიშვილი, აბესალომ მამულაშვილი, ლევან ბაღდავაძე, პლატონ ქავთარაძე, შოთა კოზმანაშვილი, მედეა გოცირიძე, რევაზ კრიჭინაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, გურამ ყუფუნია, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნუგზარ თოდუა, თამაზ ბაქრაძე, ივანე შენგელია, რომან კუჭუხიძე, არჩილ თეთრაული, ამირან გაგნიძე, გურამ ჯოლია, თამაზ დანელია, იათამზე ვერულაშვილი, ილია ტაბაღუა, გივი კიკაჩეიშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, პავლე ჩაგელიშვილი, ოთარ გიორგობიანი, პავლე გარუჩავა, რეზო ასათიანი, ზურაბ გალდავა, ალექსანდრე ტატიშვილი, თემურ კალანდაძე, რობერტ ანდღულაძე, თამაზ ბოხუა, ბიძინა ლუტიძე, ლევან გვაზავა, ვლადიმერ ახალაია, მურთაზ მაღრაძე, ზაურ თეთრუაშვილი, ლევან მუჯირი, ანდრო რურუა, მანანა მეფარიშვილი, ვახტანგ ბურკაძე, ვალერიან დათუკიშვილი, გივი ჩუბინიძე, ოთარ აბესაძე, ოთარ მოდებაძე, ზეზვა ღუღუნიშვილი, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, თეიმურაზ პატარაია, მურმან თურნავა, არჩილ გონაშვილი, შალერი ბენია, გურამ უსტიაშვილი, შოთა ქისტაური, თენგიზ ჭიაბრიშვილი, პარმენ ლემონჯავა, შალვა ჩიკვაშვილი, ზურაბ ელიზბარაშვილი, ესტატე ბოლოკაძე.

აი, ძვირფასო მკითხველო ამ შემადგენლობით შეუდგა თავის ხანგრძლივ, საინტერესო, შინაარსიან და წინააღმდეგობებით აღსავსე მუშაობას ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, რომლის მიერ ბოლო 20 წლის მანძილზე განვლილ საქმიანობაზე აკადემიამ გამოსცა საუბილეო კრებული.



გამოცემები... ახალი წიგნები...

აღიარებული მეცნიერის კიდევ ერთი შედევრი

გამოჩენილმა მეცნიერ-ეკონომისტმა ქართული ეკონომიკური სკოლის აღიარებულმა კალმოსანმა და ეკონომიკურ მეცნიერებაში ენციკლოპედიური ტერმინოლოგიის უბადლო შემოქმედმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ქალბატონმა როზეტა ასათიანმა კიდევ ერთი შედევრი ბრწყინვალე ნაშრომი "თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია", შემოგვთავაზა. მისი ეს ნაშრომი მოიცავს თანამედროვე ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკულ საკითხთა უაღრესად ფართო წრეს, ცნობილი მეცნიერების მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, სალექსიკონო სტატიების სახელწოდების, აბრევიატურის ინგლისურ შესატყვისებს, ტერმინოლოგიებსა და ახსნა-განმარტებებს.



როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი ცნობილი ეკონომისტი, აკადემიკოსი ვლადიერ პაპავა აღნიშნავს ამ ნაშრომის დასაწყისში "თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია" პროფესორ როზეტა ასათიანის შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. ის უწინარეს ყოვლისა გამოირჩევა ორიგინალურობით, რადგანაც აქამდე არ შექმნილა უცხო ენაზე არსებული ანალოგები უშუალო გადმოქართულებით. ძნელია არ დაეთანხმო აღიარებულ მეცნიერ-ეკონომისტს მის შეფასებაში, რამეთუ ქალბატონი როზეტა არის დიდი ინტელექტუალი, რომლის ნაშრომები, გამოირჩევა უმაღლეს პროფესიულ დონეზე შესრულებული ანალიზით, მისი თვითოეული ნაშრომი ეს არის ავტორის მიერ მისი სულიერი მრწამსით გამოქანდაკებული ძეგლი, რომელთაც დრო ვერაფერს დააკლებს და ამ ნაშრომებზე აღიზრდებიან მომავალი თაობები. წარმოდგენილი ნაშრომი არის იმ უძილო ღამეების გაგრძელება, რომელსაც ავტორი ყოველთვის გულწრფელად სთავაზობს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას, მისი ბოლოდროინდელი თეორიული, საცნობარო და სალექსიკონო შრომების სახით. ნაშრომში დიდ ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკური პოლიტიკის, დემოგრაფიის, ეკონომიკური კლასიფიკაციების, კონცეფციების ახსნა-დანმარტებები რაც ამ ნაშრომის ღირებულ მხარეს წარმოადგენს. ქალბატონი როზეტას ამ მიმართულებით შესრულებული ნაშრომები შეიძლება წინაპირობად ჩაითვალოს დიდ ქართულ ეკონომიკურ ენციკლოპედიაზე სამუშაოდ – ასე თვლის პროფესორი მერაბ გველესიანი.

წინამდებარე ნაშრომი – "თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია", ჩვენი ღრმა რწმენით არის გამორჩეული ნაშრომი ეკონომიკურ საცნობარო ლიტერატურაში, რომელიც სრულად პასუხობს ენციკლოპედიის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც როგორც ზევით აღვნიშნეთ, გახდება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველის სამაგიდო წიგნი.

ნაშრომის კიდევ ერთ ორიგინალურ მიდგომას უნდა გაესვას ხაზი, კერძოდ იმას, რომ "რეცენზიის მაგიერ" თავიანთი კომპეტენტური აზრი აქვთ გამოთქმული ნაშრომის სარედაქციო კოლეგიის წევრებს და რეცენზენტებს, ამ აღიარებული მეცნიერების მოსაზრებები კი საზოგადოების თვითოეული წევრისათვის მისაღები და გასათვალისწინებელია.

მინდა შემოვიდეთ წინადადებით რათა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებმა მოვახდინოთ პროფესორ როზეტა ასათიანის ფუნდამენტური ნაშრომის "თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედიი"-ს წარდგენა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სფეროში სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

გამომცემლობა „მერიდიანი”
თბილისი, ალ ყაზბეგის გამზირი №47
„MERIDIANI” publishing house
Tbilisi, al. Kazbegi ave. 47
E-mail:info@meridianipub.com